წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთ დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კაკოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებანი: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

კვირა, 13 ივნისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 133 (1588)

დ ღ ი უ რ ი

— პარიზში გარდაიცვალა კარლო ჩხეიძე
— გერმანიაში მდგომარეობა გამწვავებულია. [illegible] თელიან ჰინდენბურგის გადადგომას.
— ბრაზილიამ წინადადება მისცა სამხრეთ-ამერიკის [illegible]კებს გამოვიდნენ ერთა ლიგიდან.
— გერმანელმა მუშებმა გაფიცულ მაღაროს მუშებს ლონდონში 25.000 გირ. სტერლინგი გაუგზავნეს.
— რუმინეთში ჟანდარმებსა და გლეხებს შორის შეტაკებები ხდება.

მჭიდრო კავშირისა და ერთობის გზით საერთო გამარჯვებისაკენ

როცა გემი „სევასტოპოლი", რომელმაც საქართველოს ცაკის წევრები მოიყვანა, სოხუმის ყურეში შესდიოდა, შესახვედრად გამოსულ კატერის ერდოდან გაისმა ძახილი: „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს უზენაეს ორგანოს!".

ამის საპასუხოთ გემიდან ამხ. ფ. მახარაძემ შესძახა: „გაუმარჯოს წითელ აფხაზეთს", ეს შეძახება გაცხარებულმა ტაშისკვრამ და „ურას" გრგვინვამ დაფარა. ამ ამბავში თითქო არაფერია არაჩვეულებრივი. მაგრამ საკმაოა გავიხსენოთ, რისთვის მიდიოდნენ, სულ რამდენიმე წლის წინათ, აქ, ამ პატარა აფხაზეთში, ქართველი მენშევიკები, მათი კომისრები, მათი გენერლები, მათი „კულტურტრეგერები". ეს იყო მოძალადეების, მძარცველების, დამპყრობელების ხომალდი. ამიტომ მშრომელი აფხაზეთი მათ ტყვიითა, სიძულვილითა და ზიზღით ხვდებოდა. არის თუ არა რაიმე ამის მსგავსი დღევანდელ საქართველოს წარმომადგენლების მოსვლაში და იმ შეხვედრაში, რომელსაც მათ დღევანდელი აფხაზეთი უმართავს ნავთსადგურში, ზღვის ნაპირზე და თეატრში? არა, მშრომელი ხალხი მათ აღტაცებით და სიყვარულით შეხვდა.

რატომ? იმიტომ რომ ამ ადამიანებში ხედავ არა მონადირეებს, რომელნიც აფხაზებზე ან აფხაზეთის სიმდიდრეზე ნადირობენ, არამედ თანასწორ ამხანაგებს მუშურ - გლეხურ საქმისა, ეროვნულ განთავისუფლებისა, სოციალიზმის განვითარებისა და გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ქართველი მენშევიკები და აფხაზი თავადაზნაურები ვერ შეთანხმდნენ, მიტომ რომ მათ სტიმავდა კერძო ბურჟუაზიული და სადგილ-მამულო საკუთრება.

ეს ყოველივე ჩემია — იძახდა აფხაზი თავადიშვილი: აფხაზეთის მიწა, აფხაზეთის გლეხკაცობა.—არა, ეს ყოველივე ჩემია, მთელი აფხაზეთის ხალხიც ჩემი საკუთრებაა — ღრენდა ქართველი მენშევიკების მთავრობა.

საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის დროს არ არის და არც შეიძლება იყოს საკუთრება და შუღლი მშრომელთა შორის. ჩვენ ყველას, ქართველებს, აფხაზებს, სომხებს, აჭარლებს, რუსებს, ოსმალოებს და სხ. ერთი საზოგადო ამოცანა გვაქვს, ჩვენ ბურჟუაზიისა და მემამულეებს ხელიდან საკუთრება უნდა გამოვსტაცოთ და ის მშრომელთა ეკონომიური და კულტურული აღორძინების იარაღად ვაქციოთ. ამ მხრივ მშრომელთა სამშობლოს წარმოადგენს მთელი საბჭოთა კავშირი, სადაც ხელისუფლება პროლეტარიატსა და გლეხკაცობას აქვს, რომელიც საბჭოთა რევოლუციის მიღწევებს იცავს, რათა საბოლოოდ შემუსროს მემამულეების, კაპიტალისტების და ძალმომრე—იმპერიალისტების ხელისუფლება.

მშრომელთა ინტერესების თანხმობა მოითხოვს, რომ მათ მჭიდრო კავშირი იქონიონ. აი რით აიხსნება, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები თავიანთ თავს გაერთიანებული რევოლიუციური ოჯახის წევრებათ სთვლიან.

მაგრამ ამ დიდ ოჯახში ისეთი ინტერესებიც მოიპოვებიან, რომელნიც ისტორიული ბედისა, კულტურული სიახლოვისა, საერთო მტრის წყალობით დამატებით ძაფებს აბამენ და კიდევ უფრო მჭიდროთ აკავშირებენ ცალკე წევრებს. აი, სწორეთ ასეთი დამატებითი ძაფებით არიან გადაჯაჭვული ერთმანეთზე აფხაზეთისა და საქართველოს მოძმე მშრომელი ხალხები. ისინი ერთად არიან და ერთად იქნებიან იმიტომ კი არა, რომ ქართველ მუშებსა და გლეხებს არ სურთ აფხაზეთს „შეჭამონ", ან იმიტომ კი არა რომ აფხაზეთის მშრომელები ქართველებს საუკეთესო ადამიანებათ სთვლიდნენ დედამიწის ზურგზე. არა, ისინი ერთად მიდიან და კვლავაც ერთად ივლიან, მიტომ რომ მათ აკავშირებს დამატებით ერთობა, რომელსაც ისტორიული ცხოვრება, კულტურული სიახლოვე, ეკონომიური განვითარების ინტერესები და საერთო მტერთან, მენშევიზმთან, ნაციონალიზმთან, და უხამსი ადგილობრივი იმპერიალიზმის ნაშთებთან ბრძოლა ქმნის. მშრომელნი ერთად უნდა იყვნენ ოქტომბრის რევოლიუციის მიღწევების შესანარჩუნებლად, — აი მშრომელთა ბელადის ლენინის ძირითადი მცნება.

ამ ერთობის ნიადაგზე, ჩვენ შევიძლია შევინარჩუნოთ და განვავითაროთ რევოლიუციის მონაპოვარნი სოციალიზმის სრულს გამარჯვებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყოველ ნაბიჯზე დამარცხების მუქარა, ამოდენა მსხვერპლით დამხობილი რეჟიმის უკან დაბრუნება, ჩაგვრისა და მონობის ხელახლა აღდგენას გვიქადის.

ვისაც დამოუკიდებლობა ისე ესმის, რომ ყოველ მოსაზღვრე საგანსა, ყოველ ნიშანსა, ყოველ კაპიკზე წარწერა უნდა იყოს, „ეს ჩემია", მას არ ესმის ოქტომბრის რევოლიუციის აზრი, მას არ შეუთვისებია ლენინის ანდერძი ის ვერაფერს ხედავს თავის ცხვირის იქით, ყურს ვერ უგდებს იმ მტრის კმაყოფილ ჩურჩულს, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ ხელახლა დაიბრუნებს ძალაუფლებას, თუ მშრომელთა გათიშვას შესძლებს და საბჭოთა რესპუბლიკებს შუა ზღუდეებს ამართავს; საქართველოსა და აფხაზეთში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც არ ესმით აზრი და კატეგორიული მოთხოვნილება ოქტომბრის რევოლიუციისა. ისინი თავიანთი უკუღმართი შეხედულებით, არსებითად, ხელს უწყობენ იმ ელემენტების საქმიანობას, რომელნიც არ ღებულობენ ოქტომბრის რევოლიუციას და სიძულვილით უცქერიან მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას.

მაგრამ ამ უკანასკნელთ ჩვენ მოვევლით და გავუსწორდებით.

ხოლო პირველნი ჩვენ უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენი ძირითადი ამოცანა, ურომლისოდაც ჩაშლა ყოველი ღონისძიება ახალი სოციალისტური საზოგადოების ასაგებად, ეს არის ყველა ერების მშრომელთა ერთობის გამოჭედა, რევოლიუციის ოსტატის, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით: მან ოქტომბრის მონაპოვარიც უნდა დაიცვას და შეტევაც აწარმოვოს ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე სოციალიზმის საბოლოოდ გასამარჯვებლად.

ამ ჩვენი კავშირის გაძლიერებული ერთობისა და შედუღების გზაზე, საქართველოს ცაკის სოხუმის სესია მნიშვნელოვანი საფეხური იქნება, რომელიც დაამოწმებს, რომ საბჭოთა აფხაზეთის ყოფნა საბჭოთა საქართველოში სხვას არაფერს წარმოადგენს, გარდა იმისა, რომ რევოლიუციურ მშრომელ აფხაზეთსა და საქართველოს რევოლიუციურ მასებს შორის ბრძოლის კავშირი დამყარდა, რომელმაც ერთად გარეკა მენშევიკები და რეაქციონერები, ერთად დაამუშა ჭრილობები, და ერთად, ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და დიდი საბჭოთა კავშირის შემწეობით წინ მიდის საბოლოო მიზნისაკენ.

წინ წავიდეთ მჭიდრო კავშირისა და ერთობის გზით საერთო გამარჯვებისაკენ.

მამია ორახელაშვილი.

პირდაპირი მავთულით სოხუმიდან.

ჩვენი მეურნეობის საკითხები

III.

ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმისათვის

მომჭირნეობა შეიძლება იყოს ორნაირი. პირველი: როდესაც კაპიტალისტი ერთ კაპეიკსაც ტყვილა უბრალოთ არ დახარჯავს, როდესაც ის მთელ თავის რესურსებს მაქსიმალურათ იყენებს ახალი დაგროვების და გამდიდრებისათვის —ეს არის კაპიტალისტური მომჭირნეობა. მეორე: როდესაც ჩვენი სოციალისტური მრეწველობის მუშაკები იღებენ ყოველგვარ ზომებს, რომ არ გაიფლანგოს სახალხო სიმდიდრე და ყოველი სოციალისტური კაპეიკი გამოყენებულ იქნას მიზანშეწონილათ — მრეწველობის წინსვლა - განვითარებისათვის—ეს არის სოციალისტური მომჭირნეობა.

მიზანი კაპიტალისტურ და სოციალისტურ მომჭირნეობისა სულ სხვადასხვაა. კაპიტალისტი ამყარებს მომჭირნეობის რეჟიმს თავის წარმოებაში იმ მიზნით, რომ გააფართოვოს ექსპლოატაციის არე, შექმნას პირობები მუშათა ახალი, უფრო ინტენსიური გაყვლეფისათვის. მიზანია აქ კაპიტალის დაგროვება, საშუალება კი მუშებისაგან ზედმეტი ღირებულების აღება, მათი გაყვლეფა.

სოციალისტურ მეურნეობაში ადგილი არ აქვს გაფლანგვას, ზედმეტი ღირებულების შექმნას კერძო პირებისათვის. ზედმეტი პროდუქტი, რომელიც აქ იქმნება ხმარდება საერთო სახალხო მეურნეობის განვითარებას, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვ.

მომჭირნეობის რეჟიმის დამყარება ჩვენს მეურნეობაში, ზედმეტი და უთავბოლო ხარჯების მოსპობა, უფრო სწრაფათ გაგვაქანებს ჩვენ ამ მიზნის განხორციელებისაკენ.

როგორც ვხედავთ, კაპიტალისტურ და სოციალისტურ მომჭირნეობის შორის პრინციპიალური განსხვავებაა და მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა დიდი შეცდომა იქნებოდა.

ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცება, მიუხედავათ იმისა, რომ მეურნეობის დარგში უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს აუარებელი ნაკლი, რომელსაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ამ კითხვას ამხ. ლენინმა მიაქცია ყურადღება თავის უკანასკნელ წერილებში, სადაც ის ამბობდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი მომჭირნეობის საშუალებით შევძლებთ ჩვენ მსხვილი მანქანური მრეწველობის განვითარებას. ამავე საკითხს მიაქცია ჯეროვანი ყურადღება პარტიის მე-14-ტე ყრილობამ და ცეკას უკანასკნელ პლენუმმა.

თუ ჩვენ მტკიცეთ გადავწყვიტეთ საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალურ ქვეყნებათ გადაქცევა, მათი აგრარული ხასიათის შეცვლა, მაშინ ასევე მტკიცეთ უნდა დავადგეთ მომჭირნეობის განმტკიცების გზასაც. წინა წერილიდან ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ პარტიამ და ხელისუფლებამ აიღო კურსი ინდუსტრიალიზაციაზე. ამავე დროს მათ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლას.

ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ქვეყნათ გადაქცევა მოითხოვს უდიდეს თანხებს. კაპიტალის მხრივ ჩვენ ღარიბნი ვართ. საგარეო სესხს ჯერ-ჯერობით არავინ გვაძლევს. ამასთან ერთად ჩვენ გადაჭრით ვუარყავით ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური მეთოდები (დაპყრობა, კონტრიბუციები, კოლონიალური პოლიტიკა, გაყვლეფა და სხვ.). ასეთ პირობებში მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითები იმისა, თუ როგორ უთავბოლოთ იხარჯება ხშირათ სახელმწიფო საშუალებები, დრო და ენერგია.

1. „მთავარ სახელოსნოდან იქნა გამოშვებული კაპიტალური შეკეთებიდან ერთი ორთქლმავალი № 4.377, რომელიც რკინისგზას დაუჯდა არა ნაკლებ 40.000 მანეთისა. ეს ორთქლმავალი სახელოსნომ 14 მაისს, ჩვეულებრივათ, გაუშვა გამოსაცდელად სადგურ ნავთლუღამდე, მაგრამ ნავთლუღიდან იგი გაფუჭებული დააბრუნეს და ჩააყენეს ისევ ხელმეორეთ შესაკეთებლათ. რად მოხდა ეს? ეს მოხდა იმიტომ, რომ ორთქმავლის „ცილინდრში" დაუდევრობით დატოვებიათ ქანჩი—(გაიკა) და სხვა რკინეულობის ნაჭრები, რის გამო მთელმასთან პორშნებიც, რომლების შესაკეთელი „ცილინდრი" გაფუჭებულია და ტებლად უნდა დაიხარჯოს კიდევ არა ნაკლებ 2.000 მან. მეორე ორთქლმავალი № 9.636 იქნა ხელმეორეთ გასაკეთებელი, რადგანაც „ცილინდრის" უმთავრესი „ვინტი" დარჩენიათ ღია და ამასაც ისეთი ბედი ეწვია, როგორც პირველს. ამნაირად ამ ორთქლმავლის ცილინდრიც შეიქნა ხელმეორეთ დასაშლელი და ასაწყობი; ეს შეკეთება კი აუარებელი ფული ჯდება". („კომუნისტი" № 115).

2. „რკინისგზის მთავარ სახელოსნოების სარონოდო საამქროში გადაკეთდა „რბილზე" სამი რონოდა № № 488. 403. 401. როდესაც ყველაფერი უკვე მზად იყო და რონოდები მეორე—დღეს უნდა გასულიყო სახელოსნოებიდან, მოდის განკარგულება რონოდები გადაკეთებულ იყოს ისევ „მაგარზე". გამზადებული რონოდები კვლავ დაშალეს და გადააკეთეს „მაგარზე". აქ, რასაკვირველია, გაფუჭდა აუარებელი მასალა. მაგრამ იმ დროს, როდესაც მზადდებოდა „მაგარი" რონოდები კვლავ მოდის ახალი განკარგულება „მაგრიდან" გადაკეთდეს „რბილზე". აქ ხელმეორეთ ფუჭდება მასალა და იხარჯება მეორედ ახალი მასალა. ფაქტიურად კეთდება სამი რონოდა, მასალა, შრომის ენერგია და ფულები კი იხარჯება ცხრა რონოდის". („კომუნისტი" № 120).

3. „ხშირია შემთხვევა, როცა სადგურის მორიგის მიზეზიანობით, ან დაუდევრობით, ან ცოდნით ჩერდება სადგურებზე მატარებელი— მე მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს. 1 იანვარს სადგ. გარდაუბანში საგზო მატარებელი № 104 შეჩერდა ოთხი საათი და 30 წუთი; 9 მარტს ამავე სადგურზე საგზო მატარებელი № 110 12 საათი იდგა; 16 მაისს სადგურ ნავთლუღში საგზო მატარებელი № 104 დაკავებულ იქმნა 3 საათი და 40 წუთით". („კომ. № 120).

ჩვენ არ გავაგრძელებთ ასეთი მაგალითების სიას. ხშირად ასეთი მოვლენები ხდება მართლაც საქმის უცოდინარობის გამო, მაგრამ უფრო ხშირად კი ისინი გამოწვეულია დაუდევრობით.

საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია შეურიგდეს ასეთ დაუდევრობას, უყაირათობას, ბოროტმოქმედებას, რის გამო აუარებელი ზარალი მოსდის ჩვენს მეურნეობას. საქმე იმაშია, რომ ასეთ მოვლენებს არ აქვს შემთხვევითი ხასიათი.

ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ შეიძლება ბევრი თანხების დაზოგვა და მათი საწარმოო მიზნებისათვის მოხმარება. ასე მაგალითად, გამოირკვა, რომ „თამბაქოს ტრესტში შესაძლებელია მიღწეულ იქმნას 24 ათასი მანეთის დაზოგვა წლიურად და 3.600 მანეთის ერთდროულად. პოლიგრაფიულ ტრესტში შესაძლებელია წლიურად დაზოგილ იქმნეს 4.831 მან., სახელმწიფო სპირტის წარმოების ტრესტში 23.000 მან., ტყავეულობის ტრესტში 25.878 მან., სათბობი მასალის სამმართველოში 10.876 მან., ზეთის და საპნის საწარმოვო ტრესტში 8.400 მან., ლითონის ტრესტში 10.000 მან. და სამკერვალო წარმოებათა სახელოსნოში 4.280 მან. **საერთოდ, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უწყებაში მყოფ 8 ტრესტში ერთი წლის განმავლობაში, წარმოებათა შეუფერხებლათ**, შესაძლებელია დაზოგილ იქნას 110.259 მან. („კომ." № 125).

ეს 110.259 მან. იხარჯებოდა ამდენხანს არა საწარმოო მიზნებისათვის. ამ ხარჯების შემოკლება ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ასი ათასი მანეთი პატარა თანხა არ არის. ასეთივე თანხები იხარჯება სხვაგანაც. ეს კი ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის, რადგან ამ პირობებში შეუძლებელია ინდუსტრიალიზაციის განხორციელება. ამიტომ იყო, რომ ამხ. **სტალინი და კუიბიშევი** ცეკას ცნობილ ცირკულიარში მიუთითებდნენ ყველა ამხანაგებს „თვითეული კაპეიკისათვის და საშუალებათა სისტემატიურ დაგროვებისათვის" ბრძოლის საჭიროებაზე, ჩვენი მსხვილი მრეწველობის განვითარების მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ორგანიზაციის და წარმოების რაციონალიზაციის საქმეს. ამ მხრივ ჩვენ დიდათ ჩამორჩით დასავლეთ ევროპას და ამერიკას. ხშირად უთავბოლოდ, უაზროთ იხარჯება ჩვენი შრომა, ენერგია. ჩვენ არ ვზოგავთ დროს. დროის დაზოგვას ხელს უშლის წარმოების რაციონალურად მოუწყობლობაც. „პარტიამ უნდა მიაქციოს უდიდესი ყურადღება მეურნეობის ყველა დარგების რაციონალიზაციისათვის სისტემატიურ მუშაობის გაძლიერებას, რაც შეადგენს დაგროვების მძლავრ წყაროს და ამავე დროს ხელს შეუწყობს ჩვენი მეურნეობის უფრო უმაღლეს საფეხურზე გადასვლას". (იხ. ცეკას ცირკულიარი).

აქ ჩვენ ხაზი უნდა გაუსვათ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებასაც. მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლა არ არის ისეთი კამპანია, რომელსაც ჩვენ ხშირად ვატარებთ. ასეთი წარმოდგენა ამ ბრძოლაზე დიდი შეცდომა იქნებოდა. მომჭირნეობისათვის ბრძოლას ჩვენ ვერ გავათავებთ ერთი თვის, წლის ან ათი წლის განმავლობაში. ის უნდა ვაწარმოოთ ყოველგან და ყოველთვის, მანამ სანამ ვერ შევსძლებთ საბოლოოდ აღმოვფხვრათ საშუალებათა და ენერგიის უთავბოლო ფლანგვა, სანამ არ ვისწავლით სოციალისტურ მომჭირნეობას.

მაშასადამე, ეს ბრძოლა იქნება **ხანგრძლივი**. მომჭირნეობისათვის ბრძოლის დაწყებით პარტია და ხელისუფლება იწვევენ ყველა პატიოსან მშრომელებს: ისწავლეთ თქვენი შრომის და სახალხო სიმდიდრის დაზოგვა, ისწავლეთ ამ შრომის და სიმდიდრის რაციონალურად გამოყენება ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის წინსვლა-განვითარებისათვის.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის არის იმავე დროს ბრძოლა ჩვენი უკულტურობის, ჩვენი შეუგნებლობის წინააღმდეგაც. ჩვენ შევსძლებთ ამ ბრძოლის წარმატებით წარმართვას იმდენათ, რამდენათ ავამაღლებთ მშრომელთა ფართე მასებში სოციალისტურ შეგნების და **პასუხისმგებლობის** შეგნების დონეს, რამდენად ჩავითრევთ ამ ბრძოლაში ფართე წრეებს ეჭვი არ არის, რომ ყოველი პატიოსანი მუშა და გლეხი ხელს შეუწყობს და აქტიურ დახმარებას გაუწევს ჩვენს ხელისუფლებას სოციალისტური მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცების დიდ საქმეში.

კ. ორახელიძე.

სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაკთა შერჩევა

სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებასა და აგრეთვე იმ ბრძოლასთან, რომელიც მტაცებლობის და მფლანგველობის წინააღმდეგ სწარმოებს, რომელთა შესახებ პრესა ყოველდღე მსჯელობს და რომელთაც უდიდესი ზიანი მოაქვთ სახალხო მეურნეობისათვის—მჭიდროთ დაკავშირებულია მუშაკების ზედმიწევნით შერჩევის საკითხი.

სამწუხაროდ, საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოველდღიური მუშაობიდან ირკვევა, რომ მუშაკების შერჩევის საკითხს ბევრი ორგანო გულგრილად და დაუდევრად ეკიდება, რაც იწვევს ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებების ავსებას უვარგის და ხშირად ბოროტმოქმედი ელემენტებით.

ამ მხრივ, მიუხედავათ პარტორგანოების სასტიკი აკრძალვისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენში ფართოდ გავრცელებული რეკომენდაციების და ნათლიმამობის სისტემა, რომელიც დიდათ ხელს უშლის ჩვენი დაწესებულებების გაჯანსაღებას და აგრეთვე მათ დაცვას მფლანგველობისა და სხვ. შესაძლებლობისაგან.

ხშირია შემთხვევები, რომ რეკომენდაციის წყალობით სამსახურში ღებულობენ ისეთ პირებს, რომელნიც უვარგისობისა და ხშირად ქურდობის გამოც დაითხოვეს სხვა დაწესებულებებში.

ერთ-ერთ ასეთმა ტიპმა მოახერხა ხელის მოთბობა სამ დაწესებულებაში და ბოლოს, როგორც გამოირკვა, მოეწყო კოოპერატივში, სადაც, ალბათ, საფუძლიანად მოეწყობოდა, დროზედ რომ არ მოეხსნათ სამუდამოდ.

იყო შემთხვევები, როცა შუამდგომლობით სამსახურში ღებულობდენ ისეთ პირებს, რომელნიც სამართალში იყვნენ მიცემულნი თანამდებობაზე ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის. იყო აგრეთვე შემთხვევები, როცა ასეთ პირებს უფრო საპასუხისმგებლო ადგილს აძლევდენ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ხშირია შემთხვევები, როცა მოსამსახურეებს ითხოვენ ამა თუ იმ ბოროტმოქმედების გამომჟღავნების გამო.

ყველა ზემონათქვამის შედეგი არის თანამშრომელთა ხშირი შეცვლა, რამაც თავის მხრივ არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მუშაობაზე.

თავის თავად ცხადია, ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია, განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა მთელი ქვეყნის ძალები მიმართულია იქით, რომ სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ დარგში სასტიკი მომჭირნეობა იქნას გატარებული.

წინასწარ გამორკვევა იმის, თუ რამდენად შეესაბამება თანამდებობას ახლად მისაღები პირი, უწინდელ სამუშაოდან მოხსნის მიზეზების გამორკვევა, დახოლოს, პირად რეკომენდაციებით სამსახურში მიღებაზე კატეგორიულად უარის თქმა,—აი რა უნდა დაედვას საფუძვლად ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებების მუშაკთა შერჩევას, რაიც უზრუნველჰყოფს მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებას.

ვ. ხტურუა.

„ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია" და საყოველთაო გაფიცვა

„ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის" ორგანოებში გამოქვეყნებული მთელი რიგი წერილებისა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ აღნიშნულ პარტიის ბელადებს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ საყოველთაო გაფიცვის ჩაშლაში.

პარტიის ჟურნალი „ნიუ ლიდერ" 21 მაისის №-ში სწერს:

„საყოველთაო გაფიცვა დასრულდა. მან გამოააშკარავა მისი ბელადების უარყოფითი მხარეები და ცხადჰყო, რომ არავითარ სამზადის მუშაობას ადგილი არ ჰქონია. გაფიცვის ფინალი იყო—პოზიციების დათმობა. ჩვენ აღშფოთებული ვართ იმით, რომ გენერალურმა საბჭომ სამთამადნო მუშები თავიანთ საკუთარ ძალების ამარად დასტოვა ბრძოლაში და სიმშილით სიკვდილის საფრთხეში".

სპეციალურ წერილში, რომელიც ამავე №-ში არის მოთავსებული, **ბრაილსფორდი** სწერს:

„გენერალური საბჭო წარსული წლის კრიზისის შემდეგაც დარწმუნებული იყო რომ ეს კრიზისი შეიძლებოდა მაისშიაც განმეორებულიყო, მაგრამ მას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს სამთამადნო მუშების მომზადებისა და დარაზმვის მიზნით. მართალია, მოწყობილ იქნა კომისია, მაგრამ ის იმ დასკვნამდი მივიდა, რომ ყოველგვარი მოსამზადებელი [illegible] ობა შეუძლებელია და რომ გეგმა მხოლოდ მაშინ უნდა წარმოიშვას, როცა ეს საჭირო იქნება".

ვიტლეი „ფორვერდ"-ში სიმხდალეს უსაყვედურებს გენერალურ საბჭოს.

ჯონსტონს აინტერესებს, საიდან წარმოიშვა გადაწყვეტილება საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, თუმცა თვითონ მას არასოდეს არ სწამდა საყოველთაო გაფიცვა, როგორც პროლეტარიატის ბრძოლის იარაღი.

„ფორვერდ"-ის ფურცლებს ამშვენებს აგრეთვე **მაკდონალდის** წერილიც, რომელშიაც ავტორი უარყოფს საყოველთაო გაფიცვის მნიშვნელობას.

შემდეგ **კლაინსი** ესალმება მუშათა საყოველთაო კონფერენციას და იცავს საყოველთაო გაფიცვას.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ძალიან საინტერესოა.

ყოველივე ამას „დამოუკიდებელ მუშათა პარტიის" წევრები ლაპარაკობენ.

ჩვენ უნდა მოვაგონოთ „დამოუკიდებელ მუშათა პარტიას", რომ საჭირო იყო ის დროულად გამოხმაურებოდა კომპარტიას, რომელიც თავის დროზე მოითხოვდა ზომების მიღებას და სამთამადნო მუშების დარაზმვას და მომზადებას.

რაში მდგომარეობდა „დამოუკიდებელ [illegible]ტიის" წინადადებები და პროექტები? [illegible] ასეთი რამ არ გაგვიგონია [illegible] მათგანისაგან, ისევე როგორც არ გაგვიგონია მათ მიერ მუშების გაფრთხილება, რომ გენერალური საბჭო ამ მნიშვნელოვან ნაბიჯებს გაურბის.

ან განა გენერალურ საბჭოში „დამოუკიდებელ მუშათა პარტიის" წევრები არ ისხდნენ? განა **სველსი, სმილლი, ბონდფილდი, პერსელი, ელვინი** და სხვები— დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრები არ არიან? და განა მათ არ შეეძლოთ შეეტყობინებიათ მუშებისათვის წინასწარი საორგანიზაციო მუშაობის დეფექტები?

კიდევ მეტი, განა ისინი მონაწილეობას არ იღებდენ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებაში და შემდეგ მის შეწყვეტაში? ჩვენ ვიცით, რომ სმილი იქ არ იყო, მაგრამ დანარჩენები?

და მართლაც, რა უნდა ვსთქვათ იმ პარტიის შესახებ, რომლის შიგნით რამოდენიმე, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი არსებობს გაფიცვის მნიშვნელობის შესახებ, იმ პარტიის, რომელიც პოლიტიკურათ ისევე ბინძურია, როგორც გენერალური საბჭო, რომელიც ხან საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებისაკენ მოუწოდებდა, ხან მის შეწყვეტისაკენ.

ბროკვეის „ნიუ ლიდერ"-ში მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდენ „დამოუკიდებელ მუშათა პარტიის" წევრები გაფიცვის დროს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „დამოუკიდებელმა პარტიამ", როგორც პარტიამ შესწყვიტა არსებობა სწორედ იმ მომენტიდან, როცა საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. მისი აპარატი შეუერთდა გენერალურ საბჭოს და მისი წევრები თავის თავის ანაბარად დარჩენ.

ჩვენ ვიცით, რომ ამ პარტიის ბევრი უბრალო წევრი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაფიცვაში, მაგრამ პარტიას, როგორც ასეთს, არ მოუმზადებია მუშები ბრძოლისათვის და მან შესწყვიტა მოქმედება ბრძოლის დროს—ეს ფაქტია და ეს მოწმობს, რომ ასეთმა პარტიამ ყოველგვარი ფასი დაჰკარგა მუშების თვალში.

ჩვენ მივაქცევთ მუშების ყურადღებას შემდეგ გარემოებას: პარლამენტის მუშათა ფრაქციის ორი მესამედს „დამოუკიდებელ მუშათა პარტიის" წევრები შეადგენენ, ხოლო საპარლამენტო ფრაქციამ—თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბელადებს, როგორიცაა, მაგალითად, დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრი მაკდონალდი, რომელმაც გენერალურ საბჭოს გახრწნაში დიდი როლი ითამაშა,— გაფიცვის დროს შესწყვიტა თავისი მუშაობა.

ჩვენ ვსთხოვთ „დამოუკიდებელ მუშათა პარტიის" უბრალო წევრებს და ყველა გულწრფელ სოციალისტს ჩაუფიქრდენ ამას და შეეკითხონ თავის თავს, თუ რამდენად გამოდგება ასეთი პარტია „მინიმალური სამუშაო ხელფასის" და „თანამედროვე სოციალიზმის" დამცველად.

ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ არავითარი ინტერესების დაცვა ამ პარტიას არ შეუძლია და მუშათა მოძრაობის გამარჯვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, სანამ ამ მოძრაობას სათავეში არ ჩაუდგება პატიოსანი, გაბედული და ყოველგვარ პირობებში შეუპოვარი პარტია.

აი რატომ გადავსწყვიტეთ ჩვენ თავის დროზე დაგვეარსებია კომუნისტური პარტია და მოუწოდებთ ყველა მუშებს შემოგვიერთდენ ჩვენ. საყოველთაო გაფიცვამ ცხადჰყო ჩვენი პარტიის აუცილებლობა. ეს ერთად-ერთი პარტიაა, რომელიც მუდამ იცავდა მუშების ინტერესებს, რომელიც საჭირო მუშაობას აწარმოებდა მუშების მოსამზადებლად კრიზისის შემთხვევისათვის, თვალყურს ადევნებდა თავისი წევრების მუშაობას და რომელმაც უშიშრად გამოიტანა სათანადო დასკვნები გაფიცვის დამარცხების ფაქტიდან, იყო რა დარწმუნებული თავისი პოლიტიკის სისწორეში.

ჯ. ტ. მერფი.

„ვორკერს ვიკლი" № 171.

ბრძოლა პრეზიდენტსა და მემარცხენე პარტიებს შორის პოლონეთში

პილსუდსკი ჯარში წმენდას ახდენს —უმუშევართა ბავშვები ვარშავაში შიმშილით იხოცებიან

მემარცხენე ჯგუფები მხარს უჭერენ უკრაინელებისა და ბელორუსებისათვის ტერიტორიალური ავტონომიის მინიჭებას

კონსტიტუციის შეცვლა

ვარშავა, 11 ივნისი. გარდა პოლონეთის სოციალისტური პარტიისა მთავრობის უფლებათა გაფართოების წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე ვიზვოლენიემ. მემარცხენეების აზრით მთავრობის უფლებები შეზღუდულ უნდა იქნეს საფინანსო საკითხებში.

რაც შეეხება მთავრობისათვის სეიმის და სენატის დათხოვნის უფლების მინიჭებას, პოლონეთის სოციალისტური პარტიის, ვიზვოლენიეს და საგლეხო პარტიის ფრაქციებმა დაადგინეს მოითხოვონ, რათა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს ორივე პალატა, რომელთაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თავის-თავის დათხოვნის შესახებ.

პოლონეთის სოც. პარტიის ორგანო „რაბოტნიკი" სასტიკად ილაშქრებს საარჩევნო კანონის რეფორმის წინააღმდეგ.

„რეჩ პოსპოლიტა" იუწყება, რომ ბარტელი სეიმის დაუყოვნებლივ დათხოვნის და ახალი არჩევნების დანიშვნის მომხრეა. გაზეთის სიტყვით, პილსუდსკი სთვლის, რომ „ეხლანდელმა სეიმმა ჩაიბარა მორჩილების გამოცდა" და ამიტომ მას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციაში.

სკშინსკისა და შეპტიცკის დუელი

ვარშავა, 11 ივნისი. გენერალმა შეპტიცკიმ ხელი არ ჩამოართვა ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს სკშინსკის კრაკოვის საზოგადო ხელშეკრულებაში შეხვედრის დროს.

სკშინსკიმ დუელში გამოიწვია შეპტიცკი.

დათმობა მასების ზეგავლენით

ვარშავა, 11 ივნისი. **პოლონეთის სოც. პარტიის, ვიზვოლენიეს და საგლეხო კავშირის საპარლამენტო ფრაქციებმა უკანასკნელ სხდომაზე ერთხმად უმცირესობათა შესახებ მიიღეს რეზოლიუცია**, რომელშიაც ნათქვამია: „**პოლონეთის დემოკრატია სცნობს ბელორუსების და უკრაინის ხალხთა დამოუკიდებლობის უფლებას პოლონეთის სახელმწიფოს ფარგლებში. პოლონეთის სოც. პარტია, ვიზვოლენიე და საგლეხო კავშირი შეეცდებიან გადაწყვიტონ ერთხმად საკითხი ტერიტორიალური ავტონომიის მიცემის გზით იმ ოლქებისათვის, რომლებშიაც ბელორუსთა და უკრაინელთა მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენს**".

მკვდარი პარლამენტი

ვარშავა, 11 ივნისი. სეიმის გუშინდელ სხდომას, რომელიც ტრომპჩინსკიმ, თითქოს, ორ ძველ კანონპროექტის განსახილველად მოიწვია, უნდა ჰქონოდა დემონსტრატიული ხასიათი და დაენახვებია ყველასთვის, რომ საკანონმდებლო დაწესებულება პოლონეთში კიდევ არსებობს.

„ვიზვოლენიეს" პარტიის წევრ სენატორებმა, გამოაქვეყნეს დეკლარაცია სეიმის და სენატის დათხოვნის აუცილებლობის შესახებ, რის შემდეგ დასტოვეს სხდომის დარბაზი.

სხდომის დახურვის წინ ტრომპჩინსკიმ განაცხადა, რომ შემდეგი სხდომის მოწვევის ვადა გამოურკვეველია.

წ მ ე ნ დ ა

ვარშავა, 11 ივნისი. პრეზიდენტმა დაადასტურა მესამე არმიის ინსპექტორის გენერალ შეპტიცკის გადადგომა.

თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნენ და გადადგნენ აგრეთვე უზენაეს სამხედრო სასამართლოს წევრები გენერალი **ზახარშევიჩი** და პოლკოვნიკი **რილსკი**, რომელსაც საპასუხისმგებლო ადგილი ეჭირა ლვოვის სამხედრო ოლქის ინსპექციაში. განთავისუფლებულ ადგილებზე პრეზიდენტს ჯერ არავინ არ დაუნიშნავს.

სოც. პარტიის პოზიცია

ვარშავა, 11 ივნისი. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის საპარლამენტო კლუბმა გაილაშქრა მორაჩევსკის წინააღმდეგ გზათა მინისტრის ამხანაგის თანამდებობის მიღების გამო.

პ. სოც. პარტიის სეიმის ფრაქციამ რეზოლიუციაში შეიტანა მოთხოვნილება, რომ სეიმი დაუყოვნებლივ დათხოვნილი იქმნას და ახალი არჩევნები დაინიშნოს არა უგვიანეს ოქტომბრისა.

პ. სოც. პარტიის ფრაქციის რეზოლიუცია აყენებს შემდეგ მოთხოვნილებებს: [illegible] ბრძოლა, სოციალური კანონმდებლობის განმტკიცება, აგრარული რეფორმის გატარება, უმამულო და მცირე მამულიან გლეხების ინტერესების მიხედვით, ადმინისტრაციის გაუმჯობესება, მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა და პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია.

ბავშვების დამშევა

ვარშავა, 11 ივნისი. 9 ივნისს მოსციცკის თავმჯდომარეობით შესდგა ახალი მთავრობის პირველი სხდომა.

სხდომაზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც კაბინეტის სხდომის დღის წესრიგის ყოველი მუხლის განხილვა შეიძლება გადადებულ იქნას პრეზიდენტის სურვილით. კაბინეტის გადაწყვეტილების მიზანია, უზრუნველყოს პრეზიდენტის გავლენა მთავრობის მუშაობის მიმდინარეობაზე და ფაქტიურად სეიმის დაუთანხმებლად ცვლილება შეიტანოს პოლონეთის კონსტიტუციაში.

კაბინეტის იმავე სხდომაზე განხილული იყო კონსტიტუციის შეცვლის პროექტი.

კომუნისტური ლიტერატურის ძებნა

ვარშავა, 11 ივნისი. ვარშავის პოლიციამ, კომუნისტურ ლიტერატურის ძებნის დროს, მოახდინა რამდენიმე სახლის გაჩხრეკა. ორი კერძო სტამბა, რომელზედაც ეჭვი იყო მიტანილი, რომ იქ კომუნისტურ ლიტერატურას ბეჭდვენო, დახურეს. დაპატიმრებულია რამდენიმე საეჭვო პირი.

ქედი მოიხარეს

ვარშავა, 11 ივნისი. პოზნანიდან, პომერანიიდან და სილეზიიდან ვარშავაში ჩამოსული დელეგაცია მიიღო პრეზიდენტმა და პრემიერმა. დელეგაციამ ერთგულობა გამოუცხადა მთავრობას.

სამთა-მადნო მუშები დათმობაზე არ მიდიან

ბალდუინი რეპრესიებს ამზადებს გაფიცულთა დასაშინებლად

რეაქციონურ გაზეთების კამპანია გაფიცულთა დახმარების წინააღმდეგ

კლაინსის განცხადება

ლონდონი, 11 ივნისი. სპალდინგში სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა შემთანხმებელმა კლაინსმა, რომელიც შეეხო ინგლისის პრესის ანტისაბჭოთა კამპანიას. კლაინსმა განაცხადა:

„საკონსტიტუციო რეჟიმი ინგლისში საერთოდ შერყეულია და ამ **მიმართულებით ყველაზე მეტს ცდილობს კაპიტალისტური პრესა** რომელიც დაუსრულებლად მსჯელობს საბჭოთა ბელადების განცხადების შესახებ. **ის დახმარება, რომელსაც საბჭოთა რუსეთი აწვდის სამთამადნო მუშების ბავშვებს, ყოველ შემთხვევაში ნაკლებ ზიანს მოიტანს, ვინემ კონსერვატორების მოთხოვნილება, რათა ბოლო მოეღოს ამ დახმარებას.**

რამდენადაც ფანტასტიური არ უნდა იყოს ის მოტივები, რომლითაც ხელმძღვანელობენ საბჭოთა მოქალაქენი, როცა თავის წვლილს იღებენ სამთამადნო მუშების სასარგებლოთ, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ საკონსტიტუციო რეჟიმი ინგლისში საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ გაუძლოს ყოველგვარ იერიშებს გარედან".

სამთამადნო მუშები არაფერს სთმობენ

ლონდონი, 12 ივნისი. მაღაროების მუშების ფედერაციამ გამოაქვეყნა მუხლები იმ მოთხოვნილების, რომლისთვისაც სამთამადნო მუშები იბრძვიან. მაღაროების მუშები აღნიშნავენ, რომ, რადგან მაღაროების მეპატრონეები სასტიკად ეწინააღმდეგებიან ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციას, მთავრობის მხრივ პირველ ნაბიჯს უნდა წარმოადგენდეს ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის გეგმის სწორად და დაწვრილებით განსაზღვრა, რათა ის ფართოდ იქნეს განხილული და გაკრიტიკებული. თავის დეკლარაციაში მაღაროების მუშები აცხადებენ:

„ჩვენ გვსურს ისეთი შეთანხმების მიღწევა სამუშაო ხელფასის შესახებ, რომელიც მოგვცემს მტკიცე სამუშაო ხელფასის გარანტიას და უზრუნველყოფილი მდგომარეობას, მუდმივ გაფიცვების გარეშე".

პრესა გაფიცულთა პოზიციის შესახებ

ლონდონი, 12 ივნისი. კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფ" ეხება მაღაროების მუშების მოთხოვნილებას და სწერს, რომ ამ მოთხოვნილებათა შინაარსის მიხედვით მთავრობა მოინდომებს ორივე მხარის შეთანხმებას და ისეთი გადაწყვეტილების მიღწევას, რომელიც არ განხორციელდება, თუ მაღაროების მუშათა ფედერაცია არ დასთმობს თავის ზოგიერთ მოთხოვნილებას. ამას „დეილი ტელეგრაფ" დასძენს, რომ ამ დღეებში შესაძლებელი იქნება მოლაპარაკების განახლება და ერთგვარი იმედიც არის, რომ ის ნაყოფიერად დამთავრდეს; და თუ საკითხის გადაჭრა სწორედ ამ მიზნის მიხედვით იქნება ჩამოყალიბებული, მთავრობა უყოყმანოდ გამოიყენებს ხელსაყრელ შემთხვევას.

„დეილი ტელეგრაფ"-ის აზრით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქვანახშირის მრეწველობაში წარმოშობილი კონფლიქტები ახალ ფაზას განიცდის.

განზრახვაზე ხელი აიღეს

ლონდონი, 11 ივნისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის აღმასკომმა დაადგინა გააუქმოს თავისი წინანდელი დადგენილება პარლამენტში მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების რეზოლიუციის შეტანის შესახებ.

სოფლის მუშების წვლილი

პარიზი, 12 ივნისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობით, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის მუშების კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამთამადნო მუშათა ოჯახების დასახმარებლად 1.000 გირ. სტერლინგი გადაიდოს.

ბალდუინი რეპრესიებს ამზადებს

ლონდონი, 11 ივნისი. ბალდუინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობა იმუშავებს საკანონმდებლო და ადმინისტრატიულ ზომებს, რომელნიც აღნიშნული იყვნენ მთავრობის წინადადებაში მაღაროს პატრონების და სამთამადნო მუშების მიმართ. ამ საკითხის გარშემო თემთა პალატაში კამათი გაიხსნება 15 ივნისს.

მაღაროს მუშები არ სთმობენ

ლონდონი, 11 ივნისი. ინგლისის **სამთამადნო მუშების ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მხარს უჭერს თავის პირვანდელ მოთხოვნილებებს შრომის ხელფასის არსებული დონის დაცვის, შვიდი საათის სამუშაო დღის დაკანონების, ნაციონალური მასშტაბით კოლექტიური ხელშეკრულების დადების და ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ.**

დახმარება გაფიცულებს

ლონდონი, 11 ივნისი. **გერმანიის მუშებმა ინგლისის მაღაროს მუშებს დღემდი 25.000 გირვანქა სტერლინგი გადაუგზავნა.**

კაპიტალისტური პრესის ოინები

ლონდონი, 11 ივნისი. პრესის ნაწილი **კამპანიას აწარმოებს კუკსა და სმიტს შორის უთანხმოების ჩამოგდების მიზნით.** გაზეთები ამისათვის სარგებლობენ სმიტის განცხადებით პროფკავშირების აღმასკომის კონფერენციაზე, რომ ნახშირის მრეწველობის გამომრკვევი კომისიის მოხსენება შესაძლებელია მიღებული იქნეს მისი მუხლობრივათ განხილვის შემდეგ.

საბჭოთა კავშირის დახმარება

ლონდონი, 12 ივნისი. „დეილი-მეილის" ცნობით მაღაროს მუშების ფედერაციის სახელზე, მოსკოვიდან გადმოგზავნილია კიდევ 1 მილ. მანეთი. „დეილი-მეილის" სიტყვით ამ ფულის ისევე როგორც წინათ გამოგზავნილის დანიშნულება იმაშია, რომ ხელი შეუწყოს მემაღაროელთა გაფიცვის გახანგრძლივებას და ბრიტანეთის მრეწველობის განადგურებას".

გაზეთის დიპლომატიური კორესპონდენტი ლაპარაკობს, რომ ბრიტანეთის მთავრობა განზრახ არ მიაქცევს ყურადღებას საბჭოთა მთავრობის ამ აქტს და ამ ფულების გადაგზავნას ხელს არ შეუშლისო.

კუკმა განაცხადა, რომ ახლახან მოსკოვიდან მიღებულია 38.000 გირვანქა სტერლინგი.

მთლიანი ფრონტით

პრაღა, 11 ივნისი. ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტია ენერგიულ კამპანიას აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ბაჟების დაწესების წინააღმდეგ და ამასთან ერთად იგი აწარმოებს კამპანიას მთლიან ფრონტის შექმნისათვის.

9 ივნისს ვიტკოვეცაში რკინის გზის ქარხნის 12.000 მუშამ ერთი საათის გაფიცვა ჩაატარა და დემონსტრაცია მოაწყო. ქალაქის მთავარ მოედანზე შესდგა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ კომუნისტები, ნაციონალისტები და სოციალ-დემოკრატები. გარდუბიცაში **ყველა ქარხნების მუშებმა დაადგინეს 15 ივნისს ჩაატარონ ერთი საათის გაფიცვა და მოაწყონ დემონსტრაცია.**

9 ივნისს საღამოთი ოსტრავში სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების გაერთიანებული დემონსტრაცია მოხდა ფაშისტების წინააღმდეგ. სხვა პროვინციალურ ქალაქებშიაც მოხდა მუშათა გაერთიანებული დემონსტრაციები.

წყალის ნაყვა

შევა თუ არა გერმანია ერთა ლიგის საბჭოში

პარიზი, 11 ივნისი. „ტანი"-ს აზრით, ბრაზილიის გამოსვლა ერთა ლიგიდან ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ გერმანია მიღებულ იქნება ერთა ლიგის საბჭოს სექტემბრის სესიის მიერ, რადგან ლიგის საბჭომ ჯერ ბრაზილიის მაგიერ სხვა წარმომადგენელი უნდა აირჩიოს.

ბრაზილიის საბოტაჟი

ბერლინი, 12 ივნისი. ჯერ შეუმოწმებელი ცნობებით, ბრაზილიამ სამხრეთ ამერიკის ყველა რესპუბლიკებს წინადადებით მიმართა მიჰბაძონ მის მაგალითს და უარი სთქვან ერთა ლიგის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე.

ინგლისელ მემაღაროების გაფიცვის გამო

ისტორიული „თხუნელა" კარგად თხრის...



საქართველოს ცაკის სესია სოხუმში

პირველი სხდომა

საქართველოს მთავრობის ანგარიში

ამხ. შ. ელიავას მოხსენება

სოხუმი, 12 ივნისი. მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ელიავას (ხანგრძლივი ტაში).

მენშევიკების პოზიცია აფხაზეთში

„ამხანაგებო—ამბობს ამხ. ელიავა—სანამ გავეცნობდეთ საქართველოს მთავრობის თვალსაზრისს ჩვენი მუშაობის პერსპექტივების შესახებ, მე საჭიროდ მიმაჩნია შევაჩერო თქვენი ყურადღება იმ ურთიერთობაზე, რომელიც არსებობდა „დემოკრატიულ“ საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთის ხალხს შორის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

საქართველოს და აფხაზეთს თავისუფალი არსებობის საშუალება მისცა რუსეთის რევოლიუციამ. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველომ ამიერ-კავკასიის სხვა ერებთან ერთად ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა რუსეთის მუშათა კლასთან და რუსეთის გლეხობასთან.

ამის შემდეგ აფხაზეთი შეეცადა გამოერკვია თავისი ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკასთან.

1918 წელს, ივნისში, საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ხალხს შორის დადებული იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალით (გამოტოვებულია) ჩაუდგა პოლკოვნიკი თავადი ჩხოტუა. ამ სამინისტროს დაარსების პირველ დღიდანვე მწვავდება ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აფხაზეთს შორის.

შემდეგ ორატორი აქვეყნებს მთელ რიგ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომელთაგან სჩანს, რომ სპეციალურ სამინისტროს დაარსების შემდეგ, აფხაზეთის მდგომარეობა ოდნავადაც არ შეცვლილა და საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ დაწესებულებების ცალკე უწყებები და თანამდებობის პირები აფხაზეთს უყურებდენ არა როგორც ავტონომიურ რესპუბლიკას, არამედ როგორც საქართველოს პროვინციას. მენშევიკების მთავრობა სისტემატიურად ფეხ-ქვეშ სთელავდა აფხაზეთის უფლებებს და ცდილობდა გადაექცია აფხაზეთი ექსპლოატაციის ობიექტად. საქართველოს მთავრობის უშუალო განკარგულებაში იყო აფხაზეთის ყველა ფონდები, ტყეები, მამულები და განსაკუთრებით მიწის ფონდები, რომელთაც ის იყენებდა უცხო ელემენტების ჩასახლების პოლიტიკისათვის.

ყველა ეს ღონისძიებები ცხოვრებაში ტარდებოდა სამხედრო ექსპედიციების და აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე სამხედრო გარნიზონების დაბანაკების საშუალებით. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის ავტონომიურ აფხაზეთს არა ერთხელ მიუმართავს თხოვნით დაეკმაყოფილებია მთელი რიგი სამეურნეო მოთხოვნილებებისა, მაგრამ მას ყოველთვის კატეგორიულ უარს ეუბნებოდენ.

თუ თქვენ დაუკვირდებით, როგორი იყო საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება,—ამბობს შემდეგ მომხსენებელი,—მიწათმოწყობის საკითხებისადმი, თქვენ დაინახავთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გარკვეულ კოლონიზატორულ პოლიტიკას აწარმოებდა აფხაზეთში. მე მაქვს ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ პლანტატორ-ბერძნებისა, სომხებისა და სხვ. მიერ მიტოვებულ მიწებს იძენდენ, რომ გადაეცათ სამეგრელოდან, სვანეთიდან და ლეჩხუმის მაზრიდან გადმოსახლებულთათვის.

ამგვარად, აფხაზეთის კოლონიზაცია სწარმოებდა იმგვარად, რომ შეექმნათ შავი-ზღვის სანაპიროებზე მოსახლეობის ისეთი უმრავლესობა, რომელიც აფხაზეთს გადააქცევდა საქართველოს რესპუბლიკის ჩვეულებრივ მაზრად და პროვინციად. მე არ შევჩერდები ამ საკითხზე, ვინაიდან, ვფიქრობ, რომ იგი ყველასათვის საკმაოდ ნათელია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ

ექვსი წელიწადია მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლება მოეწყო. პირველსავე დღეს ჩვენ შევუდექით ამ ტერიტორიაზე ჩვენი პარტიის ძირითადი ლოზუნგის განხორციელებას: ერთა თვითგამორკვევა—საკუთარ სახელმწიფოს შექმნის უფლების მინიჭებამდე; ჩვენ ამას ვაღიარებდით ერთად-ერთ სწორ გზად სადაო საკითხების გადაწყვეტისათვის განსაკუთრებით იმიტომ, რომ მენშევიკური მთავრობის მთელი მუშაობა და ყოველივე ის, რაც ქართულის სახელით ატარებდა, დიდ იჭვსა და სრულ უნდობლობას იწვევდა აფხაზეთის მოსახლეობის მასებში.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლის განმავლობაში კავშირის სხვა რაიონებში არც ერთ პატარა რესპუბლიკაში არ ყოფილა იმდენი დაბრკოლებანი და შემოქმედებითი მუშაობის ხელისშემშლელი ძალები, როგორიც იყვნენ საქართველოში. სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის მოგვარება და მოსახლეობის კულტურ. დონის აწევა გვიხდებოდა მრავალრიცხოვან და ძლიერ მოწინააღმდეგეებთან გამძაფრებულ ბრძოლის პირობებში. სხვათა შორის, არც აზერბეიჯანი, არც სომხეთი, არც ნახიჩევანის რესპუბლიკა არც ყარაბახი და არც აჭარისტანი არ განირჩევიან ეროვნებათა და აღმშენებლობის იმ მრავალფეროვნებით, როგორც საქართველო და აფხაზეთი.

ეხლა თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ხუთმა, უფრო სწორედ ექვსმა წელმა, რომელმაც გაჰვლო საქართველოში და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისდამყარების დღიდან, ჩვენ მიგვიყვანა ისეთ შედეგებამდე, რომლებიც სავსებით უზრუნველჰყოფენ ეკონომიურ და კულტურულ განვითარების შესაძლებლობას.

მეორე საკითხია,—როგორი იქნება განვითარების ტემპი, ჩქარი თუ ნელი ნაბიჯით წავალთ წინ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ იმედიანად, მტკიცე ნაბიჯებით მივდივართ და ვივლით მომავალშიაც შემდგომი განვითარების გზით.

მე არ შევეხები საკითხს, თუ რა დონეზე იმყოფება ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-მეურნეობა. შემიძლია მხოლოდ ვსთქვა, რომ აღდგენის პროცესი სრულდება. იგივე ხდება მრეწველობის დარგშიც. ეხლა ჩვენ შევდივართ ახალ ხანაში, როცა საჭირო იქნება საფუძვლიანი და ტეხნიკური ბაზისის შეცვლა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში.

კულტურული მხრით ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ.

მჭიდრო ხალხთა კავშირი

როგორ მივაღწიეთ ჩვენ, ამხანაგებო, ასეთ მდგომარეობას, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენს შემდგომ განვითარებას? საქართველოს გასაბჭოების პირველ დღიდანვე ჩვენ შევიგნეთ, რომ საქართველოს მუშების და გლეხების განმარტოებით არსებობა შეუძლებელია. სხვა ხალხებთან მჭიდროთ დაუკავშირებლათ ჩვენ განვითარება არ შეგვიძლია. მაშინვე ჩვენ დავსვით საკითხი იმ ხალხთა დაახლოვების ფორმების შესახებ, რომელნიც ისტორიულად ერთმანეთისაგან დაშორებული იყვნენ და რომელნიც მთელი საუკუნის მანძილზე მშვიდობიანი თანაცხოვრებიდან ურთი-ერთ ომებზე გადავიდენ. აქედან, ბუნებრივია, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა და ამის შემდეგ გაერთიანება უფრო ფართო მასშტაბით. თქვენ იცით, რომ შეიქმნა საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკების კავშირი.

ეხლა საბჭოთა საქართველო თავის თავს მეტად იმედიანათ გრძნობს, რამდენათაც ის დიდი საბჭოთა კავშირის ნაწილია, რომელსაც შეუძლია იმედი ჰქონიოს, რომ მიიღებს კავშირიდან ორგანიზაციულ და მატერიალურ დახმარებას, აგრეთვე დახმარებას კულტურულ და სამეურნეო განვითარების დარგში. ბუნებრივია, რომ აფხაზეთიც, რომელიც ერთგვარ ხელშეკრულების პირობებში შედის საქართველოს შემადგენლობაში, თავის თავს ამ დიდი კავშირის ნაწილად გრძნობს.

ჩვენი ბიუჯეტი

რა არის მაჩვენებელი ჩვენი ზრდისა? მე მოვიყვან პატარა მაგალითს ჩვენი ბიუჯეტის შენების დარგიდან. თუ ჩვენ შევადარებთ წარსულ წლის ჩვეულებრივ ბიუჯეტს—სახელმწიფო აპარატების შესანახად, სპეციალურ თანხათა გამონაკლისით, რომელსაც ხარჯავს კავშირი ჩვენი სოფლის მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლათ, ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველოს და აფხაზეთის ბიუჯეტი წარსულ წელთან შედარებით 52%-ით გაიზარდა. თუ დაუკვირდებით, როგორ ნაწილდება ეს ბიუჯეტი სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებს შორის, თქვენ დაინახავთ, რომ საქართველოში პირველი ადგილი უჭირავს განათლების სახ. კომისარიატს, ამასთან, თუ მასწავლებლებს გამოვრიცხავთ, რომელთა შესანახ ხარჯებს იძლევა კავშირი სუბვენციის ფონდიდან, მაშინ განათლების სახ. კომისარიატის ბიუჯეტი საქართველოს მთელი ბიუჯეტის 50,8%-ს შეადგენს.

აფხაზეთში ცოტა სხვანაირი მდგომარეობაა: აქ განათლების სახ. კომისარიატს სწორი პოზიცია უჭირავს ხარჯების განაწილების თვალსაზრისით. აფხაზეთის განათლების სახ. კომისარიატის ბიუჯეტი ამ წელში 37,3%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც შარშან იგი შეადგენდა 28 -ს, ამასთან განათ. სახ. კომის. მონაწილეობა ბიუჯეტში წელს გაიზარდა, მაშინ, როდესაც საქართველოში ეს მონაწილეობის რაოდენობა რამდენათმე შემცირდა.

თუ ჩვენ ავიღებთ, მაგალითად, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს, ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველოში მის ბიუჯეტს ამ წელში მეორე ადგილი უჭირავს—15,7%, აფხაზეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს კი მესამე ადგილი უჭირავს—14%.

მეორე მნიშვნელოვან კომისარიატის—მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ბიუჯეტს საქართველოში არ უჭირავს ისეთი ადგილი, როგორიც მას ეკუთვნის. შარშან იგი უდრიდა—13.5%-ს, წელს კი—ცოტა მეტია 20%-ზე. აფხაზეთში მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს მეორე ადგილი უჭირავს 15,5%.

მე არაფერს ვლაპარაკობ იმ ხარჯების შესახებ, რომლებიც არ შედიან ჩვეულებრივ ბიუჯეტში და ცალკე, საგანგებო ფონდს წარმოადგენს ყოველგვარ აღმშენებლობისათვის.

მრეწველობის განვითარებისათვის

თქვენ იცით, რომ ჩვენი მხარე—საქართველო და აფხაზეთი, ისე როგორც საერთოდ მთელი ჩვენი კავშირი, უმთავრესად აგრარული ქვეყანაა. ეს ითქმის განსაკუთრებით ჩვენს ქვეყნებზე, ვინაიდან ძველი წესწყობილების მემკვიდრეობად თითქმის არავითარი მრეწველობის ჩანასახი არ მიგვიღია. ეხლა დგება ხანა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მოწყობისა, რისთვისაც ჩვენ გვაქვს ყველა წინასწარი პირობები და ნივთიერი საფუძვლები. ჩვენი ქვეყანა მდიდარია ძვირფასი კულტურებით, არის ბამბა, აბრეშუმი, მატყლი, თამბაქო, ღვინო, ჩაი და აურაცხელი ისეთი სასოფლო სამეურნეო პროდუქტები. რომლებიც მოითხოვენ გადამუშავებას და სამრეწველო პროდუქტებად გადაქცევას. ეხლა ჩვენი ამოცანაა—შექმნა ისეთი მეურნეობისა, რომლითაც ამ გლეხის პროდუქციას ნივთიერ სარგებლიანობის მომცემ საქონლად გადავაქცევთ.

ამასთან ერთად, ჩვენ გვაქვს მტკიცე საფუძველი მსხვილი მძიმე მრეწველობის განსავითარებლად,—ჩვენ მდიდარი ვართ ქვა-ნახშირით, ტყით და სხ. ჩვენ, ამხანაგებო, აღმშენებლობითი გეგმების შედგენის დროს ვხელმძღვანელობთ არა კოლონიალურ თვალსაზრისით, არა იმ თვალსაზრისით, რომ აი, აქ ბევრი სიმდიდრეა და იგი უნდა წავიღოთ.

ჩვენ ვდგავართ შრომისა და ფუნქციების განაწილების თვალსაზრისზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის, რაც უნდა გაკეთდეს აქ ჩვენი კავშირის ინტერესებისათვის და ჩვენი კავშირის ყველა ქვეყნების მშრომელთათვის, უნდა გაკეთდეს თვით აფხაზეთის მოსახლეობის ხელებით და, უმთავრესად, მისი ინტერესებისათვის. სწორედ ასე, როგორც ჩვენ ვამბობთ, რომ ის, რაც შეიძლება გაკეთდეს საქართველოში და აზერბეიჯანში, უნდა გაკეთდეს იქ, ამასთან ერთად, მხედველობიდან არ უნდა იქნას გამოშვებული ერთი წუთითაც კი იმ მუშებისა და გლეხების ინტერესები, რომლებიც ამიერ-კავკასიის საზღვრების იქით ცხოვრობენ.

მე ვფიქრობ, რომ რადგან ჩვენ შევედით აღმშენებლობის ახალ ეპოქაში და მსხვილი მრეწველობის შექმნას შევუდექით, ისმება საკითხი: როგორ გავაკეთებთ ამას?

მე ვფიქრობ, რომ ეხლა უკვე დგება ახალი ხანა ამ სამეურნეო შემოქმედებითი მუშაობაში, რომ საჭიროა ცოტა სხვანაირი კონტაქტი, საჭიროა რიგების სხვაგვარი შემჭიდროება.

მე სრულებითაც არ ვამცირებ საქართველოს და აფხაზეთის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის მნიშვნელობას, მე არც ვეხები ამ საკითხს, მაგრამ საჭიროა მჭიდროდ შეკავშირება, რომ მთლიანი გეგმით—უდიდეს მომჭირნეობის დაცვით გამოვარკვიოთ ამა თუ იმ სამუშაოს დამკვრელი ხასიათი და ისე დავაყენოთ მუშაობა, რომ მახლობელ წლებში ვიგრძნოთ თავი უფრო თავისუფლად და სტიქიურ ძალებისაგან დამოუკიდებლად.

ეხლა, იმის შესახებ, თუ რა უნდა გავაკეთოთ საქართველოში და აფხაზეთში—მრეწველობასა და სასოფლო-მეურნეობის განვითარების დარგში. ჩვენ ეხლა შევუდექით ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა განაყოფიერებისათვის მუშაობას. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა საქართველო მოკლებული იყო საშუალებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცია აფხაზეთის საჭიროებისათვის, პირველი—იმიტომ, რომ ჩვენ ვაწარმოებდით ძალიან მძლავრ შინაურ ბრძოლას.

მეორე—იმიტომ, რომ ჩვენ აქამდე დარწმუნებული ვიყავით, რომ სანამ საქართველოს არ შეუძლია აფხაზეთისათვის რეალური დახმარების გაწევა, აფხაზეთის შინაურ მუშაობისადმი დიდი ინტერესის გამოჩენა საბჭოთა საქართველოს სასარგებლოდ არ იქნებოდა გაგებული.

ეხლა, როცა აპარატი მოგვარებულია, ჩვენ განზრახული გვაქვს ყოველგვარი ზომები მივიღოთ, რომ აფხაზეთი განვითარდეს. ჩვენ ვისწრაფვით, რომ აფხაზეთი ვითარდებოდეს საქართველოს განვითარების თანაბარი დონით, ერთგვარ პირობებში, ყველა საჭიროებათა ერთგვარ დაკმაყოფილებით, რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა აფხაზეთის განვითარება, საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის გამო, გვიანდება და ბრკოლდება.

ამას წინედ ჩვენ დავამუშავეთ საქართველოს მრეწველობის განვითარების ხუთწლოვანი გეგმა.

სრულიად შეგნებულად, ჩვენი პროგრამის განხორციელების წესით, საქართველოს სხვა რაიონებში ღონისძიებათა დასახვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ განსაზღვრული მოთხოვნილებები აფხაზეთისათვის, ამასთან, ამ მოთხოვნილებებს ჩვენ უყენებთ დასაკმაყოფილებლად კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს საგანგებო ხარჯთა-ფონდის ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

ჩვენს წინაშე სდგას მორიგი ამოცანა სატყეო მრეწველობის განვითარებისა, რისთვისაც ხუთწლისათვის გამოთხოვილია არა ნაკლებ 2 მილიონი მანეთისა. შემდეგ დაკვრითი წესით ჩვენ ვაყენებთ ქვა-ნახშირის დამუშავებას ტყვარჩელში, რისთვისაც ხუთი წლისათვის მოვითხოვთ 6 მილიონს. გარდა ამისა, ჩვენს ამოცანაში შედის სამკურნალო ბალახთა კულტურა და მათი გადასამუშავებელ ქარხნის მოწყობა. ჩვენი საერთო მოთხოვნილება, აფხაზეთში მრეწველობის განვითარებისათვის, ხუთი წლის განმავლობაში, 8,5 მილ. მანეთში გამოიხატება.

მრეწველობის გარდა, აფხაზეთში ჩვენ გვაქვს, ისე როგორც საქართველოს სხვა სასოფლო - სამეურნეო რაიონებში, ობიექტების მთელი რიგი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის და რომლებიც უნდა განცხოველდენ და განაყოფიერდენ. მაგალითად, წელს ჩვენ მოვაწყვეთ სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“, რომლის კაპიტალი 5 მილიონ მანეთს შეადგენს. საქართველოს და აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე არის 120.000 დეს. ჩაის გასაშენებლად გამოსადეგი მიწა

თამბაქოს მრეწველობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთავრობის მხრივ. ჩვენ ვიღებთ ყოველგვარ ზომებს რომ მიწის მთელი სივრცე იქნას გამოყენებული, ვინაიდან თამბაქოს მრეწველობა აფხაზეთის მშრომელი მასის კეთილდღეობის წყაროა.

მიმდინარე წელში საქართველოს რესპუბლიკას მიეცა საშუალება, რომ მან თავის თანხიდან, რომელიც მას დარჩა შავი-ქვის ოპერაციებიდან, მარგანეცის საქმის კონცესიონერებისათვის გადაცემამდე, აფხაზეთის მრეწველობის საჭიროებისათვის გამოჰყო განსაზღვრული ნაწილი. ამგვარად, მხოლოდ წელს შევსძელით ჩვენ მცირე წვლილი შეგვეტანა ადგილობრივ მრეწველობის ჩანასახების განსავითარებლად და მოსაწყობად. რასაკვირველია, ჩვენ გვაქვს აფხაზეთის მრეწველობისა და მეურნეობის სხვა მრავალი დარგი, რომელიც უნდა განვავითაროთ. ცხადია, რომ ყველაფერს ერთად და ერთბაშად ვერ გავაკეთებთ.

ჩვენ უნდა მივდიოდეთ წინ თანდათანობით და ზომიერად, არც ერთი კაპეიკი არ უნდა დავხარჯოთ ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგების ნაადრევად გაფართოებისათვის. ამასთან ერთად, ამხანაგებო, მე უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ ეხლა სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ახალი სახით ვაწესებთ. ამ წელიწადში ჩვენ მოგვეცა უფლება სასოფლო-მეურნეობის ზოგიერთი ელემენტების გადასახადისაგან განთავისუფლებისა.

ჩვენ ვზრუნავთ, რომ მცირე შეძლების გლეხის მეურნეობებს შევუმსუბუქოთ მდგომარეობა. ამჟამად ჩვენ ვიღებთ მთელ რიგ ზომებს, რომლებიც სასოფლო-მეურნეობის განვითარებას შეუწყობენ ხელს და გლეხებს შეუმსუბუქებენ მუშაობას. სერიოზული ყურადღება აქვს აგრეთვე მიქცეული სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს და აფხაზეთს, რომლებსაც აქვთ დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრენი, მადანი, მრავალფეროვანი კულტურები და მიწის მდიდარი წიაღი, თვით მეურნეობის რიგიანად მოწყობით და საქმის ჯეროვანად დაყენებით, ურთიერთ მჭიდრო თანამშრომლობით და შრომისა და ფუნქციების რაციონალურად განაწილებით, სასწაულების მოხდენა შეუძლიათ.

მე აღარ ვლაპარაკობ იმის შესახებ, რომ აფხაზეთი წარმოადგენს კლიმატიურ სადგურს თავისი კურორტებით. შესაძლოა, რომ საკურორტო ადგილების განვითარება მეტ შემოსავალს მისცემდა ჩვენს რესპუბლიკებს, მაგრამ ჩვენ ჯერ არა გვაქვს საკმაო ორგანიზაცია და კულტურა. საჭირო თანხების უქონლობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ამ სარგებლიანობის მიღება, როგორც სხვა ქვეყნებს—გერმანიას, შვეიცარიას და იტალიას.

მე ვათავებ ჩემს მოხსენებას, რომელშიაც ცოტაა ციფრები, მაგრამ ესეც კი იძლევა საშუალებას მსჯელობა ვიქონიოთ ჩვენი პროგრამისა და პერსპექტივების შესახებ. მე ვფიქრობ, რომ საერთო თანხმობით და ერთობით სამეურნეო ღონისძიებათა მიღების დროს, ჩვენ ძალიან ბევრს მივაღწევთ.

თავის სიტყვას მომხსენებელი შემდეგი სიტყვებით ათავებს:

„აუცილებელია, რომ ცალკე ეროვნებათა წარმომადგენლებმა აღარ დაუპირდაპირონ თავიანთი თავი ერთი-მეორეს და იგრძნონ თავი ერთი მთლიანი მშრომელი ოჯახის წევრებად, რომელმაც უნდა იმუშაოს ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, დაიმორჩილოს ბუნების ძალები და გახდეს მისი მბრძანებელი.

საქართველოს და აფხაზეთის მშრომელი მასები მჭიდრო რიგებით მიაღწევენ ამ გამარჯვებას“.

მეორე სხდომა

სოხუმი, 12 ივნისი. აფხაზეთის მთავრობის მოხსენება, რომელსაც ამხ. ლაკობა გააკეთებს, გადაიდო შემდეგი დღის დილის სხდომისათვის.

ამხ. ელიავას სიტყვის შემდეგ სხდომა ათი წუთით შესწყდა.

სხდომის განახლების შემდეგ ამხ. ვარძიელი მოხსენებას აკეთებს რევოლიუციონური კანონიერების შესახებ.

რევოლიუციონური კანონიერება

ამხ. ვარძიელის მოხსენება

მომხსენებელი განმარტავს, როგორ ესმოდა ლენინს რევოლიუციონური კანონიერება, როგორ ესმოდა და ესმის ის კომუნისტურ პარტიას, და ლაპარაკობს:

„ჩვენ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ დღემდე ჩვენს განაპირა მხარეებში, განსაკუთრებით, თემებში და სოფლებში, კიდევ საკმაოდ ფეხი ვერ მოიკიდა რევოლიუციონურმა კანონიერებამ და ადგილებზე მას სერიოზული დაბრკოლებები ელობება წინ. ეს დაბრკოლებები ჯერ ერთი იმაში მდგომარეობენ, რომ ადგილებს სათანადოთ და საკმაო რაოდენობით ვერ სწვდება ჩვენი დეკრეტები. მეორე,—ადგილებზე არა გვყავს პოლიტიკურ მუშაკების საკმაო კადრი“.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ეხება რევოლიუციონური კანონიერების განხორციელების პირობებს, და ლაპარაკობს:

— რა არის რევოლიუციონური კანონიერება? როგორ შეიძლება ის ჩამოვაყალიბოთ ეხლანდელ პირობებში? ჩემი აზრით, რევოლიუციონური კანონიერება—ეს არის ხელისუფლების ორგანოების მიერ მართვა-გამგეობის ისეთი მეთოდების განხორციელება ქვეყნის ადმინისტრატიულ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების დარგში, რომლებიც რევოლიუციის განვითარების ეხლანდელ პირობებში, მისი ეხლანდელი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის დროს, დამყარებული იქნებიან საბჭოთა ხელისუფლების კანონთა ცხოვრებაში სისწორით გატარებაზე და რომლებიც კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს, ხელს შეუწყობენ წინსვლას სოციალიზმისაკენ. როგორ უნდა განხორციელდეს რევოლიუციონური კანონიერება? როგორ უნდა გვესმოდეს რევოლიუციონური კანონიერების ცხოვრებაში გატარება?

მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენ, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიურად უნდა გადავიდეთ სამხედრო კომუნიზმის ძველი მეთოდებიდან რევოლიუციონური კანონიერების ახალ მეთოდებზე. გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ ადმინისტრატიულ თვითნებობას ადგილებზე, განსაკუთრებით თემებში და სოფლებში.

ორატორი ლაპარაკობს სოციალისტური მშენებლობის საქმეში მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩაბმაზე და საჭიროდ სთვლის სასტიკ ბრძოლას ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ, რაც ჯერ კიდევ სავსებით აღმოფხვრილი არ არის. შემდეგ მომხსენებელი ეხება სხვადასხვა სახის თანამდებობრივ ბოროტმოქმედებას, როგორიც არის მეფლანგველობა და მითვისება ქალაქში—ცენტრში და ზნეჩვეულებრივი ბოროტმოქმედებანი სოფლად, როგორიც არის მკვლელობანი, ძარცვა და საქონლის ქურდობა. მომხსენებელი ლაპარაკობს:

„მომავალში სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტები დიდ მუშაობას გასწევს რევოლიუციონური კანონიერების გატარების საქმეში. ათობით, ასობით და ათასობით მუშები და გლეხები გამოდიან სახალხო მსაჯულებად, მონაწილეობენ მართლმსაჯულების საქმეში. აქ მუშათა და გლეხთა ფართო მასები ეცნობიან იმას, თუ როგორ ებრძვის საბჭოთა ხელისუფლება ამა თუ იმ სახის დანაშაულებას და როგორ სჯის ის საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. რევოლიუციონური კანონიერების გატარების საქმეში ძალიან დიდ როლს თამაშობენ მუშკორები და გლეხკორები, რომლებიც პრესის საშუალებით ამჟღავნებენ მრავალ არანორმალურ მოვლენებს ჩვენს სოფლად და ჩვენს აპარატში.

თავისი მოხსენების დასასრულს ვარძიელი აცხადებს: „ჩვენ დღეს შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რევოლიუციონური კანონიერების საქმე წინ მიდის, ის ადგია მტკიცე და სწორ გზას, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ამ რევოლიუციონურ კანონიერებიდან გადახვევის შემთხვევებს.

შემდეგ თავმჯდომარე კენჭს უყრის ვარძიელის მიერ შემოტანილ რეზოლიუციას რევოლიუციონურ კანონიერების შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო. რეზოლიუცია მიღებულ იქნა საფუძვლად. ცაკის პრეზიდიუმს ევალება მისი დამატებით დამუშავება, ცვლილებების შეტანა მასში და შემდეგ გამოცემა.

ამით თავდება დილის სხდომა.

მესამე სხდომა

მილოცვები

სოხუმი, 12 ივნისი. 12 ივნისის საღამოს სხდომა მთლიანად მილოცვებს მოუნდა.

მისალმებით გამოვიდენ პროფკავშირების, საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციების, პროლეტარულ სტუდენტობისა და აფხაზეთის გლეხობის წარმომადგენელნი. ყოველი მისალმების შემდეგ ორკესტრი ასრულებდა „ინტერნაციონალს“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პიონერების გამოსვლა, რომლებიც იკითხულობენ აფხაზეთის ორგანიზაციების დადგენილებას—ძველი რევოლიუციონერების ამხ. მახარაძის, თოდრიას და გეგელიას საპატიო პიონერებად მიღების შესახებ.

ეს ცნობა იწვევს მხურვალე და ხანგრძლივ ოვაციებს.

„ამხანაგო პიონერებო,—ამბობს საპასუხო სიტყვას გეგელია,—სიტყვას გაძლევთ, რომ მთელი ჩემი ძალით არას დროს არ უღალატო თქვენი ორგანიზაციის ინტერესებს. სიტყვას ვიძლევი მე მოხუცი, რომ ჩემი სიცოცხლის დანარჩენი ხანა თქვენს კეთილდღეობას შევსწირო“.

სესიის სახელით ამხ. მახარაძე საპასუხო მისალმებაში მადლობას უცხადებს აფხაზეთის მშრომელთ გულითადი მილოცვისათვის: „ამხანაგებო,—ამბობს იგი,—ნება მიბოძეთ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით თქვენს მხურვალე და გულწრფელ მილოცვაზე გიპასუხოთ იმავე მხურვალე და გულწრფელი მილოცვით.

ჩვენ მოვისმინეთ მხურვალე სურვილები, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც უმაღლესი ორგანო, ყოველთვის იდგეს მშრომელთა მასის ინტერესების სადარაჯოზე. ამხანაგებო! მუშათა და გლეხთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არაა ისეთი ორგანო, რომელიც თავის-თავს უპირდაპირებს მუშებისა და გლეხების ინტერესებს. მე ვიმეორებ,—იგი მჭიდროთაა გადაჯაჭვული მშრომელ ხალხთან. მისასალმებელ სიტყვის დასასრულს, ამხ. მახარაძემ სთქვა:

„საქართველოს ცაკი არასოდეს არ დაივიწყებს იმ მილოცვებს და იმ გრძნობებს, რომლებიც აქ იყო წარმოთქმული სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენელთაგან. დღევანდელი საზეიმო სხდომა ყველა აქ დამსწრის გულში აღიბეჭდება და უწინარეს ყოვლისა ცაკის წევრთა გულში. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს კომუნიზმს, გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთს—„იხირხიატ აპონვი კაპში!“.

საღამოს სხდომის დახურვის შემდეგ შესდგა საზეიმო წარმოდგენა, რომელზედაც დაესწრო საქ. ცაკის მთელი შემადგენლობა და აგრეთვე მუშათა, გლეხთა და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. დადგმულ იქნა პიესა „მახაჯირი“, რომლის ავტორია აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ჩანბა.

პიესა ნათლად და ცოცხლად ხატავს აფხაზეთის ხალხის ძველ ჩვეულებებს. წარმოდგენა აფხაზური ცეკვით დასრულდა.

უკანასკნელი ცნობები

კუკის დეპეშა

მოსკოვი, 12 ივნისი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ინგლისიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ჩვენ ეხლა მივიღეთ დაახლოვებით 375,000 გირ. სტერლინგი ინგლისელ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ. გთხოვთ გულითადი მადლობა გადასცეთ ჩვენს რუს ამხანაგებს ასეთი საჩუქრისათვის.

სამთამადნო მუშების ფედერაცია კუკი.

ბიუკენის წასვლა მუშათა პარტიიდან

ლონდონი, 11 ივნისი თემთა პალატის წევრი ბიუკენი გამოვიდა შოტლანდიის მუშათა პარტიის საპარლამენტო ჯგუფიდან. ბიუკენენის ეს ნაბიჯი გამოწვეულია იმით, რომ იგი თანაუგრძნობდა საყოველთაო გაფიცვას.

სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის დეკლარაცია.

ლონდონი, 11 ივნისი. ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია:

„სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომი, რომელსაც მინდობილი აქვს სამთამადნო მუშების და მათი ოჯახების ინტერესების დაცვა, თავის მოვალეობად სთვლის მოითხოვოს, რომ მთავრობამ დაინტერესებულ მხარეთა განსახილველად წარმოადგინოს სწორი და დაწვრილებითი გეგმა ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციისა და ამით გადასდგას პირველი ნაბიჯი კონფლიქტის მოსაგვარებლად. გავრცელებული აზრი, თითქოს რეორგანიზაციის პროცესი მრავალ თვეებს, შეიძლება წლებსაც, მოითხოვს, არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან მეფის კომისიის ზოგიერთი წინადადება შეიძლება დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქნას. უსამართლოა ის, რომ მხოლოდ სამთამადნო მუშების ზურგმა უნდა გადაიტანოს გარდამავალი ხანის სიმძიმე. უკანასკნელ შვიდი წლის განმავლობაში სამთამადნო მუშები არა ერთხელ აქცევდენ ყურადღებას ნახშირის ნაკლებობას მრეწველობაში და დაჟინებით მოითხოვდენ მთავრობისაგან—შესდგომოდა მის რეორგანიზაციას. ამ უკანასკნელ მოთხოვნილებას სერიოზულ ანგარიშს არ უწევდენ. ეხლა, როცა ამ მოთხოვნილების სისწორე დაადასტურა მეფის კომისიამ, არ არის არავითარი საფუძველი იმის მოსათხოვნად, რომ სამთამადნო მუშები იტანჯებოდენ მთავრობის დაუდევრობისა და მაღაროს მეპატრონეთა ჯიუტობის გამო, რომელთაც უნარი არა აქვთ ხელმძღვანელობა გაუწიონ წარმოებას. სამთამადნო მუშები მზად არიან თავისი წვლილი შეიტანონ ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის საქმეში, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ისეთი ნაბიჯი გადასდგან, რომელიც 4 მილ. ხალხის არსებობის პირობებს აუარესებს.

რაც შეეხება მაღაროს მეპატრონეებს, მათ სხვაგვარი გამოსავლის მონახვა არ შეუძლიათ“.

წელს შეთანხმება არ მოხდება

ლონდონი, 11 ივნისი. მაღაროების მუშათა ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარემ სმიტმა თავის სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა ქალაქ ასკერნში, განაცხადა: „თუ რომ შეთანხმების წინასწარ პირობათ მიაჩნიათ მიიღონ თანხმობა მაღაროს მუშებისაგან 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, ჩვენ შეგვიძლია ეხლავე განვაცხადოთ, რომ შეთანხმება წელს არ მოხდება“.

კუკი ბირკენხედის წინააღმდეგ

ლონდონი, 11 ივნისი. ერთ-ერთ მიტინგზე კუკმა დასვა საკითხი, რა უფლების ძალით ილაშქრებს ინგლისის მთავრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რატომ არ გამოდის ბირკენხედი გერმანიის ან შეერთებულ შტატების მთავრობების წინააღმდეგ; დახმარება მივიღეთ ჩვენ აგრეთვე გერმანიიდან და ამერიკიდანაც!“

განაახლეს მუშაობა

პარიზი, 12 ივნისი. ინგლისის ზოგიერთ სანახშირო რაიონში მაღაროების მუშებმა განაახლეს მუშაობა.

მდგომარეობის გამწვავება გერმანიაში

პოლიტიკური კრიზისი

პარიზი, 12 ივნისი. გერმანიის ზოგიერთი გაზეთის ცნობით, გერმანიის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. პარლამენტის წრეებში გუშინ აშკარად ლაპარაკობდენ რეიხსტაგის დათხოვნისა, ახალი არჩევნებისა და თვით ჰინდენბურგის გადადგომის შესახებ.

კომპარტიის რეზოლიუცია

ბერლინი, 11 ივნისი. რეისხტაგმა უარჰყო მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების რეზოლიუცია, რომელიც შეიტანეს კომუნისტებმა პრეზიდენტ ჰინდენბურგის ლებესადმი მიწერილ წერილის გამო. სოციალ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს.

სისხლის ღვრა რუმინეთში

ვენა, 11 ივნისი. რუმინიის საოლქო საბჭოების არჩევნებს თან მოჰყვა შეჯახება გლეხებს და ჟანდარმერიის შორის. ამგვარ შეჯახებას ადგილი ჰქონდა მთელ ძველ რუმინიასა და სემიგრადში. გუნედოარის რაიონში (სემიგრადიაში) ჟანდარმები ესროდენ გლეხებს, როდესაც ეს უკანასკნელნი ყუთებთან მიდიოდენ კენჭის მისაცემად.

მოკლულია სამი გლეხი, დაჭრილია მრავალი. ძველი რუმინიის ტელეგორმანის რაიონში მოკლულია მრავალი გლეხი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

პარიზი, 12 ივნისი. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ პოლონეთი უწინარეს ყოვლისა ეცდება კეთილმეზობლური დამოკიდებულება დაამყაროს საბჭოთა კავშირთან. ამასთან ერთად დაუმატა, რომ ის ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ პილსუდსკი შესძლებს პოლონეთის შინაური მდგომარეობის განმტკიცებას, რითაც ხელს შეუწყობს მის საერთაშორისო როლის გაძლიერებას.

რეშად ბეის მკვლელი

ლონდონი, 12 ივნისი. „დეილი მეილ“-ის მილანელი კორესპონდენტის ცნობით, იტალიის ხელისუფლებამ დააპატიმრა ყოფილ სულთანის ზექია ბეის მოლარე—ადმინისტრატორი, რომელსაც ბრალდებოდა მუხამედ მე-5-ის ლეიბ-ექიმის და პირად მრჩეველის რეშად ბეის მოკვლა. რეშად-ბეი მოკლულ იქნა 1921 [illegible] მაშინ ფიქრობდენ, რომ [illegible]ვი, მაგრამ ამს ანგორაში არავინ უჯეროდა. ქემალ ფაშა ბრალს სდებდა ყოფ. სულთანს, რომელმაც რეშად ბეი მოჰკლა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მას კავშირი ჰქონდა ქემალისტებთან. დიდი კვლევა-ძიების შემდეგ იტალიის ხელისუფლებამ [illegible]

ქართულ ემიგრაციის ბანაკიდან

კარლო ჩხეიძის გარდაცვალება

პარიზი, 12 ივნისი. საქართველოს დამფუძნებელი კრების ყოფილი თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე, რომელმაც 7 ივნისს, თვითმკვლელობის მიზნით, თავი დაიჭრა, გარდაიცვალა.

კარლო ჩხეიძე



დეპეშათა სააგენტომ გვაცნობა, რომ 7 ივნისს, თვითმკვლელობის მიზნით, თავი დაიჭრა და 12 ივნისს უკვე გარდაიცვალა კარლო ჩხეიძე.

კარლო ჩხეიძე ერთი პირველთაგანია მათში, რომლებმაც დაარსეს საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსების პირველ დღიდან ამა ივნისის 12-მდე თავდადებულად მუშაობდა მენშევიკური პრინციპების განსახორციელებლად.

კარლო ჩხეიძე თითქმის მუდმივი—ფაქტიური რედაქტორი იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ლეგალური გაზეთებისა თვითმპყრობელობის დროს. ის ზედიზედ ირჩეოდა საქართველოდან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატათ და იყო ლიდერი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა. კარლო ჩხეიძე 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის პირველ [illegible]დანვე თავმჯდომარე იყო მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსი და მისი აღმასრულებელი კომიტეტისა. ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, ის იყო თავმჯდომარეთ ჯერ ამიერ-კავკასიის სეიმის, შემდეგ კი საქართველოს ეროვნული საბჭოსი, პარლამენტის და დამფუძნებელ კრებისა.

კარლო ჩხეიძე სასტიკი მოწინააღმდეგე—მტერი იყო ბოლშევიზმისა დასაწყისიდანვე. ის ასეთად დარჩა ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგაც.

ის საქართველოს გასაბჭოების პირველ დღიდან აქამდის იბრძოდა ოქტომბრის რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის—მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ის ამ ბრძოლაში დასახმარებლად იწოდებდა ევროპის ბურჟუაზიას.

კარლო ჩხეიძე და მისი პარტია უძლური აღმოჩნდენ. არ დამარცხდა ოქტომბრის რევოლიუცია—პროლეტარიატის დიქტატურა.

დამარცხდა კარლო ჩხეიძე, და თავიც მოიკლა ერთ დროს რევოლიუციონური მოძრაობის სამშობლო პარიზში. იმ პარიზში, სადაც მოიკლა თავი ცნობილმა ლაფარგმა, რომელმაც აუწყა ქვეყანას, რომ ის მოხუცდა, შეასრულა თავისი მისია, დავაჟკაცდენ მისი მოწაფეები, რომლებიც გასწევენ მის მაგიერობის და ამ იმედით გამოესალმა თავის პარტიას და სიცოცხლეს.

ასე არ მოიქცა კარლო ჩხეიძე. მან ვერავინ ვერ დასტოვა თავის მაგიერ. მისი პარტია აქ, საქართველოში, როგორც პარტია, დაიშალა, აქ კი, ემიგრაციაში დაირღვა ერთსულოვნობა - მთლიანობა, მუშური ნაწილი დაბრუნდა სამშობლოში, ინტელიგენცია კი გაიხრწნა და საბოლოოთ ჩამოშორდა რევოლიუციას.

დამარცხდა საქართველოს მენშევიკური მთავრობა, გაიხრწნა-დაიშალა მეორე ინტერნაციონალის მთლიანობა, საქართველოს სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტია, ემიგრაცია, ხოლო გაიმარჯვა ბოლშევიზმმა, ოქტომბრის რევოლიუციამ, და ყველა მის მაყურებელმა ლენინიზმმა, იმედდაკარგულმა კარლო ჩხეიძემ სიცოცხლის გამოსალმებაში იპოვა გამოსავალი.

ა. ფარნიევი.

რა ხდება ემიგრაციაში

გრიგოლ ვეშაპელი მოკლეს, კარლო ჩხეიძე ჭრილობის შემდეგ უკვე გარდაიცვალა. გრიგოლს რამიშვილის ბანდიტებმა მოუსპეს სიცოცხლე. კარლომ თვით მოისპო სიცოცხლე.

კარლო ჩხეიძეს სცნობდა საქართველოს და რუსეთის მშრომელი მასსები. ის ერთ-ერთი ლიდერი იყო საქართველოს მენშევიზმისა და როდესაც რევოლიუციონურმა ძლევა-მოსილმა რუსეთის პროლეტარიატმა ხელთ იგდო სახელმწიფოს აპარატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მან რკინის ცოცხით გახვეტა სარევოლიუციო ასპარეზიდან და ისტორიის არქივს მიუძღვნა კ. ჩხეიძე, კ. წერეთელი, გოცი, ჩერნოვი, მარტოვი, დანი და სხვა წარმომადგენლები „დემოკრატიული“ წვრილბურჟუაზიული სოციალიზმისა.

რუსეთში დამარცხების შემდეგ კ. ჩხეიძე და მისი პარტია საქართველოში მაგრდებიან, პარლამენტარულ დემოკრატიას აცხადებენ და ის, ყოფილი თავმჯდომარე რუსეთის მუშური „პარლამენტისა“ აქ, საქართველოში „ფორმალური დემოკრატიის“ ორგანოს, დამფუძნებელი კრების, თავმჯდომარედ გვევლინება.

მაგრამ, საქართველოს „ფორმალური დემოკრატიაც“ ხომ დასცა საქართველოს რევოლიუციის ისტორიის განვითარებამ, საქართველოში აფრიალდა წითელი დროშა ინტერნაციონალური კომუნისტური პარტიისა. იგივე დროშა გახლავთ საქართველოს მშრომელი მასების და მისი ავანგარდის ქართველი პროლეტარიატის დროშა. ერთ დროს მუშათა კლასის დროშის ქვეშ თვით ჩხეიძე და მისი პარტიაც იყო თავმოყრილი, მაგრამ მათ ბოლომდის ვერ შესძლეს მისი ტარება.

ქართველმა პროლეტარიატმა, ნაციონალური დროშა ძირს დაცა და წითელი დროშა მედგრად აღმართა.

ქართული მენშევიზმი და მისი ლიდერები დაეცენ. კარლო ჩხეიძემ, ნ. ჟორდანიამ და მენშევიკების სხვა ლიდერებმა ემიგრაციაში ამოყვეს თავი და იქ შეუდგენ **მშრომელთა საქართველოს საწინააღმდეგო მუშაობას**. ისინი ყველა ერთად აწყობენ იმ უდიდეს პროვოკაციას ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართულს, რომელიც დაგვირგვინდა საშინელი სისხლიანი ავანტიურით 1924 წ. აგვისტო-სექტემბრის დღეებში.

მართალია, ამ ავანტიურის მოწოდებებში, როგორც შემდეგ გამოირკვა, კ. ჩხეიძე არ ეთანხმებოდა ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილს, არა იმისათვის, რასაკვირველია, რომ ის პრინციპიალურათ წინააღმდეგი იყო აჯანყებისა, არამედ იმისათვის, რომ მას უდროვოთ მიაჩნდა ეს აჯანყება. ის წინააღმდეგი იყო, უდროვო წინდაწინვე განწირული ასეთი გამოსვლისა. და ამიტომაც, როცა ნ. ჟორდანია და მისმა სულიერმა ლაქიამ ნ. რამიშვილმა, თავის დამქაშებით ეს ავანტიურა მოაწყვეს და ყველასათვის საშინელი გახდა ამ ავანტიურის შედეგები, კ. ჩხეიძე, რომელიც, ამ ავანტიურის მოწყობას შორე-ახლო მაყურებლის როლში ეგებებოდა—განგებ ყურს იყრუებდა და თვალებს იბრმავებდა, თითქოს მან არაფერი იცისო. და აი, როდესაც იფეთქა ამ ავანტიურამ, და ის ყოველმხრივ განწირული აღმოჩნდა. კ. ჩხეიძე გამოდის პარიზის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ღია კრებაზე და აცხადებს: ჩვენს პარტიაში შეიქნა დიქტატურა რამოდენიმე პირებისა, და ამ დიქტატურამ დაგვღუპა ჩვენო; ის, რაც ჩვენ მოვუმზადეთ ქართველ ერს, ამას მისი საშინელი მტერიც ვერ უსურვებდაო. უნდა უთხრათ ხალხს მართალი ამბავი. რომ, ჩვენ დავმარცხდით, რომ ჩვენ, გამყიდველნი ვართ, როგორც სოციალისტურ წრეებიდან, ისე მართველი ევროპის კლასებიდანაცო...

ამ განცხადების შემდეგ, ის უკვე მოკვდა ჟორდანიას და რამიშვილის თვალში. ამის განცხადებამდი სულ კ. ჩხეიძის აზრს მაინდამაინც არავინ დიდ ყურადღებას არ აქცევდა. მას მხოლოდ ითმენდენ და ხანდისხან თითქოს საქმეებშიც კი რევდენ, ლატვიაში, ლიტვაში და პოლონეთშიც კი აგზავნიდენ „დიპლომატიური და პოლიტიკური საქმიანობისათვის“. მაგრამ, ამ განცხადების შემდეგ ის შეიძულეს, სავსებით გარიყეს.... და იმავე საჯარო კრებაზე რამიშვილის დამქაშები აშკარათ გაიძახოდენ: კ. ჩხეიძე მოხუცდა, გამოსულელდა, და აწი მას, რაღა უნდა ეკითხებოდესო...

აი ამის შემდეგ, კ. ჩხეიძე, პოლიტიკურად და ზნეობრივათ მოკლეს.

მის წინააღმდეგ მატერიალურადაც მიიღეს რეპრესიული ზომები: სანამ კ. ჩხეიძე ჩუმათ იყო და შორიდან უცქეროდა რამიშვილის კომბინაციებს, მას, მართალია, არავინ არაფერს ეკითხებოდა და მის აზრს არავინ აფასებდა, მაგრამ „პენსიას“ მაინც აძლევდენ... მას შემდეგ კი, რაც ეს „პროტესტანტი“ გახდა „პენსიაც“ მოუსპეს.

და ამრიგად, ის იმედდაკარგული (რომ ჩვენ სამუდამოთ დავმარცხდითო) პოლიტიკურათ-ზნეობრივათ გარიყული, მატერიალურათ უკანასკნელ მდგომარეობაში ჩავარდნილი, ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის მიერ სავსებით განწირული, ზნეობრივ და მატერიალურ ბოიკოტის ქვეშ მოჰყვა. მეორეს მხრივ, მან ვერ შესძლო იდეოლოგიურათ ანალიზი გაეკეთებია თავისი ძველი პოზიციისთვის, კრიტიკულად შეხებოდა თავის წარსულს და შეეთვისებია ნამდვილი პროლეტარული რევოლიუციონური სოციალიზმი, რომელიც ასე ძლევამოსილებით მიიკაფავს გზას თვით იმ ევროპაში და კერძოთ კი, საფრანგეთში, სადაც კ. ჩხეიძემ დაყო თავის უკანასკნელი დღენი.

რომ მას შესძლებოდა თავის ძველი მენშევიკური იდეოლოგიური კონცეპციის გადასინჯვა, მისი რადიკალური რევიზია—თვითმკვლელობით და მეშჩანური სულმოკლეობით, არ გათავდებოდა მისი ცხოვრება, არამედ ის საქვეყნოთ რევოლიუციონურათ აღიარებდა თავის შეცდომებს და მყისვე, დაუბრუნდებოდა იმ ხალხს, რომლისთვისაც კიდევ შეეძლო სამსახური გაეწია.

რაც შეეხება გრიგოლ ვეშაპელს, ის დაეცა ბრძოლის ველზე. ის მოკლეს რისთვის? იმისთვის, რომ მან, ქართველმა ინტელიგენტმა, ხმა აიმაღლა ახალ საქართველოს დასაცავათ. ის, როგორც ფაქიზი ინტელიგენტი, აგრეთვე ჩამოშორდა ნაციონალისტურ რომანტიკას. საბჭოთა წყობილების დამყარებას ის შეურიგდა მთელი თავისი ღრმა გულწრფელობით. მან გაიგო ის ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა ხელისუფლება, თავისი კონსტიტუციით რადიკალურათ სჭრის ნაციონალურ საკითხს. რომ საქართველოში ნაციონალური ეკონომიკა და სულიერი კულტურა სწრაფი ნაბიჯით მიექანება წინ. რომ ნამდვილი დამოუკიდებელი საქართველო მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის გზით გახდება.

მისმა გამჭრიახმა გონებამ, განსჭვრიტა ახალი საქართველოს კეთილდღეობა.

და ამიტომაც ის მედგრად და გმირულად იცავდა „ახალ საქართველოს“ ფურცლებზე ამ ჭეშმარიტ აზრებს.

ის ამისთვის გამოასალმეს სიცოცხლეს.

ის, ახალგაზრდა, ნიჭიერი და ერთი თვალსაჩინო წევრი ქართველი ინტელიგენციისა, მუხანათურათ მოსწყვიტეს ჩვენს რიგებს.

ემიგრაციის ბელადებს ტერორით სურთ,—ჩაკლან ემიგრაციის გამოფხიზლება. მათ ვერ შესძლეს გ. ვეშაპელთან ბრძოლა იდეურათ. ისინი გაბოროტებულნი, მორალურათ და იდეურათ დამარცხებულნი, შურს იძიებენ.

მაგრამ, განწირულია „ემიგრაცია განწირულია, მათი იდეოლოგია და მისწრაფებანი.

გ. ვეშაპელს შესცვლიან სხვა ახალი ძალები. ავანტიურა, ემიგრაციის ლიდერების მიერ გადატანილი უცხოეთში დამთავრდება ემიგრაციის სრული ლიკვიდაციით. მშრომელი ნაწილი ემიგრაციისა დაბრუნდება სამშობლოში. ნ. რამიშვილი კი თავის დამქაშებით, სამუდამოთ დარჩება ბურჟუაზიულ მინისტრების კაბინეტთან ატუზული.

[illegible]

გრიგოლ ვეშაპელი

(მოკლე ბიოგრაფიული ცნობები)



გრიგოლ გიორგის ძე ვეშაპელი (ვეშაპიძე) დაიბადა სოფელ სარხეში (შორაპნის მაზრა) 1891 წელს. იყო ღარიბი გლეხის შვილი. განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც გაათავა, როგორც საუკეთესო მოწაფემ. გიმნაზიის გათავებისთანავე მას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ დაუნიშნა სტიპენდია და ის შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში (ფილოლოგიურ ფაკულტეტზე), რომელიც დაამთავრა 1916 წელს.

უკვე სტუდენტობის დროს ვეშაპელმა მიიპყრო ყურადღება, როგორც ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ორგანიზატორმა და პუბლიცისტმა.

ამ ხანებში ვეშაპელმა დასწერა რამოდენიმე შრომა რუსულ და ქართულ ენებზე. მათ შორის აღსანიშნავია „საქართველო და ლაზისტანი“ და „საქართველოს შეერთება რუსეთთან“.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ვეშაპელი დაბრუნდა საქართველოში. იგი სათავეში ჩაუდგა ახლად დაარსებულ ეროვნ.-დემოკრატ. პარტიას, რომლის ფაქტიური დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო.

1917 წელში იგი არჩეული იქნა ამიერ-კავკასიის სეიმის წევრად, შემდეგ მისი ინიციატივით და უახლოესი მონაწილეობით შეიქნა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც შემდეგ გარდაიქმნა პარლამენტად. ეროვნულ საბჭოსა და პარლამენტში ვეშაპელი იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას, როგორც საქმიანი და ენამახვილი ორატორი. ამ ხანებში ვეშაპელი რედაქტორობდა ნ. დ. პარტიის ორგანოს „საქართველოს“. საქ. დამფუძნებელი კრების წევრად ვეშაპელი გავიდა როგორც „დამოუკიდებელი ნ. დ. პარტიის“ ხელმძღვანელი, რომლის ორგანო იყო გაზეთი „კლდე“.

1921 წელს ვეშაპელი არ გაჰყვა ემიგრაციაში ყოფილ მთავრობას. რამდენიმე ხანი დარჩა ბათომში და მხოლოდ შემდეგ მარტო წავიდა სტამბოლში. ვეშაპელმა ემიგრაციაში ყოფნის დროს შემოიარა იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია. შეისწავლა ფრანგული, ინგლ. და გერმ. ენები, რამაც საშუალება მისცა მას უშუალოდ გასცნობოდა, როგორც ამ ქვეყნების მდგომარეობას, ისე ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. 1924 წლამდე ვეშაპელი აწარმოებდა დიდ ანტიბოლშევიკურ მუშაობას, როგორც ყოფ. მენშევიკურ მთავრობასთან ერთად, ისე კერძოთ. მაგრამ ამ აქტიურ მუშაობაში იგი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ანტიბოლშევიკურ საქმეს ეკარგება ყოველგვარი ნიადაგი და საჭიროა სხვა, ახალი გზების ძებნა.

და როდესაც მენშევიკური მთავრობა დაადგა აშკარა ავანტიურის გზას და გადასწყვიტა აჯანყების მოწყობა საქართველოში, ვეშაპელმა გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი მის ყოფილ მოკავშირეებთან და 1924 წლის ივნისში ინახულა პარიზში ერთი პასუხისმგებელი პირი, რომელსაც განუცხადა, რომ იგი მზადაა დაბრუნდეს საქართველოში.

1924 წლის ნოემბერში ვეშაპელმა გამოსცა პარიზში გაზეთი „ახალი საქართველო“, რომლის პოზიცია და პოლიტიკური გეზი ცნობილია.

ამ გაზეთის გამოშვების შემდეგ ვეშაპელი მენშევიკური მთავრობის წყალობით ორჯერ იქნა გადასახლებული საფრანგეთიდან, განკარგულება მისი მესამეჯერ პარიზიდან გადასახლებისა შეჩერებული იქნა ამხ. რაკოვსკის ენერგიულ პროტესტის შემდეგ.

თანახმად უკანასკნელი მისი წერილებისა ვეშაპელი ბრუნდებოდა საქართველოში ამ თვის ბოლოს. მაგრამ ვერაგი ადამიანის ხელმა ის გამოასალმა სიცოცხლეს და მას არ დასცალდა გამოეჩინა თავისი ჭკუა და ენერგია საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობის სარბიელზე.

დაწვრილებითი ცნობები, თუ რა პირობებში იქნა მოკლული გრიგოლ ვეშაპელი ჯერ არა გვაქვს. მაგრამ ეს მკვლელობა შედის იმ კატეგორიის აქტებში, რომელსაც ბატონი რამიშვილი ასე გაიძვერულად აწყობს საფრანგეთის ახრანკის შემწეობით.

გ.

ვინ მოჰკლა გ. ვეშაპელი

ავთანდილ მერაბიშვილი, რომელმაც მოჰკლა ვეშაპელი, თბილისელია, რომელიც 1925 წელში გაიპარა საზღვარ-გარეთ. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა—დაახლოებით 24 წლისაა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მერაბიშვილი ქართულ დრამატიულ სტუდიაში შევიდა მსმენელათ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ამ დარგში ის არავითარ იმედებს არ იძლეოდა და უნიჭობის გამო სცენაზე სამუშაოთ არც კი მიუწვევიათ.



ავთანდილ მერაბიშვილი

სამაგიეროთ მერაბიშვილმა ნიჭი გამოიჩინა „მოღვაწეობის“ სულ სხვა დარგში. ყალბი საბუთების შედგენა, სახელმწიფო ფულის მითვისება და სხვა ამგვარი ბნელი კომბინაციები,—აი იმედ - გაცრუებული მსახიობის ხელობა საზღვარ-გარეთ გაპარვის უკანასკნელ დღეებამდე.

მერაბიშვილმა მიითვისა საფეიქრო სინდიკატის ფული 800 მანეთი. გარდა ამისა ყალბი მოწმობები შეადგინა და ამ გზით დამზღვევ სალაროდან რამდენიმე ათასი მანეთი გაიტანა.

ევროპაში ჩასვლისთანავე მერაბიშვილი საქართველოდან გადახვეწილ ემიგრანტებს ამოუდგა გვერდით და სისხლის სამართლის ხასიათის ავანტიურიდან პოლიტიკურ ავანტიურის მორევში გადაეშვა. სხვათა შორის, ოდენკურის ცნობილ შეტაკებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართული ემიგრაციის სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მერაბიშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

პარიზში მოკალათებულ ქართულ კონტრრევოლიუციურ ემიგრაციას თავის შავ-ზრახვათა სისრულეში მოსაყვანათ სწორედ მერაბიშვილისებური ძალები ესაჭიროება. ასეთი ელემენტები შეადგენენ მათ მებრძოლ ლაშქარს.

ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ჯერ უიმედო მსახიობი, შემდეგ შანტაჟისტი და დასასრულ პოლიტიკური ავანტიურისტი მერაბიშვილის მოსყიდული ხელი ქურდულათ თავს ესხმის გამოფხიზლების გზაზე მდგომ ემიგრაციის ფენების თვალსაჩინო ხელმძღვანელს, გრიგოლ ვეშაპელს, და სიცოცხლეს ასალმებს მას.

დ. ო.

ვეშაპელის მოკვლა და კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობა

ერთ და იმავე დროს: ვეშაპელს კლავენ, კარლო ჩხეიძემ განიზრახა თვითმკვლელობა. რა აქვს საერთო ამ მოვლენას? ვინ მოკლა ვეშაპელი? ფიზიკური მკვლელი **მერაბიშვილია**, მხოლოდ მკვლელობის მომწყობი **ჟორდანია-რამიშვილის** შტაბია. ვინც ემიგრაციაში ნამყოფია, მისთვის ცხადია ეს გარემოება: პარიზის ემიგრაციის შტაბმა გადასწყვიტა ებრძოლოს „სმენოვეხელებს“ ყოველივე საშუალებით: ბოიკოტით, ჯაშუშობით პარიზის პრეფექტურაში, ცემით და სიკვდილით.

ვინც საქართველოსკენ დაბრუნებას გადასწყვეტდა და ამ მიმართულებით მუშაობას დაიწყებდა, მას ეცხადებოდა ბოიკოტი, მის შესახებ **აკაკი ჩხენკელი მაშინვე აცნობებდა პრეფექტურას** (პოლიციას), რომ ის კომუნისტი და არა საიმედო პიროვნებაა, მას სცემდენ და ამ ცემას აწყობდა პარიზის შტაბი „სმენოვეხელების“ კრებებს თავს ესხმებოდენ და ტყვიასაც უშენდენ. (ყანდარელის საქმე).

გასულ შემოდგომის თვეებში პარიზის შტაბმა გადასწყვიტა რამოდენიმე სმენოვეხელების მოკვლა და მკვლელებიც დანიშნა; ამ უკანასკნელთა რაცხვში იყვნენ ცნობილი ტერორისტები: **მუხაშავრია, ღლონტი, ქურიძე** და ახლად გამოჩეკილნი: **ნიკიფოროვი**, ვეშაპელის მკვლელი **მერაბიშვილი** და ორი კიდევ სხვა, რომელთა გვარებს ჯერ-ჯერობით არ დავასახელებ.

რა სურს პარიზის შტაბს ასეთი ბინძური და ბოროტი საშუალებით გააკეთოს?

ჩვენ ვიცით, რომ ემიგრაცია იხრწნება და ირღვევა. ჩვენ ვიცით, რომ ემიგრაციამ ბრძოლა წააგო. ჩვენ ვიცით, რომ ემიგრაციის ნაწილი, ნაწილი მუშური და მშრომელ ინტელიგენტური გამოფხიზლდა, შეიგნო მენშევიზმის უნიადაგობა და ბოლშევიზმის უპირატესობა, შეიგნო, რომ მშრომელი ერის საუკეთესო დამცველი არის კომუნისტური პარტია. **ჩვენ ისიც დანამდვილებით ვიცით, რომ თვით ემიგრაციის ლიდერებს გამარჯვების არავითარი იმედი აღარ აქვთ.**

დამარცხებული და ცხოვრებისაგან განწირული შტაბი შურისძიების გზას დაადგა. მიზანშეწონილობას აქ არავითარი ადგილი არა აქვს.

მოვიგონოთ 21 წლის მარტის დღეები.

თბილისის დატოვებით ომი დამთავრდა. რამიშვილებმა ეს კარგად იცოდენ. ქუთაისის დატოვებით ხომ უგუნურსაც კი საქმის გამოსწორების იმედი დაეკარგა.

რამიშვილმა ქუთაისის ციხე დასცალა და ტუსაღები ბათუმში გადაიყვანა, ორი ტუსაღის გამოკლებით: **ივანოვის და მარდალეიშვილის**. არც ერთ ამათგანს სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი არ ჰქონდათ.

ამ დროს ჟორდანიას მთავრობა გასაქცევად გამზადებული იყო: ვიზები, ვალიუტა, მთელი ბარგი-ბარხანა, ცოლები, შვილები, გამდელები, ერთი სიტყვით ყველაფერი მზად იყო.

აქ ჩვენ ვეღარ ვხედავთ ხელისუფლებას, აქ მხოლოდ გამქცევი ხალხი იყო. და გასაქცევად გამზადებული მთავრობა შურს იძიებდა, **მხოლოდ შურს და შურისძიებით გაბოროტებულმა მთავრობამ**, რამიშვილის პირით, გასცა ივანოვის და მარდალეიშვილის მოკვლის განკარგულება. ივანოვი და მარდალეიშვილი დასწვეს სალორიის ტყეში. მაშინაც და ახლაც დამარცხებული რამიშვილები შურს იძიებენ. სალორიის ტყეში ხელ-ფეხ გაკრულ ტუსაღებს სწვავენ, პარიზში ვეშაპელს კლავენ.

ორივე ეს მოვლენა ერთი და იგივე ჯურისაა. უიმედობას და სასოწარკვეთილებას თან ახლავს სიბოროტე. მაგრამ რამიშვილების სისაძაგლეს ზედ ერთვის ერთი ბოროტი სიბინძურე: ისინი განზე დგანან, ისინი ბოროტებას სხვისი ხელით აკეთებენ: მერაბიშვილები მათი განკარგულებაში არიან.

მაგრამ რა აქვს საერთო ვეშაპელის მოკვლას ჩხეიძის თვითმკვლელობის ცდასთან?

კარლო ჩხეიძე ქართული ემიგრაციის იმ ბელადთაგანია, რომელმაც აგვისტოს აჯანყების შემდეგ, პარიზის შტაბის ნამოქმედარს რევიზია გაუკეთა. 1925 წლის მაისის მენშევიკების საერთო კრებაზე ჩხეიძემ, სხვათა შორის, სთქვა:

„მტერი მტერს ვერ უზამს იმას, რაც ჩვენ ქართველ ერს ვუყავით; ეხლა მაინც მოვიდეთ ჭკუაზე და თავი დავანებოთ ასეთ ავანტიურას“-ო. (მომყავს მისი სიტყვის ეს ნაწილი სიტყვა-სიტყვით).

ჩხეიძემ შეიგნო, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლა სამუდამოთ წაგებულია, რომ ქართველი მშრომელი მასა მათ ჩამოშორდა და ბოლშევიკებისაკენ გაეშურა. ჩხეიძე მიხვდა, რომ მას, მენშევიკს—ბოლშევიკმა აჯობა; მიხვდა, რომ ბოლშევიკური ბაცილა სასიცოცხლო და ცხოველ-მყოფელი ძალაა, მენშევიკური კი უნიადაგო და სასიკვდილოთ განწირული. მიხვდა, მხოლოდ იმდენი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური გამბედაობა არ აღმოაჩნდა, რომ ეს საჯაროდ განეცხადებია და ლოღიკური დასკვნები გაეკეთებინა, სათანადო ნაბიჯები გადაედგა.

ჩვენ ვიცით. რომ ჩხეიძე ბუნებრივად აქტიური ადამიანი არ არის, ის მეტად პასიურია, მაგრამ ის თვალახელილი კაცია და ხედავს. და როდესაც მან დაინახა, რომ ბრძოლა სავსებით და სამუდამოთ წაგებულია, რომ აწინდელი პარიზის ნაბიჯები უმიზნო და უიმედოა, როდესაც მან დაინახა, რომ რამიშვილები ასეთ ბინძურ და ბოროტ საშუალებებს მიმართავენ, როგორიც არის ტერორი და პერსპექტივა აღარ სჩანს, ისიც სასოწარკვეთილებას მიეცა.

ჩვენ ვიცით ერთი შემთხვევა: როდესაც რამიშვილებმა ერთ-ერთ „სმენავეხელის“ მოკვლა განიზრახეს და ტერორისტიც დანიშნეს, უკანასკნელს ერთერთმა ლიდერმა უთხრა: „არ გაისვარო იცოდე ხელი მაგ კაცის სისხლში“-ო. ეს ფაქტი ჩხეიძემაც იცოდა და ისიც წინააღმდეგი იყო ასეთი მკვლელობის.

ცხადზე უცხადესია, ეს მთელმა პარიზის ემიგრაციამ იცის, რომ ვეშაპელის სიკვდილი ემიგრაციის შტაბმა განიზრახა.

ვეშაპელის მოკვლა მაჩვენებელია იმის, თუ როგორ ჩიხშია მოქცეული ჟორდანია-რამიშვილის შტაბი.

დროა ემიგრაციის მუშურმა და მშრომელ ინტელიგენტურმა ნაწილმა, რომელიც კიდევ შერჩა პარიზს თავი დაანებოს თვითმკვლელობას ტყვიით თუ უტყვიოთ და დაუბრუნდეს საქართველოს.

ივ. ქარუხაშვილი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალი გზა

კოწია სულაქველიძის რედაქტორ

კვირა, 13 ივნისი 1926 წ.

გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება

№ 14.

ამბები პარიზიდან

(კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობის განზრახვა*)—გრიგოლ ვეშაპელის მოკვლა).

დეპეშამ პარიზიდან გვაუწყა ფრიად განსაცვიფრებელი ამბავი—**კარლო ჩხეიძეს** განუზრახავს თავის მოკვლა და მძიმეთაც დაუჭრია თავი. ეს ამბავი განსაცვიფრებელია ყველასათვის, ვინც იცნობს კარლოს, მის დამჯდარ, აუჩქარებელ ხასიათს. ვიცით, რომ მის გულს პესიმიზმი არასოდეს არ ეკარებოდა, ის ყოველთვის და მუდამ, თვითმპყრობელობის დროს, შავი რეაქციის ხანაში იმედებით შეჰყურებდა მომავალს და არავითარ სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა. პირიქით, ის იყო ჩვენი, მისი ახალგაზრდა თანამებრძოლნის გამამხნევებელი. მაშ რა განცდა გადიტანა ამ ადამიანმა, მაშ რითი ავხსნათ ასეთი ყოვლად შეუსაბამებელი მოვლენა, როგორც მის მიერ თავის მოკვლის განზრახვა?

ამის მიხვედრა არც ისე ძნელ საქმეს წარმოადგენს, თუ ჩაუკვირდებით იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქნა საქართველოში ყოველ გულწრფელ რევოლიუციონურ მარქსისტისათვის. გაარკვიეთ, გამოიკვლიეთ ეს მდგომარეობა და მაშინ კარლოს თვითმკვლელობის განზრახვა თქვენთვის სრულიად ლოღიკურ და სავსებით მიმდევრობითი ნაბიჯათ ჩაითვლება.

რა აზრისა და შეხედულებისაც არ უნდა იყოთ ქართულ მენშევიზმზე, ერთი უდაოთ უნდა იქნეს აღიარებული: ის წარმოიშვა და განვითარდა, ხალხის ფართო მასებში, ეყრდნობოდა ამ მასებს. მართალია, მისი პრაქტიკული ნაბიჯები უმეტეს შემთხვევაში მარქსისტული თვალსაზრისით შემცდარი იყვნენ, მისი მოღვაწეობა იყო შედეგი რევოლიუციონური მარქსიზმის ყალბად გაგების, ამ მოღვაწეობით მიღწეული შედეგები მხოლოდ მოჩვენებითი იყო.

დღეს ბევრისათვის აშკარაა, რომ ის ტაქტიკური შეხედულებანი, რომლებიც ასულდგმულებდენ ქართულ მენშევიზმს შემცდარი იყვნენ, რომ მათზე აღმოცენებული პრაქტიკული ნაბიჯები ყალბი იყვნენ, მაგრამ მაშინ ამას ვერავინ ვერ ამჩნევდა, რადგან თვით ამ ტაქტიკურ შეხედულებებს ასაბუთებდენ მარქსიზმით. ყოველი მენშევიკი დარწმუნებული იყო, რომ მარქსისტული მეცნიერული მსოფლმხედველობა სწორედ ასეთ ტაქტიკას მოითხოვდა.

მაგრამ ცხოვრებამ ნათელჰყო, რომ ეს მართალი არ იყო. არამარქსისტულ ტაქტიკაზე აგებულმა პრაქტიკამ ფოლადისებური ლოღიკით მიიყვანა მენშევიზმი გარდუვალ წინააღმდეგობამდე: **ან უარყოფა შემცდარი წარსულის, ან უარის თქმა მარქსიზმზე.** აქ სხვა გამოსავალი არ იყო, მენშევიკების მუშურმა ნაწილმა თავისი დასკვნა ამცნო უკვე ქვეყანას: მან უარჰყო წარსული და ამჯობინა მარქსიზმის ნიადაგზე გამაგრება. რაც შეეხება მენშევიზმის ზედა ფენებს, მათ არჩიეს პირველი გზა—გზა მარქსიზმის უარყოფისა, და შეითვისეს და შეისისხლხორცეს ნაციონალისტურ - შოვინისტური მსოფლმხედველობა, რომელსაც ერთ დროს, შორეულ წარსულში ებრძოდენ. მაგრამ ამ ზედა ფენებშიდაც ვხვდებით ჩვენ მთელ რიგ პირებს, რომლებისთვისაც მიტოვება მარქსიზმის ნიადაგისა მძიმე საქმეს წარმოადგენს. ამავე დროს მათ ვერ შესწევთ მამაცობა აშკარად აღიარონ ახალი გზის აუცილებლობა და ამიტომაც დიდ მერყეობას განიცდიან. რითი გათავდება ეს მათი მერყეობა ახლო მომავალი გვიჩვენებს. საწყალი კარლოს რყევა ტრაღიკულად დამთავრდა.

ამ ტრაღედიის მოახლოვებას ხელი შეუწყო იმ აუტანელ მორალურმა და მატერიალურმა პირობებმა, რომელიც შეიქნა კარლოსათვის პარიზში მის შემდეგ, რაც მან მოღალატეობის სახელით მონათლა ნოე რამიშვილის და მისი მომხრეების ის მოღვაწეობა, რომელმაც ქართველი ხალხი 24 წლის აგვისტოს ავანტიურაში გადასტყორცნა.

ემიგრაცია იღვიძებს, ის ერკვევა მდგომარეობიდან, ამის საბუთები ჩვენ ხელთა გვაქვს, მაგრამ ვერ ვაქვეყნებთ, რადგან ავტორებისაგან ჯერ ამის ნებართვა არა გვაქვს და შორს არ არის ის დრო, როდესაც ნოე რამიშვილის და მათი თანამოაზრენის რიცხვს ათამდე ანგარიშის მცოდნე ბავშვიც კი დასთვლის.

S. P. ეს წერილი უკვე დაწერილი იყო, როდესაც ტელეგრაფმა იმავე პარიზიდან მოგვიტანა მეორე ცნობა მკვლელობის შესახებ—იქ ჩვენი ფაშისტების, ყოფილ მენშევიკების, დაქირავებულმა კაცმა ტყვიით განგმირა ვეშაპელის გული. ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ გრ. ვეშაპელის მსოფლმხედველობის მოზიარენი, ჩვენ ყოველთვის ვებრძოდით იმ შეხედულებებს, რომლების მატარებელიც ის იყო. მიუხედავათ ამისა ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემდით მას, რადგან ჩვენ ის მიგვაჩნდა გულწრფელ და პირდაპირ მთქმელად იმისა, რასაც ის ფიქრობდა. ერთმა უსასტიკესმა მტერთაგანმა საბჭოთა ხელისუფლებისა, მან, მალე ამ ხელისუფლების საქმეთა შემხედვარემ, მამაცათ და გულახდილათ აღიარა ბოლშევიკების ქვეყნად განმტკიცების სარგებლიანობა ჩვენი სამშობლოსათვის. ის ციფრებით ხელში ნათელყოფდა იმ დიდ მიღწევებს, როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ ფრონტზე, რომლებსაც ადგილი ქონდა საქართველოში ბოლშევიკების შემდეგ. მის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპაში ჩვენი ფაშისტებისათვის ძლიერ ძნელი შეიქნა, რადგან ვეშაპელის მხარეზე იყო სინამდვილე და ცხოვრების უტყუარი ფაქტები. ამიტომ იდეიურ ბრძოლაში დამარცხებულ რამიშვილისტებს მეტი არაფერი დარჩენოდათ—უნდა მიემართათ რევოლვერისათვის. ეს გასაკვირი და მოულოდნელი არ არის. ბურთი დაქანებულ სიბრტყეზე ვერ შეჩერდება, ის შეუჩერებლივ მიექანება უფსკრულისაკენ. ეს მათემატიკური კანონია. ვინც შეითვისა ფაშისტური მსოფლმხედველობა, მან უნდა მიმართოს ფაშისტურ ბრძოლის მეთოდებსაც.

მაგრამ მატეოტების მკვლელობით, მუსოლინმა ვერ დაამარცხა სოციალიზმის იდეა, ვეშაპელის მკვლელობით რამიშვილი და მისი დამქაშები ვერ მოკლენ იმ იდეას, რომელსაც ქადაგებდა განსვენებული: **საქართველოს ხსნა მხოლოდ კომუნიზმშია.** ის სიტყვიერი ჭეშმარიტებად დარჩებიან, თუ გინდ სისხლის მორევი დააყენონ ჩვენმა ფაშისტებმა. მხოლოდ როგორც ვეშაპელის მკვლელობა, ისე კარლოს თვითმკვლელობის განზრახვაც გვიჩვენებს ჩვენ, თუ რა უკიდურეს სასოწარკვეთილებას მოუცავს ჩვენი მოწინაალმდეგენი.

კ. სულაქველიძე.

---

*) ეს წერილი დაწერილი იყო, როდესაც მოვიდა ცნობა კ. ჩხეიძის გარდაცვალების შესახებ.

კ. ს.

ქართველი ინტელიგენციის გზა

არც ერთ საზოგადოებრივ წყობილების პირობებში ინტელიგენცია არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სოციალურ ჯგუფს. ის მუდამ კლასიურ ფენებათ ნაწილდებოდა და ეს ნაწილები იდეოლოგიურად ამა თუ იმ საზოგადოებრივ კლასის თვალსაზრისზედ იდგა. ისტორიულად შემცდარი არის ის აზრი, თითქოს ინტელიგენცია, როგორც ერის გონების და კულტურის წარმომადგენელი ზეკლასიური საზოგადოებრივი ფენა იყოს. აღსანიშნავი არის ის, რომ ყოველი ერის ინტელიგენციის უმრავლესობა აბსოლიუტურად დარწმუნებული არის თავის ღვთაებრივ მისიაში, უწინამძღვროს თავის ერს. გამონაკლისს შეადგენს ინტელიგენტთა ის ფენა, რომელიც ისტორიულად ჩამოშორდა ინტელიგენტურ-ცეხურ ოჯახს და რევოლიუციონურ პროლეტარიატს ამოუდგა გვერდში.

ქართული ინტელიგენცია თავისი სოციალური წარმოშვებით, თავის უმრავლესობაში რომანტული სულისკვეთების მატარებელი არის და ქართველი ერის ბედს უფრო წარსულში ეძებს, ვინემ მომავალში. ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ქართული ინტელიგენცია არას დროს არ იყო აპოლიტიკური მასა. მას ყოველთვის ჰქონდა თავისი გარკვეული ნაციონალისტური პლატფორმა და სასტიკად ებრძოდა იმ ინტერნაციონალისტურ მოძღვრების შუქს, რომელსაც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების კარებს ულებდენ ქართული რევოლიუციონურ აზროვნების პიონერნი—მესამე დასელები.

მთავარი ისტორიული შეცდომა, რომელიც ქართული ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამას დაედვა საფუძვლად მდგომარეობდა იმაში, რომ ეს ინტელიგენცია მუდმივ იმას ფიქრობდა, თითქოს ის იყო და არის ქართველი ერის შემოქმედების და აზროვნების მებაირახტრე. ის ამ უფლებისათვის ბრძოლაში აღიზარდა და ამ პრეტენზიებით სულ დგმულობს ეხლაც, როდესაც საჭირო არის ამ არქაიულ თვალსაზრისის უკუგდება.

ქართველი ინტელიგენტისათვის ჯერ ჯერობით კიდევ არ არის ნათელქმნილი, რომ თანამედროვე საერთაშორისო სინამდვილემ, ამა თუ იმ ერის ბედის საკითხი მჭიდროთ დაუკავშირა კომუნიზმისათვის ბრძოლას და, რომ ეროვნული პოლიტიკის საკითხები თავის გადაჭრისას სცილდებიან ერის ტერიტორიალურ საზღვრებს. ვინც დაახლოებით გასცნობია ეროვნებათა ბრძოლის ისტორიას, მისთვის ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ის უდაო ისტორიული ფაქტი, რომ ამა თუ იმ ერის საზოგადოებრივი ცხოვრება არ წარმოადგენს გაყინულ მდგომარეობას; მისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ეს საზოგადოებრივი ცხოვრება ცვალებადობას განიცდის დროში და რამდენათ ის წინსვლის გზით მიდის, იმდენად ის მიექანება სოციალისტურ წეწყობილებისაკენ. თუ ამ თვალსაზრისიდან გამოვალთ, ლოღიკურად უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ისტორიულად ეროვნული საკითხი რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბრძოლის საკითხად იქცევა. ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ შერიგებია იმ უდაო აზრს, რომ რამდენადაც ამა თუ იმ ერის ისტორიული ბედი სოციალისტურ წესწყობილებისათვის ბრძოლაში გადაეჯაჭვა, იმდენათ ერის მებაირახტრეთ და მესაიდუმლეთ რევოლიუციონური პროლეტარიატი შეიძლება გამოდიოდეს, ვინაიდან ყველა საზოგადოებრივ კლასთა შორის, მხოლოდ ის წარმოადგენს კომუნიზმისათვის ერთად-ერთ შეუდრეკელ და შეუპოვარ მებრძოლს.

საბჭოთა კავშირის სინამდვილეში, სოციალისტურ მშენებლობის პირობებში, ქართველი ინტელიგენცია კიდევ თავის ზვით აპირებს წინსვლას და არ სურს შეურიგდეს იმ სინამდვილეს, რომ ისტორიულმა აუცილებლობამ საქართველოს მუშათა კლასი გადააქცია ქართველი ერის აზროვნებისა და შემოქმედების ერთად-ერთ მებაირახტრეთ.

ქართველი ინტელიგენციის თვალში ჩვენს სოციალისტურ საქმიანობას კარგი პირი არ უჩანს. ის პესიმისტია; მას არ სწამს, რომ თანამედროვე საზოგადოებრივ სინამდვილეში, მუშათა კლასისა და მშრომელ გლეხობის კავშირს შეუძლია გაუძღვეს ქართველი ერის ისტორიულ განვითარებას და გადაიქცეს მის კულტურულ-ეკონომიურ აყვავების მესაჭეთ. ამ პესიმიზმს თავისი სოციალური ძირი აქვს. ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობას არ სწამს რევოლიუციონურ პროლეტარიატის კლასიური მომავალი, ოქტომბრის საბოლოო გამარჯვება და გარბის პოლიტიკურ ასპარეზიდან. ის ამჯობინებს საქართველოს ისტორიულ წარსულის ჩრდილებს ამოეფაროს და იქედგან აწარმოოს პასიური ბრძოლა იმ უდიდეს სოციალურ რეფორმაციის წინაალმდეგ, რომელიც მატერიალურად უკავშირებს საქართველოს კულტურულ-ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყნებს.

რას ნიშნავს პასიურობა იმ ინტელიგენციის, რომელსაც ძლიერ ეხერხებოდა პოლიტიკური აქტიურობა წარსულში? ეს ძველი გზის გაგრძელება არის. ის იმ თავითვე ებრძოდა იმ შესაძლებლობას, რომელმაც თანამედროვე საქართველოს სათავეში ინტერნაციონაციონალისტები მოაქცია. ისტორიულმა ფაქტებმა ვერ გაასწორა ინტელიგენციის ეს უკუღმართი თვალსაზრისი. სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი განზედ სდგას სწორედ ეხლა, როდესაც ახალი საქართველო ახალ საქმიანობას მოითხოვს და როდესაც მშრომელ საქართველოსათვის ეს პასიურობა ეროვნულ შემოქმედების ასპარეზიდან გაქცევას წარმოადგენს, იმ მძიმე შედეგებით, რომ ეს გაქცევა ქართველი ერის ისტორიულ მომავლისათვის ღალატს წარმოადგენს.

ქართველმა ინტელიგენციამ უნდა გადახედოს თავისი რომანტიული თვალსაზრისი, მან მკაფიოთ უნდა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება იმ ისტორიულ პროცესისადმი, რომელსაც კომუნიზმისათვის ბრძოლა ეწოდება და რომელშიდაც თავდადებულად მონაწილეობს მშრომელი საქართველო.

ისტორიულ სცენაზედ ახალი ძალა—რევოლიუციონური პროლეტარიატი გამოვიდა და მისი კლასიური ნება უნდა დაედვას საფუძვლად ყოველგვარ შემოქმედებით საქმიანობას.

ქართველ ინტელიგენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ერის მესაიდუმლე გახდეს, თუ ის თავს მიანებებს ცეხურ ინტელიგენტურ თვალსაზრისს; იწამებს მუშათა საქმეს; თავის ყოველდღიურ საქმიანობაში მუშათა კლასის რევოლიუციონური თვალსაზრისით იხელმძღვანელოს და როგორც ჭირში, ისე ლხინში გვერდში ამოუდგება აღორძინების გზაზედ დამდგარ საქართველოს.

ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი უკვე დაადგა ამ სწორ გზას და უნდა ითქვას, რომ მათი კეთილსინდისიერი მუშაობა ფრიად სასიხარულო შედეგებს იძლევა.

მშრომელი საქართველო საქმიან თანამშრომლობას ითხოვს. ქართველი ინტელიგენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიქცა საქმიან ქართველად, თუ შემოიბრუნებს პირს რევოლიუციონურ პერსპექტივებისაკენ და აქტიურად დაინტერესდება იმ საქმიანობით, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს.

ამნაირად, ქართველი ინტელიგენციის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს იმ სალაპარაკო ენის გამონახვა, რომელიც ორგანიულად დაუკავშირებს მას ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებასთან. საქართველო უცდის ყველა იმას, ვისაც ქართველი ხალხის სამსახურის პრეტენზია აქვს.

ზ. ჩაჯვაძე.

ვინ დამარცხდა?

უკვე მეორე თვეა, რაც დიდი-ბრიტანეთის მეფე-გიორგი V-ს „შეერთებულ სამეფოში“ „ცუდი პრინციპებით“ შელახულია „კონსტიტუციონალური წესები“, დარღვეულია კლასთა სოლიდარობის ილიუზია, შერყეულია კაპიტალისტური სამეურნეო აპარატის „წესიერი“ მუშაობა, შრომასა და კაპიტალს შორის დაწყებულია აქტიური ბრძოლა.

ამ ბრძოლის დაწყება არავისთვის არ იყო მოულოდნელი; ამას კარგად გრძნობდენ ნევილ ჩემბერლენები და სათანადო სამზადისაც ეწეოდენ. 27 აპრილს, გაფიცვის წინა დღეებში „მორნინგ პოსტში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთ უძლიერეს მაღაროს მეპატრონის, ნორტუმბერლუნდის ჰერცოგის პროვაკაციული წერილი შემდეგი სათაურით: „მემაღაროები იმყოფებიან მოსკოვის გავლენის ქვეშ“, მემაღაროეთა ბრძოლაში გამოსაწვევათ გადმოსროლილი ხელთათმანი იყო. ამ ბრძოლის აუცილებლობას გრძნობდა ინგლისის მუშათა კლასიც; ამაში გარკვეული იყვენ ტომას-მაკდონალდებიც, ხოლო ხელოვნურად აჩერებდენ, აგვიანებდენ მის დაწყებას; აჩერებდენ არა იმიტომ, რო მუშათა კლასი მოემზადებიათ მის შესაფერისათ, არა, ეს არ შედიოდა მათ გეგმაში, მათი მოქმედების პრაქტიკაში; ეს დრო მათ სჭირდებოდათ გაფრთხილებული ბურჟუაზიის მოსამზადებლათ.

ვინ არ იცის ამ ხანად ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობა კრიზისს განიცდის, რომ ეს კრიზისი კოლონიების მფლობელ ქვეყანაშიც მეტად მწვავეა, რადგან მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ მან დაჰკარგა ძველი ეკონომიური ძლიერება და ძველი მონოპოლიური მდგომარეობა. ვინ არ იცის, ისიც, რომ ინგლისის კაპიტალიზმის კურსი ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ მშრომელი ხალხის უსაზღვრო ექსპლოატაციისაკენ არის მიმართული? ნუ თუ ვისმესთვის კიდევ სადაოა ის ელემენტარული ჭეშმარიტებაც, რომ კონსერვატორული მთავრობის მიერ ასეთი კურსის აღება ბუნებრივათ ქმნის და ზრდის კლასთა ანტაგონიზმს.

ეს იცის ყველამ, ეს იცის ბურჟუაზიის ერთგულმა დამცველმა და ხელმძღვანელმა ბოლდუინის ხელისუფლებამ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ აქვს და შეტევაზე გადადის, რათა მუშათა კლასის დამარცხებისა და დამორჩილების შემდეგ უფრო ადვილათ მოახერხოს ამ ამოცანის შესრულება; ეს იციან ტომას-მაკდონალდებმაც და ისინიც სწორედ თავის ისტორიულ როლს ასრულებენ, ბურჟუაზიას ეხმარებიან. ამ როლში მათ ბევრჯერ დაიჭირეს გამოცდა, არა ერთხელ მოატყუილეს მუშათა კლასი და იხსნეს „ხაზეინები“ უსიამოვნო და საშიშარ წუთებისაგან. მათ ეხლაც სცადეს ამ როლში გამოსვლა, ხოლო როდესაც დარწმუნდენ. რომ შეუძლებელი იყო ძველი კომბინაციებით მუშათა მასების კვლავ მოტყუილება, გადაწყვიტეს თვითონვე აეღოთ ხელში გაფიცვის ხელმძღვანელობა. ეს დავალება მათ აიღეს არა იმიტომ. რომ გამარჯვებამდე მიეყვანათ მუშათა კლასის ბრძოლა, არამედ იმიტომ, რომ მოეხდინათ მისი კაპიტულიაცია და გაცემა. ნუ თუ საკმაო არ არის მათი „მებრძოლი“ სულის დასახასიათებლათ უიტლების უნებლიე განცხადება: „მუშათა მოძრაობის ზოგიერთი ლიდერები გაფიცვის დაწყების პირველ მომენტიდანვე სტიროდენ და კვნესოდენო“. ნუ თუ მათი ასეთი განზრახვის დამამტკიცებელი არ არის ბ. ტომასის უსირცხვილო განცხადება საყოველთაო გაფიცვის მოხსნის შემდეგ: „როგორც არ უნდა გათავებულიყო გაფიცვა, მა შედეგად უნდა მოყოლოდა მუშათა მდგომარეობის აუცილებელი გაუარესება“-ო, და რამზეი მაკდონალდის ტროფარეტული ძახილი: „ჩვენ არ დაუშვებთ გაფიცვის გამარჯვებას იმ მნიშვნელობით, რომ მან დაიმორჩილოს საზოგადოება, ჩვენ არ გვინდა მებრძოლი გაერთიანებები“-ო. ნუ თუ ამის დამამტკიცებელი არ არის ბ. კრიმპების შეფასება. რომ გაფიცვა თავიდანვე განწირული იყოვო!? ეხლა უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ საყოველთაო გაფიცვა გენსაბჭოზე მასის მიერ ძალათ იყო მოხვეული და მაინც აიღეს ეს როლი, რათა ერთხელ კიდევ დაემტკიცებიათ ბურჟუაზიისათვის, რომ მუშათა კლასის „ლიდერები“ მტკიცედ იცავენ კლასთა თანამშრომლობის პრინციპს, რომ ისინი „შეერთებულ სამეფოს“ „საუკეთესო ადამიანები“ არიან.

თუ არა მათ წყალობით, ბოლდუინებს არც კი შეეძლოთ წარმოედგინათ ასეთი გრანდიოზული და გიგანტიური მოძრაობის ასე სამარცხვინოთ და კატასტროფიულათ დაშლა. საყოველთაო გაფიცვის ასეთი დასრულება დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ პოლიტიკიდან განდევნილ ლოიდ-ჯორჯსაც კი აკვირვებს და გაოცებული კითხულობს: „რათ დასჭირდა გენსაბჭოს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება“ ან და რათ იქნა ის მოხსნილი ყოველგვარი პირობის გარეშე“-ო.

მიუხედავად იმისა, რომ მაკდონალდ-ბევინებმა ასეთი სამარცხვინო როლი ითამაშეს გაფიცვაში; მიუხედავათ იმისა, რომ დღეს ყველასათვის ნათელი გახდა მათი გამცემლობა და ღალატი; მიუხედავათ იმისა, რომ საერთაშორისო შემთანხმებლები სრულიად გაშიშვლდენ და გაბახდენ საყოველთაო გაფიცვის სამარცხვინო კაპიტულიაციის ხელმძღვანელობაში,—ისინი მაინც სცდილობენ თავის გამართლებას და მუშათა კლასის ინტერესების დამცველ და ხელმძღვანელ როლში დარჩენას. ამ საქმეში რა თქმა უნდა, მაკდონალდ-ბევინები მარტო არ არიან; მათ ეხმარება საერთაშორისო მენშევიზმი. მათ ეხმარება ბ. ოტტო-ბაუერი, ჩვეულებრივ ოპორტიუნისტული ანალიზით. მათ ეხმარება „თორიარდი“ და მთელ მსოფლიოს ოპორტიუნისტული პრესა. ამიტომაც ღირს მათ შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა და გაფიცვის გაკვრით დახასიათება.

ინგლისში მომხდარ ამბების ობიექტიური შეფასება და შესწავლა ჩვენ გვაძლევს სურათს, სადაც რელიეფიურად იმიჯნება ორი მომენტი. ერთი—ეს არის საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენსაბჭო, მაკდონალდ-ბევინების სახით. საყოველთაო გაფიცვა, როგორც ვიცით, იყო სოლიდარობის გაფიცვა მაღაროს მეპატრონეთა შემოტევისაგან მემაღაროეთა დასაცავად. ვიცით ისიც, რომ 10 დღის შემდეგ თვით გენსაბჭომ მოახდინა მისი სამარცხვინო კაპიტულიაცია. მეორე—ეს არის მემაღაროეთა გაფიცვა, მიმართული კაპიტალისტების შემოტევისაგან თავდასაცავად, მიმართული „სტატუსკვოს“ დასაცავად, არსებული სამუშაო დროსა და ხელფასის შესანარჩუნებლად. ეს გაფიცვა დღესაც გრძელდება ძველი სიმტკიცით და გამარჯვების რწმენით,—უკანასკნელი ცნობები იმასაც ადასტურებენ, რომ მაღაროს მეპატრონეები, რომლებიც ძლიერ მტკიცედ ადგენ, განსაკუთრებით საყოველთაო გაფიცვის მოხსნის შემდეგ,—თითქო დათმობაზე მიდიან და მოლაპარაკების განახლებას თხოულობენ.

როგორია მაკდონალდ-ბაუერების მიერ მოცემული გაფიცვის ანალიზი? მათ უნდა მოგვაჩვენონ, რომ გაფიცვა ვითომც განწირული იყო, რომ ის თითქოს დამარცხდებოდა და დამარცხების ასაცილებლად მოხდა მისი ნებაყოფლობითი მოხსნა. ამ „მოლოდინის“ გასამართლებელ საბუთად მათ მოყავთ „მასიური“ შტრეიკბრეხერობა და „ობიექტიური პირობები“. მართალია თუ არა ეს? არ არის მართალი. სინამდვილე გვეუბნება, რომ 5½ მილ. გაფიცულ მუშებს ვერ შესცვლიდა სადემონსტრაციოთ გამოყვანილი შტრეიკბრეიხერების უმნიშვნელო რიცხვი; მათ არ შეეძლოთ გაფიცულებზე უმნიშვნელო გავლენის მოხდენაც, რადგან საერთაშორისო მუშათა კლასი უჩვეულო ენტუზიაზმით შეხვდა უსაზღვრო გატაცებით დაწყებულ მათ ბრძოლას. არა თუ მუშათა კლასის, არამედ წვრილი ბურჟუაზიის სიმპატიაც მათ მხარეზე იყო, განა შესაძლებელია, რომ კაპიტულიაციის სიმპტომები ვინმემ ეძებოს მასის განწყობილებაში, როდესაც ელექტრონის, ფოსტის და სხვა დარგების მუშები (რომლებზედაც გენსაბჭომ გაფიცვა არ გაავრცელა), თვითონვე კატეგორიულად მოითხოვდენ, (ზოგან აღარც დაუცადეს პასუხს და იფიცებოდენ) გაფიცვის მათზე გავრცელებასაც, რადგან სამარცხვინოდ სთვლიდენ ფაშისტ-შტრეიკბრეიხერებთან ერთად მუშაობაზე ყოფნას! დღეს უკვე ყველასათვის გარკვეულია, რომ ბევინ-მაკდონალდებმა ჩაიდინეს ღალატი. მოახდინეს მებრძოლი მუშათა რიგების დაშლა, რევოლიუციონური ნერვების დაჭრა ბრძოლის განვითარების პროცესში, მემაღაროეთა იზოლიაცია და ყველა ამის ფორმალურ გასამართლებლად მოიშველიეს, მეფის სანახშირო კომისიის თავმჯდომარის, სამუელის პროვოკაციული მემორანდუმი. ნუ თუ ამის შემდეგაც უფლებას აძლევენ ისინი თავის თავს. რომ შეურაცყოფა მიაყენონ ბრძოლის ფრონტზე დარჩენილ მუშათა მასებს!?

დღეს ხომ უკვე გამხელილია ბ. ხოველოკ ვილსონის (მეზღვაურთა კავშირის მდივანი) სამარცხვინო მოქმედება, რომელიც თვით ყოფილა ინიციატორი და შთამგონებელი კაპიტალისტური კონსტიტუციით შეიარაღებულ სასამართლოსი, რომ საყოველთაო გაფიცვა უკანონოთ გამოეცხადებიათ, სათანადო იურიდიული კაზუისტიკის მოშველიებით. რათა საშუალება წაერთმიათ გაფიცულ მუშებისათვის გარედან ფინანსიური დახმარების მიღების და თან შექმნა, რევოლიუციის მოჩვენება მერყევი საზოგადოების დასაფრთხობათ და საერთაშორისო რეაქციონური ბურჟუაზიის ფეხზე დასაყენებლად.

განა კიდევ საეჭვოა ვისმესთვის, რომ მაკდონალდებს აშინებდა არა გაფიცვის დამარცხება, არამედ მისი გამარჯვება და ამ გამარჯვებაში მასების გარევოლიუციონერობის სიმპტომების განსჭვრეტა. ამიტომაც იყო. რომ ისინი მასების მობილიზაციის მაგივრად მათ დემობილიზაციაზე ფიქრობდენ.

მაისის საყოველთაო გაფიცვის გარშემო ფრიად საკმაო მასალაა დაგროვილი ოპორტიუნისტ ბელადების მოღალატეობის დასახასიათებლად. ამ საქმეში ისინი ამაოდ ცდილობდენ თავის გამართლებას.

ინგლისში მომხდარი ამბები, როგორათაც არ უნდა დაიხუნდეს ის, სასარგებლოა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინ წასაწევად. რადგან მან ერთხელ კიდევ გამოიტანა სააშკარაოზე ნიღაბ ქვეშ დამალული შემთანხმებელთა ნამდვილი სახე. ეს აიძულებს მათი გავლენის ქვეშ მყოფ მუშებს. რომ საბოლოვოთ განთავისუფლდენ მაკდონალდების გარევოლიუციონერების ილიუზიისაგან. და ჩვენ თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ელენი ვილკინსონის (მუშ. პარტიის წევრი, თემთა პალატის) განცხადება, რომ ეს მაისი იქნება რეპეტიცია მომავალი გენერალური ბრძოლის, მზგავსად 1905 წლის რუსეთის რევოლიუციისა.

დღეს, გაფიცვის მეორე თვეში, როდესაც ანალიზს უკეთებთ ინგლისში მომხდარ ამბებს და ვსვამთ კითხვას: ვინ დამარცხდა, პასუხი მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: დამარცხდა გენსაბჭოს მიერ გამოცხადებული საყოველთაო გაფიცვა მაკდონალდ-ბევინების ღალატის წყალობით. დამარცხდა გენსაბჭო, დამარცხდენ მაკდონალდ-ტომასები, გაკოტრდა საერთაშორისო ოპორტიუნიზმი, ხოლო მუშათა მასების ბრძოლა ისევ გრძელდება. ის გაიმარჯვებს. მაისის გამოსვლებში საკმაო გამარჯვება მოიპოვა პროფინტერნმა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, რომელმაც პირნათლად შეასრულა თავისი კლასიური მოვალეობა, რომელმაც საქმით დაამტკიცა და დაანახვა ყველას თავისი პროლეტარული გულწრფელობა, ნივთიერი და მორალური სოლიდარობის განაღდებით მებრძოლთა მიმართ.

ქ. ჭეიშვილი.

მძიმე ინდუსტრიის შექმნისაკენ

კომპარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ წამოაყენა ახალი ლოზუნგი—მომჭირნეობის რეჟიმი. ეს ლოზუნგი პრაქტიკული ცხოვრების ნიადაგზე დაეშვა.

ამ საგანზე მსჯელობს, როგორც პარტია, ისე უპარტიო მასები. ყველა ორგანოები—პარტიული, პროფესიული, კოოპერატიული, კომუნალური და თვით სახელმწიფოს დაბალი და უზენაესი უწყებანი პრაქტიკული ღონისძიებას არჩევენ, რათა მომჭირნეობის რეჟიმი მტკიცედ იქნას გატარებული.

რაშია საქმე? რათ გაჩნდა ეს ლოზუნგი? რას მივაღწევთ ამ გზით? სახელმწიფო და სამეურნეო აპარატების გამარტივებას, მისგან ზედ-მეტ ბალასტის ჩამოშორებას, მის საგრძნობათ და საკმარისად დატვირთვას, მის შრომის უნარიანობის გაღრმავებას, ზედმეტი-ზედნადები ხარჯების მოსპობას—აი რაში უნდა გამოიხატოს მომჭირნეობის რეჟიმი.

და მართლაც. თურმე, სარეკლამო ხარჯები ზოგიერთ სამეურნეო დაწესებულებაში 1924—25 წ.წ. უდრიდა 21 მილ. მან. დიდ თანხებს ხარჯავს რეკლამაზე მომხმარებელი კოოპერაციაც.

უკრაინის სავაჭრო წარმომადგენლობათა გამორკვევამ მოსკოვში დაამტკიცა რომ საჭიროა გაბერილ შტატების შემცირება 80% და სხვა. (კომუნისტი № 1549) აი ამ ცნობებს ჩვენ ვკითხულობთ საკავშირო კომუნისტურ თეზისებში. აქ პარტიის ცეკა გმობს იმ არა ნორმალობას, კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს უსისტემობას და უეკონომიო მეურნეობის წარმოებას. და როდესაც პარტიული უზენაესი ორგანოს ამ თვითკრიტიკას წაიკითხავენ საბჭოთა რესპუბლიკის მტრები, სიამოვნებით ჩაიცინებენ და გადმოანთხევენ რეაქციონურ შხამს: „დახეთ, კომპარტია თავის უხეიროობას თვითონვე აღიარებს, კომუნისტები ეკონომიურ ფრონტზე უძლურნი აღმოჩნდენ, სოციალისტური მეურნეობას ვერ აწყობენო“.

აი მაგალითათ—ნ. ჟორდანია „ბრძოლის“ მე-7-ე ნომერში განრისხებული ებრძვის ამხ. სტალინს. ის ამბობს: „თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკა უაღრესად ცენტრალისტური ბუნებისაა. ყველა თანამედროვე სახელმწიფოები და ეკონომიური ერთეულები ურთიერთშორის მჭიდროთ დაკავშირებულია. არ არსებობს კარჩაკეტილი, ერთი მეორესგან დამოუკიდებელი, ერთეულებიო“.

ნ. ჟორდანია აქ ტყუილად ეხეთქება ღია კარებს, ვინაიდგან ამხ. სტალინს აზრათაც არ მოსვლია კარჩაკეტილი ეკონომიკის დაცვა. ის მხოლოდ ხაზს უსვამს საკუთარი ეკონომიური სისტემის აღდგენას საბჭოთა კავშირში მძიმე ინდუსტრიის განვითარებით. და მართლაც, რას ნიშნავს დამოუკიდებელი ეკონომიურ სისტემა? ეს ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა რესპუბლიკებმა უნდა გააჩაღონ მძიმე ინდუსტრიალური მეურნეობა, უნდა ადგილობრივად შექმნან საწარმოო საშუალებანი. ადგილობრივად უნდა დამზადდეს ყოველნაირი საწარმოო მანქანები და სხვა. შეიძლება ეს ჩვენ პირობებში? რასაკვირველია, შეიძლება. რა ობიექტიური პირობებია საჭირო, რომ მძიმე ინდუსტრია განვითარდეს ჩვენში? აი აქ დაგვჭირდება თვალის გადავლება, თუ რა გზით შექმნა როგორც კონტინენტალურმა ევროპამ, ისე ინგლისმა და ამერიკამ მძიმე ინდუსტრია.

საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომ დასავლეთის ბურჟუაზია და კერძოთ ინგლისის მმართველმა წრეებმა მძიმე ინდუსტრია შექმნეს დამორჩილებულ და დამონებულ კალონიების ხარჯზე. აუარებელი ნედლი მასალა და ფართო მომხმარებელი ბაზარი არის მძიმე ინდუსტრიის წარმომშობი და მასაზრდოებელი ნიადაგი. აი აქ ვითარდება მძიმე ინდუსტრია. ინგლისი, რომელიც მხოლოდ 70 მილიონ ინგლისელებიდან შესდგება და თვით კი იმორჩილებს 400 მილიონზე მეტს უცხო ტომებს, საარაკოთ ჰყვლეფს მათ, და მათ ხარჯზე ანვითარებს მძიმე ინდუსტრიას. კოლონიალურ ქვეყნებს არ გააჩნიათ განვითარებული მრეწველობა. მეტროპოლიამ თავიდანვე აიღო იქ ისეთი საწარმოო საექსპლოატაციო კურსი, რომელსაც ეწოდება მხეცური ექსპლოატაცია ნაციონალურ ბუნებრივ სიმდიდრეებისა.

აი ამ გზით, კოლონიების მტაცებლური ექსპლოატაციით, გამაგრდა ევროპის და უმთავრესად ინგლისის მძიმე მრეწველობა. აგრეთვე ომის საშუალებითაც ევროპის ზოგმა კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა მიაღწიეს განვითარებას. მაგალითად 1871 წ. საფრანგეთ და გერმანიის ომის დროს დამარცხებულმა საფრანგეთმა გადაიხადა კონტრიბუციის სახით 5 მილიარდი ოქროს ფრანკი. ეს თანხა გახდა მიზეზათ გერმანიის მძიმე ინდუსტრიის განვითარებისა.

ამერიკის მრეწველობა კი სულ სხვა გზით მიდიოდა. აქ კაპიტალმა თავის სახელმწიფოშივე ჰპოვა ის ფაქტორები, რაც ასე აუცილებელია მძიმე ინდუსტრიისთვის—ნედლი მასალა და შინაური ფართე ბაზარი. ამიტომაც ამერიკის კაპიტალი მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოდის საერთაშორისო ბაზარზე, როგორც ძლიერი ინდუსტრიალური სახელმწიფო. ის იზრდება, ვითარდება თავისივე სახელმწიფოს ფარგლებში. და ინგლისთან მსოფლიოზე გაბატონებას. გერმანიასთან ერთად „ომამდის“ ისიც ებრძვის.

როგორ პირობებშია ამ მხრივ საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო პერსპექტივები? ჩვენი სამრეწველო აღორძინებაც წააგავს დაახლოებით ამერიკის სამეურნეო განვითარებას. ვინაიდან ჩვენ, როგორც ამერიკას, მოგვეპოვება აუარებელი ნედლი მასალა, ჩვენ მოგვეპოვება აგრეთვე შინაური უდიდესი გამსაღებელი ბაზარი. ჩვენთვის, რასაკვირველია, მიუღებელია, როგორც მცირე ერების დამონება და მათ ხარჯზე ცხოვრება, ისე იმპერიალისტური ომების წარმოება და მისგან აღებული კონტრიბუციის საშუალებით გამდიდრება. ჩვენ ვერ ავიღებთ იმ სესხსაც მძიმე და სავახშო პირობებში, რომელიც აქცევდა ჩვენს ქვეყანას კალონიათ.

მაშ, რა გზით უნდა წარიმართოს ჩვენი მძიმე მრეწველობის განვითარება? საბჭოთა კავშირებს აქვს ორიგინალური გზა, მან სოციალისტურ რევოლიუციის მეოხებით კერძო კაპიტალი გააუქმა, საწარმოო საშუალებანი ხელთ იგდო. ბურჟუაზიული ქვეყნები თუ კალონიების ძარცვით და იმპერიალისტური ომებით ანვითარებდნენ თავიანთ მრეწველობას, საბჭოთა რუსეთი საკუთარი გზით უნდა წავიდეს. და აი საბჭოთა რეჟიმი ახდენს რუსეთის ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას და მის ავლა-დიდებას საწარმოო, სავაჭრო, საფინანსო, საკრედიტო და სარენტო კაპიტალს—ამ ფუძეს თანამედროვე ეკონომიური კულტურისა—სოციალისტურ მეურნეობის საფუძვლად აქცევს.

მართალია, რუსეთში თავიდანვე მსუბუქი ინდუსტრია სჭარბობდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მძიმე მრეწველობასაც ედგმებოდა ძირი და აი, პროლეტარიატმა ყველა ეს დოვლათი ხელთ იგდო და ამით მას გაუჩნდა მატერიალური რესურსები სამრეწველო ძალების განვითარებისა. მომჭირნეობის რეჟიმის შექმნით, მომჭირნეობის სასტიკად გატარებით ჩვენ მივდივართ სოციალისტურ დაგროვებისკენ და ამ გზით სოციალისტურ მეურნეობისკენ. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვექნება საეკონომიო. სავაჭრო კავშირი და ურთიერთობა უცხო სახელმწიფოებთან, როგორც ამას დემაგოგიური მიზნით მენშევიზმის ბელადი გაიძახის და აყვედრის ამხ. სტალინს. ცნობილია, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს პოლიტიკურ-დიპლომატიურ მისიებთან ერთად წარგზავნილი ყავს მსოფლიოს ყველა ცენტრებში, ყველა სახელმწიფოებში, ეკონომიური სავაჭრო მისიებიც. უდაოა, რომ რუსეთის პროლეტარიატმა შედარებით ადვილად შესძლო ბურჟუაზიის დამარცხება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასე ადვილად ის ვერ შესძლებს სოციალისტური მეურნეობის შენებას და გაძღოლას, მაგრამ ის მაინც წინ მიდის და საოცარი ენერგიით და სისწრაფით ანვითარებს ქვეყნის ნაციონალურ ეკონომიკის საწარმოო ძალებს.

საერთაშორისო ომის და სოციალისტურ რევოლიუციის პროცესში რუსეთი ეკონომიურად ძლიერ დაზიანდა, მაგრამ დამყარდა თუ არა ნორმალური მდგომარეობა, მოახდინა თუ არა სამოქალაქო ომის ლიკვიდაცია, ის მყისვე ჩაება ეკონომიურ აღორძინების პროცესში და დიდ შედეგებსაც მიაღწია უკვე ამ სფეროში. აი ფაქტებიც: 1922 წელში მრეწველობა დაეცა ომამდე არსებულთან შედარებით 26 პროცენტამდე, 1922-23 წელში ის გაიზარდა 34,6 პროცენტამდე, 1923-24 წ. 45 პროცენტამდე; 1924-25 წ. 70,3 პროცენტამდე; 1925-26 წ. 95 პროცენტამდე.

როგორც ვხედავთ, პროლეტარიატს აქვს უნარი ეკონომიური შემოქმედებისა, ასეთივე ენერგიით შეუდგება ის მსხვილი წარმოების აღდგენას და განვითარებას. დაახლოვებით ამერიკული კურსით იწარმოებს ამ შემთხვევაში ჩვენი ეკონომიური აღორძინება, ვინაიდან, აქაც, ჩვენში, როგორც იქ, ნედლი მასალა და ფართო ბაზარი უზრუნველყოფილია.

ნოე ჟორდანიას რისხვა და ქადაგად დავარდნა, რომ ბოლშევიკები ეკონომიურ ფრონტზე მაინც დამარცხდებიანო, ისევე უნაყოფო ილიუზიაა, როგორც ადრინდელი წინასწარმეტყველება მენშევიკური ქურუმებისა. ყველა ამ უსუსურმა ბოდვამ ჩაილურის წყალი დალია. ამ წყალის იმედით შორს ვერ წავლენ მშრომელი ხალხის მტერნი და ორგულნი.

ალფეზ ხელაძე.

ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობის შესახებ

„ახალ-გზელის“ № 13 ამხ. ალფეზ ხელაძე, სამართლიანად სწერს, რომ ახალგზელთა რედაქციისა და ყოფ. მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების მომავალი მუშაობის უმთავრეს მიზნებს უნდა შეადგენდეს იდეური დახმარების აღმოჩენა სწორედ იმ პირთათვის, ვისაც ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია დაბრუნება რევოლიუციონურ ოჯახში—კომუნისტური პარტიის რიგებში.

საჭიროა სისტემატიური და მეთოდიური მუშაობის ჩატარება, საჭიროა დაარსდეს წრეები, სადაც ყოფ. მენშევიკებს და უპარტიო მუშებს წაეკითხება რეფერატ-მოხსენებები. ამ მოხსენებების უმთავრესი თემა უნდა იყოს გარკვევა რევოლიუციონურ მარქსიზმის და ლენინიზმისა.

განა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის სისხლის მღვრელი ბრძოლა გამოწვეული იყო ცოტა რამ განსხვავებით და ბელადთა ჟინიანობით, როგორც ეს დღეს კიდევ ზოგიერთებს ჰგონიათ? რასაკვირველია, არა. მიზეზები უთანხმოების უფრო ღრმა და სერიოზული იყო და თუ ეს ბოლშევიკ-მენშევიკების ურთიერთ გათიშვის პირველ ხანებში არ მოსჩანდა, ის აშკარავდებოდა დღითიდღე რევოლიუციონური ბრძოლის თანდათან განვითარებასთან ერთად და სავსებით ნათელი შეიქნა, როდესაც უდიდესი რევოლიუციის საშოდან წამოიჭრა საკითხი სოციალისტური რევოლიუციის მოხდენის შესახებ. აქ კი ბრმასთვისაც ნათელია, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები ორი სხვადასხვა ძირიან-ფესვიანად ერთი-ერთმანეთიდან განსხვავებულ სოციალურ ფენის მსოფლმხედველობის გამომხატველია: წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგია და მუშური მარქსისტული შეხედულებანი შეეჯახენ ერთი-ერთმანეთს. და მათი შეთანხმება, მათი ურთიერთ დაკავშირება შეუძლებელი შეიქნა. წვრილ ბურჟუაზიამ და მისმა იდეოლოგებმა, რაწამს საკითხი წამოიჭრა საწარმოო იარაღთა განსაზოგადოებრივობის შესახებ, თავი ამოყვეს ბურჟუაზიის ბანაკში. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ ერთ დროს ერთად მავალ და ერთად მყოფ სოციალისტურ ფრთის შორის დავის გადასაწყვეტად საჭირო შეიქნა თოფ-ზარბაზანი.

ეს ბევრმა დღესაც კიდევ არ იცის. ამიტომ საჭიროა განმარტება და სისტემატიური მეცადინეობა. ეს სამეცადინო სკოლა უნდა გაიაროს ყველამ, ყოფილი მენშევიკებიდან.

ბარნ. ძველაია.

ამხ. სტალინი რკინისგზის მთავარ სახელოსნოში

(შთაბეჭდილებანი)

ბევრი კრებები, ბევრი მიტინგები უნახავს ამ ჩვენს ისტორიულ რკინისგზის მთავარ სახელოსნოს. ვინ გინდა რომ აქ არ ყოფილა, არ ულაპარაკნია. კაუტსკი, ვანდერველდე და თვით ცნობილი მაკდონალდიც კი იცნობენ ამ სახელოსნოს.

ჩვენი სახელოსნო იყო, არის და იქნება მუდამ პოლიტიკური, თუ ეკონომიური ცხოვრების მაჯისცემის მაჩვენებელ საზომად, არა მარტო თბილისისათვის, არამედ მთელ ამიერ-კავკასიისათვისაც. ვერც ერთი ასე, თუ ისე ცნობილი სტუმარი, თუ მოგზაური გვერდს ვერ აუქცევს ამ სახელოსნოს. აქ ყველა პოულობს პასუხს იმ საკითხებზე—რასაც დაეძებს.

მით უმეტეს ამ ისტორიულ ალაგს გვერდს ვერ აუხვევს პოლიტიკური მოღვაწენი—მუშათა ბელადები. და გასაკვირი არ არის, რომ რაკი ამხანაგი სტალინ-ჯუღაშვილი პირველად აქ, ამ სახელოსნოშია რევოლიუციონურად მონათლული ესტუმრა თბილისს—ის აქ მოვიდა. ამას ჩვენ მუშები, რკინისგზელები ველოდით, მაგრამ რაც ჩვენ რვა ივნისს ვნახეთ, ასეთი რამ ჯერ არავის უნახავს, არავის უგრძვნია. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთავარ სახელოსნოს „სბორნი ცეხს“ ვერ დაეტიოს კრებაზე მოსული ამხანაგები.

დღეს კი ეს დიდი დარბაზი ვეღარ იტევს ყველა მოსულ ამხანაგებს.

რიგი დარბაზის ბოლოს თავმოყრილი ისმენს ამხ. სტალინის სიტყვას—განმამეორებელი აპარატის საშუალებით და რიგი კიდევ ამავე საშუალებით გარედ თავმოყრილი თვალყურს ადევნებს ძვირფასი სტუმრის სიტყვებს.

— ნეტავი რამდენი კაცია აქ თავმოყრილი? ეკითხება ერთი ამხანაგი მეორეს, მაგრამ ამის გამოცნობა ძნელია.

თვით სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეები ოთხი ათასამდე, საყუდი ორი ათასი, სამმართველოები ორი ათასამდე; ამას მიუმატეთ მოძრაობის დარგი, სალიანდაგო, საქონლის სადგური და სხვა; სულ ცოტა რომ ვსთქვათ დამსწრეთა რიცხვი **ათი ათას აღემატება.**

ასეთი რამ ვიმეორებ სახელოსნოს ჯერ არ უნახავს.

ამოდენა ამხანაგები აქ არ მოურეკიათ ძალით. სულ ყველა მოვიდა თავის სურვილით, თავის ნებით და ბევრი იმასა სწუხს, რომ მას თუმცა ესმის ამხანაგ სტალინის ხმა, მაგრამ ისინი ვერ ხედავენ თვით მოლაპარაკეს.

არაჩვეულებრივი, დაუვიწყარი, გულიდან ამოუშლელი ზეიმია, დღესასწაულით.

ამხანაგი სტალინი იყო აქ, თბილისში წინადაც, გასაბჭოების პირველ წლებში.

მაშინ სულ სხვა ამბავი გახდა. მაშინ ბევრი ამხანაგი სტალინს და მის პარტიას მტრულის თვალით უყურებდენ.

რა მოხდა მას შემდეგ!

მოხდა ის რომ სტალინმა და მისმა პარტიამ დაანახვა ყველას, თუ როგორ სცდებიან და შორდებიან წითელ დროშას, სოციალიზმს ყველა ისინი, ვინც უნდობლად უყურებენ კომუნისტურ პარტიას.

მოხდა ის რომ მენშევიკური თვალსაზრისით შეპყრობილმა მასამ, საქართველოს მუშებმა და გლეხებმა გამოიღვიძეს; თვალები გაახილეს და დაინახეს თავიანთი შეცდომა. მოხდა ის რომ საქართველოს გარედ მყოფნი ჩვენი ემიგრანტი მუშებიც ჩაუკვირდენ საქმეს და ბევრმა მათგანმა მოაშურა თავის კერას, თავის ამხანაგებს და დღეს ისინი მონაწილეობენ საერთო ზეიმში, ამ საერთო დღესასწაულში.

მოხდა ის რომ საბჭოთა რესპუბლიკებში მოისპო ეროვნული მტრობა და შუღლი.

მოხდა ის რომ რევოლიუცია—სამოქალაქო ომის მიერ დანგრეული რუსეთი და მისი მოკავშირე რესპუბლიკები აღსდგინ მკვდრეთით. გამაგრდენ, გაიფურჩქნენ.

წელში გამაგრდა და გაუმჯობესდა მატერიალურად მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელი მასსა.

კეთდება ახალი ფაბრიკა - ქარხნები, რკინისგზები, არხები, ელექტროსადგურები და სხვადასხვა.

ამაების არ დანახვა ყოვლად შეუძლებელია. აი ყველა ამ მიღწევებს, ყველა ამ საქმეებს რომ ხედავს მშრომელთა მასსა ის მიიჩქარის, მოისწრაფის ნახოს და მოუსმინოს იმ პარტიის ერთ ბელადთაგანს, რომელმაც დასძლია ყოველგვარ დაბრკოლებებს და მიყავს მუშათა კლასი სოციალიზმისაკენ. სახარებაში სწერია: საქმემან შენმან გაცხოვნოს შენო.

კომუნისტურ პარტიას გამარჯვება მოუპოვა მისმა საქმიანობამ, მისმა შეუდრეკელმა და ენერგიულმა მუშაობამ.

მე ვიცი კიდევ არიან ურწმუნ განსაკუთრებით საზღვარგარეთ ემიგრანტებში. ამათგან ზოგი მარ ვერ ტყობილობს, თუ რა დადები შაობა — ალმშენებლობა სწარ დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში გიც განგებ ცდილობს ეს არ დაი

აქ ჩვენ ვსარგებლობთ შემ და კიდევ ერთხელ მოვაგონებთ ნო თომებს მუშათა სოციალ ძველ მებრძოლებს, რომ ამ გარემოებას მაინც, რაც ავსწერეთ, რაც მოხდა, რაც ლეს შეიცავს და დაუბრუნდ ძველ გზას. ბრძოლაში გამოცდ კაჟებულ წითელ დროშას და ამოუ თავიანთ ამხანაგებს გვერდში.

როცა ფარნიევ - რუხაძის ჯგუ ემხრო კომუნისტურ პარტიას — ბევრ ამხანაგებს გვეგონა და რომ ეს მოხდა ძალდატანებით მოვნათლეთ მოღალატეებათ. მუშათა კომისიის სახით კომ პარტიას შეუერთდა თითქმ ძველი მუშები, ყოფილი მენშ

თუ დღეს ჩვენში კიდევ იყ ნილი ურწმუნონი, თუ დღეს ისეთი მუშა - სოციალისტ განაგრძობდა ცქერას შავი ზღ როპისაკენ. აი ამხანაგ სტალინ— შვილის მოსვლამ საქართველო მისმა ასეთმა მასიურმა გულმხუ შეხვედრამ, ამითაც უნდა აუხილო ლი, დაანახოს სინამდვილე, თუ ვოლიუციონური სოციალისტია, მონარქისტია.

ამხანაგ სტალინ - ჯუღაშვილი ხვედრით გამართული ზეიმი არ მხოლოთ სტალინისადმი პატივს ეს იყო პატივისცემა იმ პარტიის რომელსაც ხელმძღვანელობს სხვ ერთად ამხ. სტალინი და რომელსაც დება ლენინის პარტია.

აი ამ პარტიაშია ყველა მუ ყველა სოციალისტის ალაგი.

ს. დოლ

შთაბეჭდილებები ზემო იმერეთიდან

ზესტაფონი, როგორც მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მუშათა ცენტრია ზემო იმერეთში. მესამე დასის პირველი ყრილობა ხომ აქ შესდგა. ისიც ვიცით, რომ ერთ დროს აქაური მუშების უმეტესობა მენშევიკური პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. და აი აქ ყოფნის დროს მომიხდა მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრებთან მუსაიფი, რომლის შინაარს მინდა მკითხველს გავაცნო. ადგილობრივ დეპოს ერთი მუშა მეუბნება: „მართლაც დავინახეთ სრული უვარგისობა ჩვენი ძველი გზისა, მიზეზი ამისა კი იყო ის, რომ ჩვენ ბრმად მივსდევდით ჩვენს ძველს ბელადებს, რომლებიც ახლა პარიზის ქუჩებს უსაქმოდ ტკეპნიანო“.

ასეთი სულისკვეთების პრაქტიკული შედეგი გამოიხატება იმაში, რომ ყოფილი მუშა-მენშევიკები ნაწილობრივ კომ პარტიის რიგებში ღებან და დანარჩენები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში.

ასეთი სულისკვეთების პრაქტიკული დავთ სადგურ შორაპანში. მკითხველს მოეხსენება, რომ შორაპანში მუშათა რიცხვი მეტია, ვიდრე ზესტაფონში; ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ დეპოს გარდა აქ სწარმოებს შავი ქვის გადმოტვირთვა. წარსულში მენშევიზმს აქ ფართოდ ჰქონდა ფესვები გადგმული დღეს სულ საწინააღმდეგოს ვხედავ ყოფილი მენშევიკების დიდი უმრავლ სობა თითქმის კომპარტიის რიგებშია თუ არ არის, მიილტვის კომპარტ რიგებისაკენ.

აქ ყოფნის დროს სავსებით დავრწ დი, როგორი გარდატეხა მომხდარა ურ ყოფილ მენშევიკთა შორის.

შორაპანში ერთი ყოფილი მენშ მუშა ამხ. თურმანიძე მეუბნება: „ჩვენთვის ნათელი შეიქნა საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობა და ამიტომ გადავწყვიტე შევიდე კომპარტიის რიგებშიო“.

ძირულის რაიონშიც ძლიერი იყო მენშევიკური პარტია, მაგრამ აქაურმა მუშებმა უკვე კარგი ხანია შეიგნეს კომ პარტიის მნიშვნელობა და ეს იყო მთა ვარი მიზეზი იმისა, რომ ყოფილი მუშ მენშევიკების მთელი შემადგენ დაადგა ახალ გზას. ამხ. ა. მახათაძ მელიც უძველესი წევრი იყო მ კური პარტიისა, დღეს კომპარტიის რია, მას დიდი ღვაწლი მიუძღვ მხრივ, რომ იგი დღეს დიდი ენერ აწარმოებს მუშათა შორის პოლიტ მანათლებელ მუშაობას.

ალ. გორგაძე.

მფლანგველების ლაბორატორია

ამ უკანასკნელ დროს ძალიან გახშირდა და დიდათ სამარცხვინო მოვლენა - ფულის გაფლანგვა-გატაცება. ეს სისაძაგლე რაღაც მასიურ ავადმყოფობად იქცა, და მიუხედავად იმისა. რომ ხელისუფლება უკიდურეს ზომებს მიმართავს მის ამოსაფხვრელად—დამნაშავეებს ხვრეტს—ის მაინც არ ნელდება; პირიქით—მეტი მასშტაბით მეორდება. საჭირო გამოკვლევა და გარკვევა ამ ჩვენი დაავადების ღრმა საფუძვლის და ეკონომიური მიზეზების და ამისდამიხედვით საჭირო ზომების გამომუშავება. მარტო რეპრესიული ზომებით სათანადო ნაყოფს ვერ მივიღებთ. ასეთი გამორკვევა ფრიად და სერიოზული საქმეა, ეს ჩემს პატარა ძალებს აღემატება. მაგრამ თუ ხელში კალამი ავიღე, ეს იმიტომ ვქენი, რომ მინდა მიუთითო ვისაც ჯერ არს ერთ-ერთ მიზეზთაგანზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ასეთი ბოროტმოქმედების ერთგვარ ლაბორატორიათ.

მე ვლაპარაკობ იმ „კაზინო“, „პტიშვო“ და „ლოტოებზე“, რომლებიც აქ ჩვენს დედა-ქალაქში ისეთი სისწრაფით მრავლდებიან, როგორც სოკო გაზაფხულის წვიმის შემდეგ. თეორეტიულად ეს უმსგავსო დაწესებულებები არსებობენ მხოლოდ და მხოლოდ ეგრედწოდებულ „ნეპმანების“ თავის გასართობად. ასეთ დაწესებულებებში რჭვენ კედლებზე დაინახავთ დიდი ასოებით აღბეჭდილ პლაკატებს, სადაც ნათქვამია, რომ იქ შესვლა ეკრძალება წითელარმიელებს, კომკავშირელებს და პროფესიონალურ კავშირების წევრებს. წითელარმიელებს იქ მართლა ვერ შეხვდებით—ალბათ მათ ამისათვის სალსარი არ გააჩნიათ, მაგრამ რაც შეეხება კომკავშირელებს და განსაკუთრებით პროფკავშირების წევრებს, ამაზე კი უკაცრავათ,—ისინი ამ დაწესებულებების საგრძნობ კონტინგენტს შეადგენენ. ერთი წუთით რომ შევაჩეროთ ლოტოს ყუთის ტრიალი და „პტიშვოს“ ბრუნვა და მოსთხოვოთ დამსწრეთ დოკუმენტები, თქვენ დარწმუნდებით, რომ დამსწრეთა. დიდი ნაწილი არის საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები.

და აი ამ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთა ხელფასი არ აღემატება საცხოვრებელ მინიმუმს, ყვლეფენ უსაშინელესის სისასტიკით. იშვიათი იქ შემსვლელი გამოვა ამ დაწესებულებებიდან ისე, რომ ერთი ჩერვონეცი არ დატოვოს იქ გართობისათვის; ეს ვინც ლოტოს თამაშობ ვინც კი კაზინოში „ერთობა“, იქ ჩერვ ნეცის დაკარგვა მხოლოდ რამოდენი წუთის საქმეა. და იმ რიგათ, იმ სახით არის საქმე დაყენებული ამ გარყვნილებების ბუდეში, რომ დამჯდარ ხალხსაც არ შეუძლია თავი დააღწიოს ამ დაწესებულებებში გაბმულ ქსელებიდან, თორ ახალგაზრდა სუსტი ხასიათის პირებ შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. მე ვიც მაგალითი, რომ ერთი, ქალაქში ცნობი ლი მოხუცებული ექიმი, რომელსაც კა რტი ხელში არასოდეს არ აუღია, რომე ლმაც ისე მიაღწია მოხუცებულობას, რომ არ იცოდა რაა აზარტული თამაში იმრიგად ჩაება ერთ-ერთ კაზინოში, ყოველ ღამ რამოდენიმე ასეულ მანე აგებდა, და იმ ზომამდე მივიდა, ერთ საღამოს სათამაშო მაგიდა კი დაამტვრა. და განა გასაკვირია, ასეთი ბოროტი ადგილები იზიდ ახალგაზრდა ნოხელეებს და მოსამს რეებს და იქ ისინი, გულუბრყვილონი, უხასიათონი, სცდიან თავის ბედს? ისინი სტოვებენ თავისსა და სახაზინ ფულებს და მით ესალმებიან წუთისოფელსაც.

მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფა მოითხოვს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატისაგან დაუყონებლივ დახუროს და მოსპოს მისი სახელით დახსნილი მოქალაქეთა გამხრწნელი დაწესებულებები, და მით ბოლო მოუღოს შულერებისა და მფლანგველთა საბუდარს. აქ არ შემიძლია არ მიუთითო ერთ დამახასიათებელ მოვლენაზე. სანამ სტამბოლში მეფობდენ მოკავშირეები—ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები, იქ ყოველ რესტორანში, ყოველ კაფეში გახურებული იყო ლოტო და სხვა აზარტული სათამაშოები. მაგრამ საკმარისი იყო ქემალის მთავრობის მიერ სტამბოლის ხელში აღება, რომ მეორე დღესვე გამოიცა უსასტიკესი განკარგულება ასეთი დაწესებულებების მოსასპობათ. და ეს მოიმოქმედა თურქების მთავრობამ, მიუხედავათ იმისა, რომ მოდების 75% მათ სასარგებლოდ მიდიოდა. ნუ თუ ის, რაც შეიგნეს თურქებმა, ვერ შევიგნებით ჩვენ?

კ. ს—ძე.

რედაქტორი კ. სულაქველიძე

ლა მომჭირნეობისათვის

საკავშირო ცაკი მომჭირნეობის შესახებ

...ვი, 12 ივნისი, საკავშირო ცაკის ...მმა მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ ...ანონი, რომელშიაც ის ავალებს სახელ-...ფო დაწესებულებათა, წარმოებათა და საა-...ციო საზოგადოებათა გამგეობებს, რომელნიც ...მთავრესად სახელმწიფო კაპიტალით არსებობ-...ენ, გააძლიერონ სისტემატიური მუშაობა, ყოველგვარ გასავლის და ხარჯების მოსასპობათ, რომელნიც აუცილებელ საჭიროებით არ არიან გამოწვეულნი.

...მუშაობის ძირითადი მიმართულება უნდა ... დაწესებულებათა და წარმოებათა სტრუ-...ბის გამარტივება და რაციონალიზაცია. ...ბულ უნდა იქნას ყოველი ჯურის ზედ-... დაწ...ებანი, განყოფილებანი, კომი-..., თა..., ფილიალები, წარმომადგენ-...ბი, ...ხოები და სხვა. უნდა მოხდეს ... შემოკლება იმ მიზნით, რომ ...ლიად შეესაბამებოდეს დაწე-...რმოებაში ნამდვილათ წარ-...ობა. უნდა წარმოებულ იქნას გა-... შრომის დისციპლინის დარ-... სამუშაო ქირის ყოველგვარ ფა-...ლის წინააღმდეგ, უნდა შემოკლე-... ზედმეტი სამუშაო, მივლინების ... ხანგრძლივობა, კერძოდ უცხოეთში. ...ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა, რომ სისწორით დაცულ იქნას კანონები ყოველგვარი იუბილეების და დღესასწაულების წესების შესახებ და მაქსიმალურათ შემცირდეს ხარჯები ამ მხრივ.

სახელმწიფო დაწესებულებებმა და წარმოებებმა უნდა შეამცირონ გასავალი სხვადასხვა შემოწირულებებზე.

მომჭირნეობის რეჟიმის დარღვევისთვის, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმი დისციპლინალური და, ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას აკისრებს დაწესებულებათა და წარმოებათა ხელმძღვანელებს და გამგეობის წევრთ, აგრეთვე ყველა თანამდებობის პირთ მათზე მიკუთვნებულ უფლების და დაკისრებულ მოვალეობის მიხედვით.

ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საკავშირო რესპუბლიკებს, რომ შეიმუშავონ ღონისძიებანი, თანამდებობის პირთა მფლანგველობის და უყაირათობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კანონის უკანასკნელი ნაწილი პასუხისმგებლობას აკისრებს ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებს, რათა მომჭირნეობის რეჟიმის გატარების დროს მაქსიმალურად გამოყენებული იქნას პროფესიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პრესის ზეგავლენა. ამ მიმართულებით წაქეზებულნი, არ იქნას საზოგადოებრივი და ინდივიდუალური თაოსნობა.

დ უნდა გატარდეს მომჭირნეობა

...რის გატარებისათვის სა-...ლივი და დაუნდობელი ...ი მშენებლობის ყველა მა-...ბთან.

...მავალითისათვის ჩვენი რკი-...ის მთავარი სამმართველო. რას ...ქ?

...რაკოთ ფაქტები. მიმდინარე ...წარვალში მოთხოვნილების ...353 ა.-კ. რკ. გზის სამმარ-...ერთ-ერთ წევრს მიღებული ...ძი ჯამაგირი 97—50 კაპ.; ...ი 302—50 კაპ., 53 დღის ...ვის დღიურები 1.116—50 ...ური შრომის ჯილდო უდ-...0 კაპ. ამავე პირს აპრილის ...ნილების უწყისით, № 536, ...ს ძირითადი ჯამაგირი ...ცგანაკვეთი 302—50 კაპ., ...ში ...ვლინების ჯილდო 366 მ. ...რვალ არ სარგებლობისათვის ...თ სახით 288 მან., სულ ...ს ...ებული ჯილდო უდრის ...უ ... და 52 კაპ. ამას გარდა ...353 სამმართველოს 11 სხვა-...ლეს მიღებული აქვთ მივლი-... იგივე საერთო ჯამით 3.861 ...ფიქროთ, რომ აღნიშნული მა-...დ გამონაკლისს შეადგენდენ. ...თხვევებმა ქრონიკული ხასიათი ...იდგან ის არავითარ კანტროლს ...ებარება.

...ვე ამის შემდეგ ისმება საკით-...მ ეძლევათ სპეცებს ძირითადი ...რები და სპეცგანაკვეთები? იმი-..., რომ ამ ხალხმა თავისი სპეცია-...ი ცოდნა მოახმარონ წარმოების ...ბინებას. ისინი კი ამ ჯილდოს არ ...ღებიან და ცდილობენ სხვადასხვა ..., როგორიც არის პროექტების შედგენა, ბალანსების გაკეთება, ხშირი და ხანგრძლივი მივლინებები და სხვა მდიდარი შემოსავალის წყარო გაიჩინონ.

ეს პირდაპირ გაუგებარი და შეუწყნარებელი რამ არის. ვსთქვათ, რომელიმე მოხელეს, გინდაც ჩვენს მიერ ზემონახსენებ პირს, საქმე აქვს მუდმივ მივლინებასთან და მისი მოვალეობა დაკავშირებულია მუდმივ მგზავრობასთან—ამ შემთხვევაში რატომ არ შეიძლება ამ პირებს მიეცეთ თვიური მუდმივი ჯილდო მისი მოვალეობის მიხედვით. ეს ხომ უკვე შემოღებულია ზოგიერთ კატეგორიის მოსამსახურეებში, რომელთაც ეძლევათ ძირითადი ჯამაგირიც და დამატებით მივლინების ჯილდო ყოველგვარ დღიურების გარეშე. რატომ არ შეიძლება ეს საზომი გავრცელდეს დიდ მოხელეებზედაც?

გარდა ამისა, ნუ თუ არ შეიძლება დღიურების ერთგვარი მაქსიმუმის შემოღება? ნუ თუ ნორმალურია, როცა 53 დღის განმავლობაში მხოლოდ დღიურების სახით თანამშრომელს ეძლევა 1.116 მან. 50 კ.—ანუ 21 მანეთი დღე-ღამეში თავის ჯამაგირის და სპეცგანაკვეთის გარეშე? მართალია არსებულ დებულების ძალით ეს ფორმალურად დასაშვებია, მაგრამ ხომ ვხედავთ სანამდი შეუძლია კაცს გააფართოოს კანონის განმარტება, თუ ეს მისთვის ხელსაყრელია? ეს ხომ დაუშვებელია, რომ მარტო დღიურების სახით ათასები ვაძლიოთ მოხელეს, რომელსაც, სხვათა შორის, მგზავრობის დროს შეუძლია ისარგებლოს ცალკე რონოდით?

ალბად რკინის გზის სამმართველო არ დააყოვნებს პასუხის გაცემას ამ დამაფიქრებელ კითხვებზე.

მედგარი.

პასუხად „მოკეთეს“

„...მუნისტის“ 129 №-ში მოთავსებული ...ლი განათლების მუშ. სახლში მომ-...ის რეჟიმის გატარების შესახებ. წერი-...ორი „მოკეთე“ მოგვითხრობს: ...რი გამგე რად უნდა სახლს, მუშაობა ... ფართოდ არის დაყენებულიო“, ამ დე-... დასტკიცება უნდა, მაგრამ ამისათვის ...“ თავის არ იწუხებს. სინამდვილეში კი ...აწარმოებდა რთულ კულტ-მუშაობა-...რტო თბილისში, არამედ რესპუბლი-...ბითაც.

...ლების მუშაკთა უკანასკნელ პლენუმზე ...ხი გაირჩა და ორი პასუხისმგებელი ...ვე სახლში საჭიროდ იქნა ცნობილი.

2) „მოკეთე“ რიხიანად აცხადებს: „ხშირია ... კაცი აუდიტორიაში და ლექცია მაინც ...ებაო“. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ...ერთი შემადგენლობაში ლექცია წაეკით-...ამე, რასაც ადასტურებს მსმენელების ... ფურცელი.

3) „გაზეთებში განცხადებებს ფული უნდა,—საკმარისია შესდგეს ცხრილი ლექციებისა და მსმენელთ დაურიგდესო“ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ლექციების და საერთო მუშაობის ცხრილი სისტემატიურად ეგზავნებოდა გან. მუშაკებს. ეს ყველამ იცის, ვინც ოდნავათ მაინც დაინტერესებულია გან. მუშ. სახლით და ნუ თუ „მოკეთემ“ ვერ გაიგო ეს?

4) „ტეხნიკურ პერსონალში ზედმეტი საათები რა საჭიროა, როდესაც სამი ემსახურება ერთ პატარა დაწესებულებასო“. აქ „მოკეთე“ მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად გვირჩევს ტეხნიკურ მომუშავეთ, როდესაც აუცილებელი საჭიროების გამო მოუხდებათ ზედმეტი მუშაობა—გასამრჯელო არ მივცეთ. ვერა, ამას კავშირის დაწესებულებაში ვერ გავატარებთ, პირიქით, თუ სხვა დაწესებულებაში ექნება ადგილი ამგვარ შემთხვევებს, ჩვენ მას შევებრძოლებით.

განათლ. მუშ. სახლის გამგეობის საერვ. კომისია.

პარტიული ცხოვრება

სასწავლებლებში მიღება

მოსკოვი, 12 ივნისი. საკავშირო კომპარტიის ცეკა წერილში—უმაღლეს სასწავლებლებში, მუშფაკებზე და ტეხნიკუმებში მოსწავლეების მიღების შესახებ—წინადადებას აძლევს ადგილობრივ პარტკომებს გაატარონ შემდეგი ღონისძიებები:

უმაღლეს სასწავლებლების მიმღებ კომისიებში უნდა იგზავნებოდეს პარტკომების ავტორიტეტული წარმომადგენლები. მისაღებმა გამოცდამ უნდა გამოარკვიოს აქვს თუ არა ამა თუ იმ პირს საჭირო ცოდნა, ურომლისოდაც შეუძლებელია მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებლებში. იმ პირთა შორის, რომელნიც გამოცდას ჩააბარებენ, უპირატესობა უნდა მიეცეს მუშებს, მოჯამაგირეებს და მათ ბავშვებს და აგრეთვე პარტიის, კომკავშირის და პროფკავშირების წევრებს. ჩატარებულ იქნეს პროფკავშირებთან და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად კამპანია უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პირობების განსამარტავათ. გაძლიერებულ იქნეს ყურადღება მუშფაკებზე და ტეხნიკუმებში მოსწავლეთა მიღების მიმართ. მუშფაკებზე და ტეხნიკუმებში შეიძლება მხოლოდ მუშების, გლეხების და მათი შვილების მიღება.

იღებს რა მხედველობაში, რომ 1925 წელს უმაღლეს სასწავლებლების კლასობრივი შემადგენლობა არ იქნა საკმაოდ გაუმჯობესებული, ცეკა წინადადებას აძლევს ყველა პარტკომებს მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მოსწავლეთა მიღების მომავალ კამპანიას.

რა კეთდება წევრთა თვით-განვითარებისათვის აჭარისტანის ორგანიზაციაში

პარტ-მასის კულტურულ-პოლიტიკურ დონის აწევის მიზნით, თვით-განვითარების მეთოდით, აჭარკომის საგ.-საპ. განყოფილებასთან არსებობს თვით-განვითარების საკონსულტაციო ბიურო. ბიუროს მიერ თითქმის ყველა უჯრედებში დაარსებული არის თვითგანვითარების წრე. სულ არსებობს 12 წრე, რომელთაც აქვთ უმთავრესად პოლიტიკური განხრა. წრეები სულ აერთიანებენ 60 კაცს. წრე დაყოფილია ორ ჯგუფად წევრთა მომზადების და განვითარების მიხედვით პირველ ჯგუფში მუშავდება პოლიტ-ცოდნის კურსი, მეორეში—პარტიის ისტორია, ლენინიზმი, და სხვა. მუშაობის უფრო გაღრმავებისათვის ცენტრალურ ადგილებში გამოყოფილია თვით-განვითარების ბიუროს კონსულტანტები. თვით-განვითარების მეთოდის გამონახვის მიზნით არა ერთხელ იქნა მოწვეული თათბირი კონსულტანტებისა და თვითგანვითარების წრეში შემავალ ამხანაგებისა. ამ უკანასკნელთა თვითგანვითარების წრეების ქსელი გაბმულია პროფკავშირის ხაზით. სოფლად სათანადო ხელმძღვანელ კადრის უყოლობის გამო თვითგანვითარების სფეროში მუშაობა ვერ სწარმოებს.

ვნელიპი.

უვარგისი ბიურო.
(ნაგვაზაო, სენაკის მაზრა)

ეს უჯრედი აერთიანებს 9 წევრს. კომუჯრედს ჰყავს გამოყოფილი ბიურო 3 ამხანაგისაგან შემდგარი. მუშაობა მათ შორის თუმცალა განაწილებულია, მაგრამ ის არ სწარმოებს სისტემატიურად. ბიუროს არა აქვს შემუშავებული გეგმა, ამიტომ მუშაობა როგორც ბიუროსი, ისე კომუჯრედის ძალზე მოისუსტებს.

უჯრედის წევრთა რიცხვი არ იზრდება. კანდიდატთა ჯგუფი დღემდისაც არ დაარსებულა.

საერთოდ კრება ხდება მხოლოდ თვეში ერთხელ. უჯრედის სხდომები არ არის სისტემატიური. სხდომებზე არ ისმება პრაქტიკული ხასიათის საკითხები, თვით ბიურო კი საკითხებს წინასწარ არ იხილავს. საკითხები და პრაქტიკული ღონისძიებები ბიუროში არ მუშავდება. ამ რიგად ბიურო ვერ უწევს ხელმძღვანელობას პარტორგანიზაციას, აქედან ცხადია, სუსტია ხელმძღვანელობა საბჭოთა ორგანიზაციებზე. „რემედასის“, „წერკუმს“-ის, ან „ავიახიმ“-ის უჯრედები თემში არ არსებობენ. გლეხობას არავითარი წარმოდგენა არ აქვს მათზე. უჯრ. პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა არ მიმდინარეობს. გაზეთებს არავინ იწერს, ქოხ-სამკითხველოები არ მოიპოვება.

უჯრედში მოიძებნება რამოდენიმე მცოდნე, მაგრამ თვითმოქმედების უნარი და ინიციატივა არა აქვთ.

მაზრკომმა მიაქცია ყურადღება ამ უკანასკნელ ხანებში უჯრედის სუსტ მხარეებს და მიღებულია ზომები კომუჯრედის ყველა წევრების ასამუშავებლად.

ი—ლი.

ჩვენი პოლიტ სკოლა
ს. ნაკურალეში (ლეჩხუმის მაზრა).

პოლიტ სკოლის გახსნას დიდის აღფრთოვანებით შეხვდა გლეხობა. არც ერთი პარტ-ამხანაგი არ დარჩენილა სკოლის გარეშე, კომკავშირელებიც საკმაოდ ჩაეწერენ, სკოლაში ჩაეწერა აგრეთვე უპარტიო გლეხობაც. მეცადინეობა ორი კვირაა რაც დაიწყო, მსმენელები დანიშნულ დროზე ადრე ცხადდებიან სკოლაში. უნდა აღინიშნოს, რომ მსმენელთა სკოლით დაინტერესება, იმითაც აიხსნება, რომ ლექტორი ერთგულად ეკიდება საქმეს.

ამავე სოფელში, ადგილობრივ მოწინავე ამხანაგების ენერგიული შრომით ამ ბოლო ხანში დაარსდა კოოპერატიული ამხანაგობა და სამკითხველო. კოოპერაციით დაინტერესებული გლეხობა დღითი დღე ადიდებენ კოოპერატივის წევრთა რიცხვს. განზრახვა აქვს ხსენებულ საზოგადოებას, მოღონიერების შემდეგ დაარსოს სამჭედლო და სახარაზო.

დიდგორი.

თერჯოლის კომუჯრედში.
(შორაპნის მაზრა).

თერჯოლის კომუჯრედი აერთიანებს კომპარტიის 2 წევრსა და 20 კანდიდატს. მათში 16 გლეხია, სამი მასწავლებელი და 3 სხვა მოსამსახურე. კრებები იმართება კვირაობით. უპარტიო გლეხობასთან დაახლოვების მიზნით ეწყობა ღია კრებები, სადაც კამათში მონაწილეობას ღებულობენ როგორც კომუჯრედის წევრები, ისე უპარტიო გლეხობაც. დამოკიდებულება უპარტიო გლეხობასთან კარგია. სამაზრო პარტკომის ხელმძღვანელობა კარგია, მოგვდის პოლიტიკური ლიტერატურა და ცირკულიარები სახელმძღვანელოდ.

უჯრედის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თემის აღმშენებლობის საქმეში და ეხმარებიან აღმასკომს მუშაობაში.

ვალ—ია.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ა. ქ. კომკავშირის სენაკის სამკომის პლენუმი

8 ივნისს, საღამოს 8 საათზე, სენაკის რკინისგზის კლუბში გაიხსნა კომკავშირის სენაკის სამკომის პლენუმი. დაესწრენ ამხანაგები თითქმის ყველა თემებიდან და ცეკას წარმომადგენელი ამხ. გ. ძიგრაშვილი. პირველ სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ს. მამულიას მოხსენება ს. კ. პ. (ბ) ცეკას აპრილის პლენუმის შედეგებზე. მომხსენებელი დეტალურად შეეხო იმ საკითხებს, რომელიც პლენუმმა გაარჩია და, განსაკუთრებით, შეჩერდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობასა და ჩვენი პარტიის სამეურნეო პოლიტიკაზე. აღნიშნა მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მის მისაღწევად ბრძოლა მომჭირნეობისათვის და ენერგიული მუშაობა სხვადასხვა დარგში. ამ საკითხთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმ როლს, რომელიც კომკავშირის ორგანიზაციამ უნდა ითამაშოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სამეურნეო მშენებლობის საქმეში. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

შემოტანილ შეკითხვებზე სათანადო პასუხის გაცემის შემდეგ მოხსენების გარშემო გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც გათვალისწინებულ იქნა მაზრის ორგანიზაციის პრაქტიკული ამოცანები პლენუმის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად კომპარტიასთან ერთად.

პლენუმის მორიგი სხდომა გაიხსნა 4 ივნისს, დილის 8 საათზე, ადგილობრივ მუშათა კლუბში.

მოსმენილ იქნა ამხ. ძიგრაშვილის მოხსენება ს. ლ. ა. კ. კ. ცეკას უკანასკნელ პლენუმის შედეგებზე და სენაკის სამკომის მდივან ამხ. მ. კაჭარავას ინფორმაციული ანგარიში სამკომის მუშაობაზე, ბანძის და დიდი-ჭყონის რაი. ინსტრუქტორების თანამოხსენებითურთ.

შემდეგ პლენუმმა მიიღო საზაფხულო მუშაობის გეგმა და გაარჩია სხვა საკითხებიც.

პლენუმის მუშაობა ნაყოფიერია მით, რომ პლენუმის წევრები ქალაქის ორგანიზაციასთან ერთად გაეცნენ მაზრის ორგანიზაციის მდგომარეობას, მის მიღწევებს და ნაკლს, შეისწავლეს პარტიის დადგენილებანი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სხვადასხვა საკითხებზე.

ყველა განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივ პირობებსა და მდგომარეობასთან შეთანხმებით პლენუმმა დასახა მაზრის ორგანიზაციის წინაშე ეს კონკრეტიული სამუშაო ამოცანები.

პლენუმის მუშაობა დასრულდა იმავე რიცხვის ღამის 11 საათზე.

მ. ბარამია.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

4.000 მ. დაზოგვა

ქუთაისი. 12 ივნისი. ქუთაისის ქალაქის სადგურმა და მისმა განყოფილებებმა ხონში და ვანში მოახდინეს ზედ-ნადები ხარჯების შემოკლება, რამაც მისცა 4,000 მან. ეკონომია, ე. ი. მთელი ბიუჯეტის 25%.

ავტომობილების მიღება

ქუთაისი, 12 ივნისი. ამიერ-კავკასიის სავაჭრო-საპაიო საზ-ბის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო 2 სხვარგო ავტომობილი, რომლებიც გამოყენებული იქნება ტვირთების გადასაზიდად ქუთაის-ონის და ქუთაის-ბაღდადს შორის.

ახალი გზები

ახალ-სენაკი, 12 ივნისი. სამაზრო აღმასკომმა ივლის-სექტემბრის განმავლობაში ჩაატარა კამპანია ახალი გზების გასაყვანად და ძველის შესაკეთებლად. მეტი მუშაობა სწარმოებდა აგვისტოში. დაწესებულია საგზაო ბეგარა, მოქალაქეთათვის 18-დან 50 წლამდე. თემის აღმასკომებს წინადადება აქვთ მიცემული შესაკეთებელ გზების შესახებ წარმოადგინონ სათანადო ცნობები.

აჭარისტანი

კოოპერატივების მომარაგების საქმე

ბათომი, 12 ივნისი. საშუალებების უქონლობის გამო, უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში აჭარისტანის ცეკავშირი მოკლებულია შესაძლებლობას უზრუნველყოს სამაზრო კოოპერატივები პირველი მოთხოვნილების საქონლით: მარილით, შაქრით, ფქვილით და სხვა. ამით ისარგებლეს კერძო მოვაჭრეებმა და ფასები აუწიეს დასახელებულ საქონელზე.

არხების გაწმენდა

ბათომი, 12 ივნისი. აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა აჭარისტანში ყველა სარწყავ არხების გაწმენდას და გასწორებას.

მუშკორის შეურაცხყოფისათვის.

ბათომი, 12 ივნისი. სახალხო სასამართლომ ვაჭრებს ძმებ თავართქილაძეებს მუშკორი სადრაძის შეურაცხყოფისათვის, რომელმაც წერილობით ამხილა ისინი, მიუსაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა.

პარკის საშრობელა.

ბათომი, 12 ივნისი. ამიერ-კავკასიის ვაჭრობის ბათომის განყოფილებამ იტალიიდან მიიღო აბრეშუმის პარკის საშრობელათა პარტია, რომელნიც დასავლეთ საქართველოში და აზერბეიჯანში გაიგზავნება.

გზების გაყვანა.

ბათომი, 12 ივნისი. აჭარისტანის სახელმწიფო საგ. კომ. მიერ დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო მოწყობილებათა მთავარი გამგეობის ხარჯთაღრიცხვა 300.000 მან. თანხით ექვსი ახალი გზების გასაყვანად—ხულოს, ქედის და ქობულეთის მაზრებში.

სამალარიო სადგური.

ბათომი, 12 ივნისი. მალარიის ეპიდემიის გავრცელების გამო, ქობულეთში გაიხსნა სამალარიო სადგური მალარიის საწინააღმდეგო აცრის საწარმოებლად.

ბათომი—ხულო.

ბათომი, 12 ივნისი. „ზაკავტოპრომტორგ“-ის ბათომის განყოფილებამ დააწესა რეგულიარული საავტომობილო მიმოსვლა ბათომსა და ხულოს შორის. ხაზზე 2 ავტობუსი იმუშავებს.

საძოვრები.

ბათომი, 12 ივნისი. მიმდინარე წელს საძოვრებისათვის აჭარისტანში დატოვებულია 34.000 დესეტინა. გარდა 22.000 მსხვილფეხა საქონელისა, საძოვრებზე უკვე გარეკილია 20.000-მდე ცხვარი.

ჭოროხის ადიდება.

ბათომი, 12 ივნისი. წარსული წვიმების გამო, მდინარე ჭოროხში წყალმა აიწია ერთი მეტრით. დაბალი ადგილები წყალმა დაჰფარა.

წერილები

უპატრონო მამული..
(სოფ. მანავი, გარე-კახეთი).

მანავის სახალხო მამული საკმაოდ მდიდარ მეურნეობას წარმოადგენს. მამულს აქვს 32 დესეტინა მიწა. ამ მიწის ერთ ნაწილზე გაშენებულია ვენახი, ხოლო მეორეზე სიმინდით დათესილი. გარდა ამისა, მამულს აქვს საკუთარი ტყეც და, ყოველივე ამასთან ერთად, ორი ძვირფასი შენობა. შრომის იარაღები და სხვა მოძრავი ქონებაც საკმაოთ ბლომათ მოიპოვება ჩვენს მამულში.

ცხადია, ასეთ სიმდიდრეს საქმის მცოდნე, სახელმწიფოსათვის გულშემატკივარი და მომჭირნე პატრონი უნდა. მაგრამ მანავის სახალხო მამულს ამ ბოლო ხანს ბედი არ სწყალობს. რაღაც საუბედუროთ ამ მდიდარ მეურნეობას მოევლინა გამგეთ გალაქტიონ გაწერელია, კაცი, რომელსაც სოფლის მეურნეობის არაფერი გაეგება. ასეთ გამგის ხელში საქმე სულ უარ და უარ მიდის.

ვაზი, როგორც მოვეხსენებათ, მეტად ფაქიზი მცენარეა, რომელიც ბავშვივით მოვლას და მზრუნველობას საჭიროებს. მას თავისი დრო და ვადა აქვს. თუ ერთხელ შეეცილდა ხელი წამლობაზე, ადვილი შესაძლებელია, მთელი წლის მოსავალი წყალს გაატანო. ვაზი 21 მაისამდე უნდა წამლულიყო, მაგრამ ისე გავიდა ეს ვადა, რომ წვეთი წამალი მანავის სახელმწიფო მამულის ზვარში არ დაღვრილა.

მაგრამ, თუ მეურნეობის გაძღოლაში სუსტია გაწერელია, სამაგიეროთ ის მეტად მარდი ბიჭია სხვა რამეში. „ჯერ თავო და თავო, მერე სხვაო და სხვაო“,—ასე ამბობს ძველი, დრომოჭმულ საზოგადოების თქმულება. გალაქტიონი ამ თქმულებას სავსებით ამართლებს მამულის მიმართ. ჯერ მე და ჩემი სიამოვნება, შემდეგ მამული და მისი ინტერესები.

აი მაგალითიც. ერთ დღეს მცველმა მამულის ტყეში ქურდი დაიჭირა, რომელსაც ჩამოართვა ცული, რითაც ტყეს სჭრიდა. მცველმა ეს ცული გამგეს მიუტანა და თან ქურდის ვინაობაც შეატყობინა.

გალაქტიონმა დაიბარა ქურდი და ეუბნება. „რას იტყვი, შვილოსა? ხომ ხედავ, ხელში ჩამივარდა? გადაგცე სასამართლოს და სამი თვით თავი ციხეში გატკეცვინო, თუ სხვა რითიმე გამოისყიდი დანაშაულს“-ო? ქურდი დათანხმდა სასჯელის პატიების საფასურად ოთხი დღე უსასყიდლოთ ემუშავნა სახალხო მამულში. ამის შესახებ მას ხელწერილიც ჩამოართვეს.

ასეთი იყო სიტყვიერი და წერილობითი პირობა, ხოლო სინამდვილეში, აი რა მოხდა: ოთხი დღის მაგიერ ქურდმა ოთხი ხელადა ღვინო მოართვა თქვენს გალაქტიონს. გაიმართა ერთი ქეიფი და ოროველა. შემდეგ გამგემ შეაბმევინა მამულის ეტლი და იმდენი იჯირითეს, რომ ირგვლივ ნისლის ბუღი ფარავდა ყველაფერს.

ჯირითს კიდევ ვინღა სჩიოდა, რომ ცხენი არ დაეტანჯათ. მთვრალებს ისე შეებათ საცოდავი ოთხფეხი, რომ თასმების შეწნევაც ვეღარ მოეხერხებიათ. ცხენი თასმებს მიწაზე მიათრევდა და სირბილის დროს ფეხებს ადგამდა ზედ. საწყალმა ცხენმა ლამის რამდენჯერმე კისერი მოიტეხა. ან კი რა ენაღვლებოდა გაწერელიას. თუ ცხენს ხიფათი შემთხვეოდა—მიზეზს რასმე ხელად ვამოსძებნიდენ—აქტი შესდგებოდა და გაწერელია ცხენს „რასხოდში“ გასწერდა.

კარგი კი იქნებოდა, სანამ გაწერელია მამულის დიდ ქონებას თავის უყაირათობით „რასხოდში“ გასწერდეს, თითონ ის გასწერონ მანავის სახალხო მამულიდან.

აკიდო.

ძველი დავა.
(სოფ. სომიწო, რაჭა).

სოფელ სომიწოს გლეხობის ერთი ნაწილი დიდ განსაცდელში იმყოფება. საქმე შემდეგშია: ჩვენი სოფლის საძოვარი მინდვრები უერთდება სოფელ ხირხონისის სათიბებს; ამ სათიბებს და ჩვენს საძოვრებს შუა ჰყოფს ტყიანი სერი. ხირხონელები სომიწოს საზღვრებზე არ ღობავენ თავიანთ სათიბებს. რადგან ეს ძნელი საქმეა. ისინი აყენებენ მცველებს. [illegible] მათ დაჭერილ სომიწოელების გადასული საქონელი და არ მისცემ პატრონს, სანამ ფულს არ გადაახდევინებენ სულზე ათ შაურიდან ერთ მანეთამდე.

ეს ჯარიმა მცველების სასარგებლოდ მიდის. ამიტომ მცველები, რომც შეეძლოთ მათ საქონლის გადასვლისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ამას არ დავიდევენ, რადგან დაინტერესებული არიან ნივთიერად, რომ სომიწოელი საქონელი შევიდეს ს. ხირხონისის სათიბებში.

სომიწოელები დიდ ვაი-ვაგლახში არიან; უყენებენ მწყემსებს საქონელს, მაცადინობენ ძლიერ, მაგრამ მაინც ეპარებათ საქონელი ხირხონისელების სათიბებში, სადაც ის უვარდება ხელში მცველებს. მცველები ულმობელნი არიან გლეხებისადმი. ხშირად არის შემთხვევა, რომ სამი დღე უწველებიათ ღარიბი გლეხი და სანამ არ უშოვია მას ფული და არ მიუტანია, არ გამოუშვიათ საქონელი.

უმეტეს გაჭირვებაში არიან ცხენების პატრონები. ცხენები, რა თქმა უნდა, ღამეც გაშვებულია, ვინაიდან აქაურ მცხოვრებლებს საშუალება არა აქვთ სახლში კვებონ და არც მწყემსობა უხერხდება ამ ოთხფეხს. მცველები სარგებლობენ ამით და თითოზე თითო მანეთს ახდევინებენ გლეხებს.

ამ ნიადაგზე დაუსრულებელი შეხლა-შემოხლაა სომიწოსა და ხირხონისს შორის. ეს მტრული განწყობილება ამ ორ სოფელ შორის მამაპაპათაგან დარჩენილა. წარსულ წელს ამის გამო სომიწოელებმა განაცხადეს სამაზრო აღმასკომში საჩივარი, მაგრამ ვერაფერს გახდენ.

იმედია, რომ ახლა მაინც მიაქცევს ამას ყურადღებას რაჭის სამაზრო აღმასკომი და გამოიყვანს ამ განსაცდელიდან ორ მოდავე სოფელს. მაზრის ხელი აქ აუცილებელია. საბჭოთა ხელისუფლების დროს სოფლებს შორის ასეთი შუღლი დაუშვებელია.

უცნობი.

მე-2 საგლეხო სესხის გათამაშება

მეორე საგლეხო სესხის მესამე მორიგი გათამაშება მოხდება ქ. სვერდლოვსკში (ურალზე) ამ თვის 13-დან 23-დე. ამ გათამაშებაში მონაწილეობას იღებს აღნიშნულ სესხის 9 სერია ჯამით 90 მილიონ მანეთისა. ამათში ორი უკანასკნელი სერია, ე. ი. მერვე და მეცხრე სერიები ჯამით 20 მილიონ მანეთისა, გამოშვებულ იქნა ამ ბოლო თვეში, რადგან წინად გამოშვებული 7 სერია ჯამით 70 მილ. მანეთისა უკვე გასაღდა. ამ რიგად, ამ მესამე გათამაშებაში მოგება შეხვდება 29529 ბილეთს და ამ მოგების საერთო ჯამი უდრის 1.125.000 მანეთს.

უმცირესი მოგებაა 25 მან., უდიდესი მოგება კი—5.000 მანეთი. ამოდენა ფული შეუძლია მოიგოს ამ სესხის 5 მანეთიანმა ბილეთმა (ობლიგაციამ). ამიტომ ვისაც არ შეუძენია ამ საგლეხო სესხის ბილეთები, უნდა დაჩქაროს და შეიძინოს ისინი, რადგან ადვილად შეიძლება ამ 10 დღეში შეხვდეს დიდი მოგება სესხის გათამაშების დროს. ჩვენ ამას ვურჩევთ [illegible] მშრომელ ხალხს, ე. ი. [illegible], ხელოსნებს და მოსამსახურე [illegible] ვინმეს არ ექნება 5 მანეთი, რომ [illegible] ბილეთი მაინც, მას შეუძლია შრომის შემნახველ სალაროებში შეიძინოს ეს ბილეთები ერთი მანეთის წინასწარ შეტანით, დანარჩენი 4 მანეთი კი გადიხადოს ნაწილ-ნაწილად რამდენიმე თვის განმავლობაში.

თუ ასე შეძენილ ბილეთს ამ გათამაშების დროს ან შემდეგ შეხვდა მოგება, ეს მოგება სავსებით ეკუთვნის ბილეთის შემძენს.

აი, ის დიდი შეღავათი, რაც დღემდე არ არსებობდა და რასაც ამ თვიდან აძლევს მშრომელ ხალხს საბჭოთა მთავრობა. ასეთ ხელსაყრელ პირობებში შეიძლება შეიძინოს კაცმა განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გამოშვებულ მერვე და მეცხრე სერიის ბილეთები.

ამ რიგად, ისე ადვილდება ამ საგლეხო სესხის ბილეთების შეძენა, რომ ისინი ადვილად შეუძლია იყიდოს არამც თუ მარტო ოჯახის მამამ, არამედ ოჯახის ყველა წევრებმაც კი.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი ხალისათვის ამ მეორე საგლეხო სესხს, ან რა პირობითაა იგი გამოშვებული, ამის შესახებ ბევრი რამ დაიწერა გაზეთებსა და ისე ფურცლებში. ამიტომ აქ არას ვიტყვით მათზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყოველგვარი ცნობები ამ სესხის, მის გათამაშებათა და მოგებათა შესახებ მსურველს შეუძლია უფასოთ მიიღოს ბანკებში, სამთინაგანებში, თემაღმასკომებში, საკრედიტო ამხანაგობებში, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში და შრომის შემნახველ სალაროებში, რომლებიც ვალდებული არიან მსურველთ დაუყოვნებლივ მისცენ ასეთი ცნობები. აქვე შეუძლია ყველას შეიძინოს ამ საგლეხო სესხის ბილეთებიც.

ს. ქვარიანი.

აგარაკებზე

ადგილების განაწილება კავშირებს შორის.

პროფკავშირებს შორის ადგილების განაწილება აგარაკებზე უკვე დამთავრდა. კავშირებს შორის ადგილები განაწილებულია მთელ საავარაკო სეზონისათვის.

ავადმყოფების გაგზავნა ბორჯომსა და აბასთუმანში.

სანატორიულ მკურნალობისათვის გასაგზავნ ავადმყოფების გაგზავნა ბორჯომსა და აბასთუმანში უკვე დაიწყო. ავადმყოფებმა საჭირო საბუთები უკვე მიიღეს. სანატორიუმში გაგზავნილი ავადმყოფები დამზღვევი კასიდანვე ღებულობენ თვენახევრის ჯამაგირს და სამგზავროს თავის ჩასვლა-ჩამოსვლისათვის.

სანატორიუმში გასამგზავრებელ ავადმყოფებს სანატორიუმში წარსადგენათ, საბუთებთან ერთად, ეძლევათ ბილეთები ავტომობილით მგზავრობისათვის ბორჯომ—აბასთუმანს შუა.

ავადმყოფების გაგზავნა წყალტუბოში.

15 ივნისს დაიწყება ავადმყოფების გაგზავნა წყალტუბოსა და ახტალაში. დღეს, 13 ივნისს, და ხვალ, 14 ივნისს, გასაგზავნ ავადმყოფებს შეუძლიათ მიიღონ აგარაკებზე წარსადგენათ საჭირო საბუთები. ამჟამად წყალტუბოში იგზავნება ავადმყოფების მეორე პარტია, ხოლო კურორტ წყალტუბოში ჩასულია 1000 ავადმყოფი. მათ შორის მნიშვნელოვან ნაწილს დამზღვევი ორგანოების მიერ გაგზავნილი მუშა-მოსამსახურეები შეადგენენ.

საფოსტო კავშირი აგარაკებთან.

აგარაკებზე წესიერი საფოსტო კავშირის დასამყარებლად, დროებით საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება გახსნილია წყალტუბოში და მახინჯაურში. საფოსტო განყოფილებები და საგენტოები გაიხსნება ამ მოკლე ხანში აგრეთვე ბახმაროზე, ცემში და ახტალაში. ვინაიდან წელს მოსალოდნელია დიდძალი მოაგარაკეების დაგროვება კურორტებზე, საფოსტო კავშირი გადაწყვეტილი აქვს გაადიდოს ფოსტის მოსამსახურეთა შტატი აბასთუმანსა, ბორჯომსა, სურამსა, მანგლისსა და წაღვერში.

პ' ფარა ფილოსოფი

[illegible]

ციცქი პანე, პანე ციცქი,
გაპათუვება პან მოსციცკი,
შენ თუ არა, ვინ დაეპანა
„ნაპოლეონ“, პან პილსუდსკი?

მოგვილოცავს პან მოსციცკი,
აგირჩიეს პრეზიდენტად,
გამუდგებთ ამ ყოფაში
შენ არა ხარ მარტო, კენტად.

ეჰ, რა უყოთ, რომ სახელით
გქვია მხოლოდ პრეზიდენტი,
რომ პილსუდსკი გათამაშებს
„ჰამლეტობის პრეტენდენტი“.

არა გიშავს, შენს ტაფაში
ახლა პანე ბევრი იწვის,
(კუკლასავით ტახტზე ზიხარ,
თქვენს ზურგს უკან სხვები იღწვის)

არ იწყინო, როცა „ვინმემ“
არ ჩაგთვალოს არცა ჩირად,
ან და „ვინმემ“, პროფესორი,
მოგიხსენოს სადმე „ქვირად“.

ეს რა უყოთ, მოითმინე
და როდესაც დაბერდები
გაახლებ ყალიონს და...
ოცნებაში შესცურდები,
იტყვი: ვიყავ მეც, მოსციცკი
პოლონეთის პრეზიდენტი,
ძირს მწყალობდა თვით პილსუდსკი
მაღლა კიდევ მამა-ღმერთი.

ნუ წუწუნებ პანე, ციცქი,
მოითმინე პან მოსციცკი,
უარს იტყოდი?! სხვას დასვამდა
პრეზიდენტად პან პილსუდსკი.

ხოზიკა.

წითელ ჯარში

წითელარმიელის პოლიტიკურად მომზადების სისტემა

ტერიტორიალური ნაწილის წითელარმიელთა სამხედრო მზადების მიზანია გამომუშავება მებრძოლის, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა და შეუძლია იარაღის მოხმარება. პოლიტიკურად აღზრდის და მომზადების ამოცანა ვერ ჩამოშორდება ამ მთავარ დებულებას, იგი უნდა მჭიდროთ იყვეს დაკავშირებული მასთან. პოლიტიკურად მომზადების მიზანია აღიჭურვოს წითელი არმიელი ისეთი ცოდნით, რომელიც გაუადვილებს თავისი მოვალეობის შეგნებას

მეთაური ასწავლის წითელარმიელს სამხედრო ვალდებულებებს და მათ შესრულებას; პოლიტმუშაკი კი უხსნის, რისთვის აკისრია მას ეს ვალდებულებები და რაში მდგომარეობს მათი მიზანი. რომ ეს ნათლად შეიგნოს წითელარმიელმა, მან უნდა იცოდეს წითელი არმიის ამოცანები და თავისი ადგილი წითელ არმიაში; ე. ი. წითელი არმიის წყობა და მმართველობა და თავისი მოვალეობა-უფლებები. აი, ამ ორ საკითხში მდგომარეობს წითელარმიელთა პოლიტიკურად მზადების შინაარსით.

მაგრამ, არ არის საკმარისი, რომ წითელარმიელმა იცოდეს მხოლოდ, რისთვის იბრძვის წითელი არმია; იგი დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ ბრძოლის წარმოება აუცილებლად საჭიროა.

პოლიტიკური ცოდნის შეძენა არ არის მიზანი, არამედ იგი საშუალებაა ნამდვილ მიზნის მისაღებად. ეს მიზანია—წითელი არმიელის პოლიტიკურად აღზრდა

აუცილებლათ საჭიროა წითელარმიელის კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლება.

წითელი არმიელის პოლიტიკურად აღზრდა მიმდინარეობს შემდეგ მიმართულებით: მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს მას, რომ წითელარმიელმა, გამოსულმა გლეხთა მასიდან, შეისისხლხორცოს მუშების და გლეხების კავშირის აუცილებლობა. რაც არ უნდა კეთდებოდეს წითელ ყაზარმაში, რა საკითხიც არ უნდა იდგეს პოლიტმუშაობის წინაშე—ყველაფერში გამომსჭვივის ეს მთავარი იდეა.

წითელარმიელი ხედავს საქმეზე, ყოველდღიურათ, რომ კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს წითელი არმიის ცხოვრების ყოველ მხარეს; აქ მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ წითელი არმიელი გამსჭვალოს სრულის ნდობით პარტიისადმი და ნათლად შეიგნოს, რომ კომუნისტური პარტია არის როგორც წითელი არმიის ხელმძღვანელი, აგრეთვე დამცველი ყველა მშრომელების.

აი, მთავარი საფუძველი, რომელზედაც არის აგებული წითელარმიელთა პოლიტიკურად აღზრდის სისტემა.

ე. ხუციშვილი.

საშეფო სოფელში

მე-2-ე ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილებამ აიყვანა შეფობის ქვეშ სოფ. წავკისი (თბილისის მაზ.) სოფელს გადაეცა წიგნები სამკითხველოსათვის, გამოიცა გაზეთები ქართულ ენაზე.

საზაფხულოდ განზრახულია მოწყობა სამხედრო კუთხის.

ყოველ კვირა, სოფლად იგზავნება ამხანაგები, რომლებიც ატარებენ საუბრებს სხვადასხვა თემებზე.

ეცნიერება და ტექნიკა

წყდა თუ არა პოლიარული ქვეყნების ამოცანა?
(ამუნდსენის ექსპედიციის შედეგების შესახებ).

..., როდესაც ამუნდსენის ექსპედიცია ...ოეთ პოლიუსზე გადაფრენის შემდეგ ...ბრუნდა და ჩვენ ამ ექსპედიციის მონა-...გან ვტყობილობთ, რომ იქ, გარდა ყი-...ნული ფენით დაფარული ზღვისა, სხვა ...იყო აღმოჩენილი, შესაძლებელია, ...ვიფიქროთ, რომ ჩრდილო პოლიური ...კითხი უკვე გადაწყვეტილია? ... თვალი გადავავლოთ აქ დართულ ..., რომ დავრწმუნდეთ, თუ რა მცირე



...ილოეთ პოლიუსის გარშემო მდებარე მიწების რუკა

...ზების მომცემია ამუნდსენის ექსპედიცია ...უსის მიდამოებში ძლიერ ადგილების ...ეთ. რასაკვირველია, [illegible] ... თანავე რჩება ჯერ კიდევ უცნობი და [illegible] სივრცე.

...საკითხების გადასაწყვეტად აუცილებლად ...რთა სახელმწიფო ექსპედიციების დაკავშირება [illegible]

[illegible] გადმოცემა იმ ცნობებისა, რომელიც ამჟამად [illegible]

მიწა „ტიგიკენი“.

...ხსებობს საბუთი ვიფიქროთ, რომ ჩრდ... [illegible] ნაწილში, ... მიერ 1913 წ. აღმოჩენილი „სევერნაია ზემლია“-ს, იმყოფება მთელი რიგი სხვა, ჯერ კიდევ უცნობი მიწათა. ამ მოსაზრებისა სასარგებლოდ, პირველ ყოვლისა, ლაპარაკობს ისტორიული გადმოცემა: რუსეთის ჰიდროგრაფიულ სამმართველოში ინახება ...შესანიშნავი რუკა, რომელზედაც აქამდე ... იყო მიქცეული სათანადო ყურადღება. ხსენებული რუკა შედგენილია 1764 წ. ვინმე ...ეროვის მიერ, რომელსაც ზღვით უმოგზაურნია „მედვეჟი ოსტროვ“-ის და მდინარე კოლიმის ჩრდილოეთით. ამ რუკაზე ...მდელებას იპყრობს ერთი მიწის უცნაური ...ზულობა, რომელიც, როგორც ანდრეევს ...ჩვენია ადგილობრივ მცხოვრებლებთაგან, ... „მიწა ტიგიკენი“-ს სახელს, და დასახლებულია ადამიანების მიერ. რუკაზე დაახლოვებით ნაჩვენებ რაიონში ვილკიცკის ექსპედიციის ხომალდ „ტაიმირ“-ის მიერ, მის ორჯერ ამ სივანედებში მოგზაურობის დროს, ნასულ იქნა ორივეჯერ, უძრავი ყინულის შემზღუდველა მკვიდრი მასები, ხოლო გარშემო ზღვა სრულებით მოწმენდილი იყო. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ ალაგას არსებობს წყალქვეშა ზღუდე, რომელიც აჩერებს ყინულს; ეს გარემოება მომასწავებელი უნდა იყოს ხმელეთის, ან დიდი კუნძულის სიახლოვისა; ვილკიცკის ექსპედიციის მიერ შემჩნეული ჩრდილოეთიდან მომფრინავი ლაღლათა დიდი გუნდები უნდა ადასტურებდეს ხსენებულ მიწის არსებობას.

ამ საკითხის გამორკვევა შედის რუსეთის ჰიდროგრაფიულ სამმართველოს მიერ მოსაწყობად განზრახულ დიდი ჩრდილოეთ ექსპედიციის პროგრამაში.

მოულოდნელი ცნობები ფრანკლინის შესახებ.

სრულებით მოულოდნელად, ყველაზე ჩრდილოეთით მცხოვრებ ესკიმოსების წყალობით, სულ უკანასკნელ დროში, უკვე მეორეჯერ აეხადა ფარდა ზოგიერთ, აქამდე საიდუმლოებით მოცულ, პოლიარულ ქვეყნებში მოგზაურობათა ბედს.

მაგალითად, დიდი ხანი არ არის, რაც მოგზაურმა **მაკ-მილენმა,** თავისი გამყოლი ესკიმოსის დახმარებით გამოარკვია, რომ თურმე **კუკი თავის დღეში არ ყოფილა ჩრდილოეთ პოლიუსზე.**

აგრეთვე, 1925 წლის შემოდგომაზე პოლიარული ექსპედიციიდან დაბრუნებულმა ცნობილმა მოგზაურმა **კნუდ რასმუსენმა** მოიტანა ესკიმოსებისგანვე გაგონილი ამბავი განთქმული **ჯონ ფრანკლინის 1845 წელში** ტრაგიკულად დაღუპულ 129 კაცისაგან შემდგარ ექსპედიციის შესახებ, რომელიც მიილტვოდა ჩრდილოეთისაკენ ბერინგის სრუტეთი.

მიუხედავათ მთელ რიგ ექსპედიციებისა, რომელნიც მოწყობილი იყო რამდენიმე ჯგუფად დაყოფილ ფრანკლინის ექსპედიციის მოსაძებნად, უკანასკნელ დრომდე არ იყო გამორკვეული მიზეზი მისი დაღუპვისა; ნაპოვნი იყო მხოლოდ მცირე რამ საჭურველისა და ხელსაწყოებისა და დღიურები, საიდანაც გამორკვეული იყო ფაქტი თვით **ფრანკლინის** დაღუპვისა ვილჰელმის მიწის ჩრდილო ნაპირებთან.

უკანასკნელ დროში **რასმუსენს** იღბალმა გამყოლ გზის მაჩვენებლად ხვდა ერთი ესკიმოსი, შვილი იმ ესკიმოსისა, რომელიც ფრანკლინის ექსპედიციის ნაწილის დაღუპვის დამსწრე აღმოჩნდა; ხსენებულმა ესკიმოსმა გადასცა რასმუსენს თავის მამისაგან ნაამბობი გულსაკლავი ცნობები ფრანკლინის ექსპედიციის ტრაგედიისა. ვილჰელმის მიწაზე, ზღვის ძაღლებზე ნადირობის დროს, ესკიმოსების პატარა ჯგუფი მისი მამის მეთაურობით წააწყდა თეთრკანიან ადამიანებს, რომელნიც შიმშილის გამო ისე იყვნენ ქანცგამოლეულნი, რომ აჩრდილებს წააგავდენ. როგორსაც უბედურები ესკიმოსებმა გაათბის და გონს მოიყვანეს, მათ ვაივაგლახით და ნიშნებით გადასცეს ესკიმოსებს, რომ სამხრეთის მხარეს დარჩა ბევრი მათი ამხანაგი, რომელთაგან უმეტესი ნაწილი უკვე დაღუპულია. რამდენიმე ხნის შემდეგ ესკიმოსები წაწყდენ თვით გემს, რომელიც მკვდრებით იყო სავსე. ესკიმოსმა გამოთქვა ის აზრი, რომ იქაური დაიღუპა არა შიმშილისაგან, არამედ რაღაცა ავადმყოფობისაგან, ალბათ, ცინგისაგან (სურავანდი?), ვინაიდან გემზე აღმოჩნდა დიდი მარაგი სანოვაგისა. თავისი ნათქვამის დასადასტურებლად, ესკიმოსმა უჩვენა რასმუსენს ფრანკლინის ექსპედიციის წევრების რამდენიმე საფლავი ვილჰელმის მიწაზე და ადელაიდის ნახევარ-კუნძულზე. საფლავების გათხრამ და იქ ნანახმა მათი ტანისამოსის ნაშთებმა დაარწმუნა რასმუსენი ესკიმოსის ნაამბობის სიმართლეში.

(დასასრული იქნება).

ი. ბენაშვილი.

ელექტრონული მუსიკა

როგორც ვიცით, ხმა ჰაერის ნაწილაკების რყევის შედეგია.

ჰაერის შეკუმშვისა და გაფანტვის თანამიმდევრობას, რომელსაც ადგილი აქვს ჰაერში, ჩვენი ყური შეიგრძნობს განსაზღვრული ხმის სახით.

ჯერ კიდევ გელმგოლცმა (ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი და ფიზიოლოგი) გამოარკვია, რომ თითოეული სწორ ან ე. წ. ძირითად ტონს*) აქვს თითქო თავისი განსაკუთრებული ხმის სამოსელი, რომელიც შესდგება ობერ-ტონებისაგან, ანუ რამდენიმე მაღალ ტონისაგან, და უნტერტონებისაგან, ანუ დაბალი ტონებისაგან.

ეს ობერ და უნტერტონები ქმნიან იმას, რასაც ჩვენ უწოდებთ ხმის ტემბრს, ამა თუ იმ ხმის თავისებურობას.

მთელი განსხვავება იმ ხმებში, რომელთაც ჩვენ ვღებულობთ სხვადასხვა მუსიკალურ იარაღებისაგან, სწორედ ამ ხმის სამოსელის სხვადასხვაობაში მდგომარეობს.

ამიტომ, თუ ჩვენ მოვახერხებთ ამ ხმის სამოსელის ყველა თვისებურობათა და თვისებების შესწავლას, ეჭვს გარეშეა, ჩვენ შევსძლებდით სასურველი ტემბრის ხმის მიღებას.

ეს საკითხი ამ რამოდენიმე ხნის წინათ დადებითად გადასჭრა პროფ. ვ. ი. კოვალენკოვმა, რომელმაც გააკეთა განსაკუთრებული სახის მომღერალი და მოლაპარაკე როიალი.

პროფ. ვ. ი. კოვალენკოვმა სპეციალურ მოწყობილობათა საშუალებით გამოარკვია ხმოვან ასოების რყევის ხასიათი და ამის საფუძველზე შექმნა მათი ხელოვნურათ აღმდგენი მუსიკალური მანქანა.

საერთოდ სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ დღეს ცნობილი მუსიკალური ხელსაწყოებით არ ამოიწურება სხვადასხვა მუსიკალური ზეგავლენების შექმნის ყველა შესაძლებლობანი.

დიდ ინტერესს წარმოადგენს ამ მხრივ ელექტრო და რადიო-ტეხნიკის მიღწევები. განსაკუთრებული სახის დინამო-მანქანები, სპეციალური ტრანსფორმატორები, ცვალებად ელექტრო-დენის კათოდური წყაროები და სხვა მოწყობილობანი ქმნიან ჩვენთვის მთელ რიგ მძლავრ მუსიკალურ შთაბეჭდილებებს: ადამიანის ხმის აღდგენის, არსებულ მუსიკალურ ხელსაწყოებზე დაკვრის და ხშირათ სრულიად ახალი და თავისებური მუსიკის სახით.

ამერიკაში უკვე დამზადებულია მთელი ელექტრონული ორღანი.

უკანასკნელ ხანებში ლენინგრადში ინჟ. ტერმენმა გამოიგონა განსაკუთრებული ელექტრონული მუსიკალური მანქანა, რომელზედაც დაკვრა ხდება დამკვრელის თითების მიახლოვების და დაშორების საშუალებით.

ძველათ, ლენინგრადის ელექტრო-ტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საღამოებზე, ინსტიტუტის ახლო მდებარე რკალოვან ლამპებს აერთებდენ სპეციალურ ელექტრონის მანქანებთან, რომლებიც, თავის მხრივ, გრამაფონთან იყვენ შეერთებული და ქუჩის ელექტრონული ფარნები მღეროდენ არიებს პირველხარისხოვანი მომღერლების ხმით.

საერთოდ, უკანასკნელ ხანებში, ელექტრონი ფართე მოხმარებას პოულობს თანამედროვე მუსიკალურ ხელოვნებაში.

მომავალში კი, ეჭვს გარეშეა, ელექტრო-ტეხნიკა შექმნის მთელ რიგ ახალ, მეტად სრულყოფილ ხმის ფორმებს.

ინჟენერი ვ. ბ.

---

*)ტონ—განსაზღვრული სიმაღლის ხმა. ტონის სიმაღლე დამოკიდებულია ხმის რყევის რაოდენობაზე.

ატმოსფეროს შემადგენლობა

ნორვეგელ ფიზიკოსის პროფ. ვეტარდის და ასტრონომების ლინდემანისა და დობსონის უკანასკნელ შრომებს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვთ ძველ შეხედულებაში ატმოსფეროს შემადგენლობასა და აგებულებაზე.

მეცნიერებაში ატმოსფეროს აგებულობის მიღებული თეორია გერმანელ პროფ. ვეგენერისა, ახალი გამოკვლევებით არსებითი ცვლილებებს განიცდის.

როგორც ვიცით, პროფ. ვეგენერი ატმოსფეროს შემადგენლობის მიხედვით ოთხ ფენათ ჰყოფს.

პირველი ფენა შეიცავს ე. წ. ტროპოსფერას და მდებარეობს დედამიწის ზედაპირიდან 12-15 კილომეტრის სიმაღლეზე. ტროპოსფეროს მთავარი შემადგენელი ნაწილია მჟავბადი, მცირე—აზოტი.

მეორე ფენა ატარებს სტრატოსფეროს სახელწოდებას და მდებარეობს 15-60 კილომეტრის სიმაღლეზე. ამ ფენაში თანდათანობით კლებულობს მჟავბადი და იზრდება რაოდენობა; ჩნდება წყალბადი.

მესამე ფენა უმთავრესად წმინდა წყალბადისაგან შესდგება, მდებარეობს 80-200 კილომეტრის სიმაღლეზე.

მეოთხე, უკანასკნელი ფენა შეიცავს ყველაზე მსუბუქ გაზს—ჰელიუმს და დედამიწის ქიმიკოსებისათვის უცნობ გეოკორონიუმს. ამ ფენის სიმაღლე აღწევს 500 კილომეტრამდე.

ამრიგად, ვეგენერის თეორიის მიხედვით, ატმოსფეროს დაბალი ფენები, დედამიწის ზედაპირთან ახლოს, უჭირავს უფრო მძიმე გაზებს, მჟავბადსა და აზოტს. უფრო ზევით მდებარეობენ ნაკლებ მძიმე გაზები, სულ ზევით კი—ყველაზე მსუბუქი ჰელიუმი და გეოკორონიუმი.

რამდენათაც ვშორდებით დედამიწის ზედაპირს, ვამჩნევთ არა მარტო ჰაერის გათხელებას, არამედ სიცივის ზრდასაც.

ასე მაგალითად, თვითჩამწერი მანქანები უკვე 25 კილომეტრის სიმაღლეზე აღნიშნავენ 70 გრადუს სიცივეს. კიდევ უფრო ზევით მეტი სიცივეა და ბოლოს ტემპერატურა აღწევს საპლანეტთაშორისო დონეს—273 გრადუსამდე ნოლს ქვევით.

ასეთ შეხედულებას ატმოსფეროს შესახებ იზიარებდა აგრეთვე ცნობილი შვედი ფიზიკოსი არრენიუსი.

წარსულ წელში გამოქვეყნებულ იქნა [illegible] შრომა ინგლისელ [illegible] ლინდემანისა და დობსონის, რომელშიც ისინი, მეტეორებისა და ცნობილი ვარსკვლავების ანთებისა და დაწვის (ჩაქრობის) წერტილის ყურადღებით შესწავლის საფუძველზე, იმ დასკვნებამდი მივიდენ, რომ ატმოსფეროს შემადგენლობა უფრო მსუბუქ ფენებიდან იწყებული. არ შეესაბამება ვეგენერისა და არრენიუსის თეორიას.

ორივე მეცნიერის მოსაზრებებმა დამტკიცება ჰპოვეს პროფ. ვეგარდის შრომაში.

ყველაზე საინტერესო პროფ. ლინდემანის შრომაში ის არის, რომ მისი სიტყვით 60-70 კილომეტრის სიმაღლეზე არის ატმოსფეროს თბილი ფენა, ტემპერატურით 27 გრადუსი, რაც უარყოფს ყველა წინანდელ დასკვნებს.

სამწუხაროთ, ატმოსფეროს ასეთი სიმაღლე ჯერ კიდევ მიუღებელია გამოკვლევებისათვის.

თუ დავიჯერებთ პროფ. ლინდემანის დასკვნების სისწორეს, მაშინ ატმოსფეროს აგებულობა და მისი ტემპერატურა ასეთ სურათს მოგვცემს.

ვეგენის ორი ქვედა ფენა ტროპოსფერა და სტრატოსფერა თითქმის უცვლელად რჩება. ატმოსფეროს ყველაზე თბილი ფენა მდებარეობს დედამიწის ზედაპირთან. უფრო მაღლა ტემპერატურა ეცემა და 15 კილომეტრის სიმაღლეზე აღწევს, სიცივის 50 გრადუსამდე. 15-დან 60 კილომეტრამდე ტემპერატურა თითქმის უცვლელია, მცირეოდენის რყევით სიცივის 50-დან—70 გრადუსის ფარგლებში.

60 კილომეტრის სიმაღლეზე ატმოსფეროს ტემპერატურა ერთბაშად იზრდება, აღწევს სითბოს 27-30 გრადუსამდი. ჰაერის ამ თბილი ფენის სისქე უდრის 10-15 კილომეტრს.

ლინდემანის აზრით, ტემპერატურის ასე ერთბაშად აწევა იმით აიხსნება, რომ აქ მზის უხილავი, ულტრაიისფერი სხივები მჟავბადს ოზონათ აქცევენ. ამის დასამტკიცებელ საბუთს პოულობენ მზის სხივების სპექტრალურ ანალიზში.

ოზონის თბილი ფენის შემდეგ, ატმოსფეროს ტემპერატურა ისევ ეცემა და აღწევს იმ წერტილს, როცა მჟავბადი იკუმშება და სითხეთ იქცევა. ეს გათხელებული მჟავბადი, ნისლის სახით, თავისუფლად სცურავს სივრცეში. მჟავბადის უფრო მძიმე წვეთები ვარდებიან ატმოსფეროს ქვედა ფენებში, ჩქარა ორთქლდებიან და გაზის სახით ისევ ზევით ადიან.

მჟავბადის სითხედ გადაქცევის დროს რჩება აზოტი და ჰელიუმი. როგორც უფრო მსუბუქი [illegible], ისინი ადიან ატმოსფეროს უფრო ზედა ფენებში. აქ, 200 გრად. სიცივის პირობებში, აზოტი იკუმშება, იქცევა მაგარ კრისტალებათ, რომლებიც თავისუფლად დასცურავენ სივრცეში.

ის გარემოება, რომ დიდ სიმაღლეზე წყალბადის მაგიერ, მაგარი აზოტი მოიპოვება, დამტკიცებული იქნა პროფ. ვეგარდის სპექტროსკოპიული გამოკვლევებით.

მანვე დაამტკიცა, რომ მაგარი აზოტის ამ ფენის ელექტრიზაცია იწვევს პოლიარული ელვარების ლამაზ მოვლენას.

მაგარი აზოტის კრისტალების ფენა, ვეგარდის აზრით აღწევს 550 კილომეტრის სიმაღლემდი; პოლიარული ელვარების მოვლენა კი, პროფ. შტერმერს აფიქრებინებს, რომ შეკუმშულ აზოტის ფენა 700 კილომეტრის სიმაღლეზე მოიპოვება.

აზოტს ზევით, შესაძლებელია, იყოს უფრო მსუბუქი გაზის—ჰელიუმის ფენა. რაც შეეხება გეოკორონიუმს, უკანასკნელი გამოკვლევებით, იგი სრულიად არ არსებობს. მოკაშკაშე მწვანე ხაზი ატმოსფეროს სპექტრში, რომელიც ვითომდა უცნობი ელემენტის არსებობის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, თურმე აზოტის კრისტალებს ეკუთვნის.

ეს ლაბორატორიული გზითაც იქნა დამტკიცებული.

ჯამს უკეთებთ რა ყოველივე ზევით თქმულს, ჩვენ ატმოსფეროს აგებულების ასეთ სურათს ვღებულობთ:

1) ტროპოსფეროს ქვედა ფენა, ღრუბლების წარმოშობის ფენა. სიმაღლე 15 კილომეტრი. ტემპერატურა (მინუს) 15-დან 50 გრადუსამდე. ქიმიური შემადგენლობა: მჟავბადი 21 , აზოტი—78 .

2) სტრატოსფეროს ფენა. სიმაღლე 15-60 კილომეტრი. ტემპერატურა (მინუს) 50-70 გრად. შემადგენლობა: აზოტი—88 , მჟავბადი—10 .

3) შეკუმშული ოზონის თბილი ფენა. სიმაღლე 60-70 კილომეტრი. ტემპერატურა 27 გრად.

4) შეკუმშული თხელი მჟავბადის ფენა. სიმაღლე 70-120 კილომეტრი.

5) მაგარი (კრისტალისებური) აზოტის ფენა. სიმაღლე—120-600 კილომეტრი. ტემპერატურა —220 გრად. (სიცივე).

6) ჰელიუმის ფენა. სიმაღლე 600-800 კილომეტრი. ტემპერატურა—273 გრადუსი (სიცივე).

მანქანა-თვალი



დამხარისხებელი მანქანის სქემა

უკანასკნელ ხანებში წარმოების მექანიზაციის პროცესი ფართე ხასიათს იღებს. მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე მზადდება მანქანები, რომლებიც სდევნიან ადამიანის შრომას წარმოების ისეთი დარგებიდანაც კი, საიდაც წინათ ეს შეუძლებლად მიაჩნდათ. მეტად საგულისხმოა ამ მხრივ ამერიკაში გამოგონებული მანქანა, რომელიც ახარისხებს სიგარებს მათი ფერის მიხედვით (ფერით გაიგება, რამდენათ გამომშრალია და კარგი ხარისხის არის სიგარა). ეს მანქანა შეიგრძნობს ყვითელი ფერის 30 სხვადასხვა ელფერს, რაც სრულიად მიუწვდომელია ადამიანის თვალისათვის და ამავე დროს საათში ხარისხის მიხედვით ალაგებს 36.000 სიგარას.

ამ მანქანის მთავარ ნაწილს, მის თვალს, წარმოადგენს ე. წ. ფოტო-ელემენტი, რომელიც მოთავსებულია ბნელ ყუთში. ამ ყუთის ფსკერი სპეციალური მოწყობილობის საშუალებით განსაზღვრულ მომენტებში იხსნება და ამით საშუალებას აძლევს სხივებს გავლენა მოახდინონ ელემენტზე.

მანქანა შემდეგნაირად მუშაობს:

სიგარებს, რომლებიც დახარისხებული უნდა იქნან, იჭერს სპეციალური ლითონის „თითი“, რომელიც მბრუნავ მაგიდის შუაგულშია მიმაგრებული. ამ მაგიდას 30 განყოფილება აქვს სიგარების მისაღებად. თვითეული განყოფილება მომარაგებულია ელექტრო-მაგნიტით. „თითით“ დაჭერილი სიგარა ბრუნვის დროს ხვდება მძლავრი ელექტრონის ლამპით განათებულ არეში. სიგარაზე მოხვედრილი სხივები აიტყორცნებიან უკანასკნელის მიერ, გაივლიან ნახვრეტს ყუთში და ხვდებიან ფოტოელემენტზე. რამდენადაც ნათელი ფერისაა სიგარა, იმდენათ მეტ სხივებს იტყორცნის იგი და იმდენათ მძლავრი დენი გაივლის ფოტო-ელემენტში. ამრიგათ ფოტო-ელემენტი ზომავს სინათლეს. შემდეგ დენი გადადის გამაძლიერებელში. გაძლიერებულ დენს მოძრაობაში მოჰყავს განსაკუთრებული გალვანომეტრის ისარი. ისარი მოძრაობს ციფერბლატზე, რომელზეც 30 კონტაქტი (წერტილია) აღნიშნული. როცა ისარი გაჩერდება რომელიმე წერტილზე, ეს უკანასკნელი ზევით აიწევს. ამ დროს ჩაიკეტება დენი, რომელიც მოდის ისართან, წერტილთან და შესაფერ ელექტრომაგნიტთან შეერთებულ ბატარეიდან. როცა მაგიდასთან ერთად მბრუნავი მაგნიტი „თითის“ ქვეშ გაივლის, „თითი“ იხსნება და სიგარა ვარდება შესაფერ განყოფილებაში.

ამრიგად ხდება სიგარების დახარისხება.

4.100 გრადუსი სითბო

დიდი ხანია მეცნიერები ცდილობდენ გაეცნოთ ნახშირბადი, რომლის გადნობა არ ხერხდებოდა და ამით მიეღწიათ დნობის უმაღლეს ტემპერატურამდე. ცნობილმა მეცნიერმა **მუასსანმა** (გარდაიცვალა 1907 წ.) თავის ელექტრონულ ღუმელში მოახდინა შესანიშნავი ცდები ნახშირბადის დნობაზე, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს. ამ ცდებმა დაარწმუნეს მუასსანი, რომ წმინდა ნახშირი მაგარი მდგომარეობიდან ისე იქცევა გაზათ, რომ თხელ მდგომარეობაში არ გადადის. ეს დებულება დიდი ხნის განმავლობაში უდაოთ ითვლებოდა და უფრო ადრინდელი ცდების ავტორების მტკიცება, რომ მათ მოახერხეს ნახშირის გადნობა, უარყოფილად მიაჩნდათ.

მაგრამ, მიუხედავათ მუასსანის ცდების შედეგებისა, მუშაობა ნახშირის გასადნობათ გრძელდება. ფიქრობდენ, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნება მიღება ალმასების, რომლებიც მხოლოდ ნახშირბადიდან შესდგება და ეს კიდევ უფრო ახალისებდა იმათ, ვინც ცდებს აწარმოებდა. განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსის პროფ. **ლუმერის** (ბრესლავლი) საფუძვლიანი გამოკვლევები. პროფ. ლუმერის შრომამ „ნახშირის სითხეთ ქცევა და მზის ტემპერატურის მიღება“ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. 3530 გრად. (ცელსიუსით) ტემპერატურის დროს მან თავისი რკალოვანი ლამპის დადებით ნახშირზე შენიშნა გამდნარი ბურთულები.

ნახშირის დნობაზე უახლოესი ცდებიდან, უნდა აღინიშნოს გერმანელ მეცნიერების **ალტერტუმის, ფეზეს და პირინის** („ოსრამ“-ის კომპ.) გამოკვლევები.

ისინი იღებდენ გრაფიტის, ცილინდრს (სიმაღლე 140 მილიმეტრი, განი—37 მილიმეტრი), ამაგრებდენ მას ორ ელექტროდს შორის და ხურავდენ მეორე დიდი ცილინდრით, რომელსაც სავარვარო ლამპების დამზადების დროს ხმარობენ. გრაფიტის ცილინდრში გაყვანილი იყო ჰორიზონტალური ღარი, (სიგრძე 18 მილიმეტრი, განი 3 მილიმეტრი). შემდეგ ცილინდრს ახურებდენ ელექტროდენის საშუალებით. 3.760 გრადუსის დროს ცილინდრს გარეთ და შიგნით ამჩნევდენ დნობას. გაციების შემდეგ ცილინდრის ღარში იპოვეს გამდნარი მასა.

აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ნახშირის დნობის წერტილი იმყოფება 3.800 გრადუსზე, ნახშირის დუღილის წერტილს კი მრავალი მეცნიერები განსაზღვრავენ 4.200 გრადუსით.

ამრიგათ, ნახშირს თითქოს დნობის ყველაზე უმაღლესი წერტილი აქვს. მაგრამ მეცნიერება დარწმუნდა, რომ ეს ასე არ არის. **ფრიდერიხისა და სიტტიკის** („ოსრამ“-ის კომპ.) ცდებით დამტკიცდა, რომ ტანტალ-კარბიდს დნობის უფრო მაღალი წერტილი აქვს: 4.100 გრადუსი.

ტანტალ-კარბიდი, რომელიც ტანტალისა და ნახშირბადის შეერთებას წარმოადგენს, იწნეხება და ხურდება ელექტრო-დენის საშუალებით. 4100 გრადუსზე ნახშირბადი ორთქლდება და დაწნეხილი მასა დნება.

მაიმუნიდან ადამიანამდე

პირველ სურათზე ნაჩვენებია უძველეს დროში მცხოვრების უმაღლესი მაიმუნებისა და ადამიანის საერთო წინაპარის თავის ქალა, რომლის აღდგენა შესძლო ადამიანმა. მისი დამახასიათებელი თვისებებია: დიდი, წინ წამოწეული ყბა, არათანაბარი სიდიდის კბილები, პატარა ტვინი, არა უმეტეს 450 კუბ. სანტიმეტრისა, დიდი კორძები წარბებისათვის.

იტევს 1230 კუბ. სანტიმეტრს. ეს ეჭვს გარეშეა, ადამიანის თავის ქალაა, მაგრამ კიდევ ბევრი მსგავსება აქვს მაიმუნთან. სახელდობრ, ის უფრო პატარაა, ვიდრე თანამედროვე დაბალი რასების (ველურების) თავის ქალა. კორძები წარბებისათვის მეტად დიდია, ცხვირი დაბალია, ყბები წინ არის წამოწეული, მაგრამ კბილები უკვე ერთი სიდიდის აქვს. ნიკაპი არა აქვს.



მეორე—ადამიანის მსგავს მაიმუნის თავის ქალა. ტვინის კოლოფი უფრო დიდია, სახელდობრ 600 კუბ. სანტიმეტრს იტევს.

მესამე—1891 წ. კუნძულ იავაზე ნაპოვნი თავის ქალას ზედა ნაწილი, რომლის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა მთელი თავის ქალას აღდგენა. ეს თავის ქალა იტევს 850 კუბ. სანტიმეტრს და ამიტომ იმყოფება შუა ადგილზე ადამიან-მაიმუნსა და წინაისტორიული ხანის ნამდვილ ადამიანს შორის. მას დიდი მსგავსება აქვს გიბბონის თავთან. ეს თავის ქალა მეცნიერებაში ცნობილია „პიტეკანტროპუს ერექტუს“-ის სახელწოდებით.

მეოთხე—ე. წ. „ნედერტალის (პოვნის ადგილის სახელწოდების მიხედვით) თავის ქალა“.

მეხუთე—ე. წ. ორინიაკის ტიპი. მეცნიერება ფიქრობს, რომ ამ რასამ, რომელიც აზიიდან მოვიდა, განდევნა ნეანდერტალის [illegible] 100.000 წლის წინათ. თავის ქალას ზედა ნაწილი უკვე წინ არის წამოწეული, შუბლი განვითარებული აქვს, თვალისა და ცხვირის ნახვრეტები უფრო ღრმა აქვს, ყბებიც ნაკლები, კბილები უფრო ახლო არიან ერთმანეთთან. წარბის კორძებიც დაჰპატარავებია.

მეექვსე—ახლანდელი კულტუროსანი ადამიანის თავის ქალა იტევს 1500 კუბ. სანტიმეტრს. შუბლი უფრო სწორი აქვს, კორძები წარბებზე გაჰქრენ, ცხვირი გასწორდა, გამოაჩნდა ნიკაპი, ყბებიც გაუსწორდა.

ტეხნიკის წვრილმანები

კიბეზე მუშაობის გაადვილება.

ყველამ, ვისაც კი შეხვედრია კიბეზე დგომა და ისე მუშაობა, იცის, ალბათ, თუ რამდენად ძნელია ეს. კიბის ვიწრო საფეხურზე დგომა ტკივილსა და ფეხის გაშეშებას იწვევს.

ყველაფერი ამის აცილება კი ადვილად შეიძლება სრულიად უბრალო საშუალებით. პატარა ფიცარში გაყრილია ორი ღერძი, რომლის ზედა თავი გადმოკეცილია და მიმაგრებულია კიბის ერთ-ერთ საფეხურზე. ღერძებზე მიმაგრებული ფიცარი კი დადებულია იმ საფეხურზე, რომელზეც მომუშავე უნდა იდგეს. ამგვარად მივიღებთ მეტად მოხერხებულ სადგომს, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები.



მუშათა ცხოვრება

შრომის დილა
(მუშის სიმღერა)

ახალ გამოდარებულზე
მზემა დილა გააშუქა,
წითელ ასით გადაშალა
ძველი ხანის შავი რუქა.

ციხე-ბორკილთ ნანგრევებზე
გაიფურჩქნა კოხტა ბაღი,
მასის მზემ ცეცხლში დასწვა
ბორკილების ტანჯვის დაღი.

დედა-მიწას აღარა სწვამს
ცრემლი, მშრომელთ დანაღვარი,
რკინას ცეცხლი იმორჩილებს
და ყანის მტერს გლეჯს ბარი.

მუშა ქალაქს აცოცხლებს,
ახიარულებს შრომის დილა
ახალ ბედით მშრომელთ გული
ფიანდაზად გადაშლილა.

გალამაზდა ყველაფერი,
ძველს ახალი აცივდილებს,
ტეხნიკა წინ მიისწრაფვის
ყანგიან ხერხს ულესს კბილებს.

და ეს ყველა მიღწევანი
აწ დაიხსნის შრომის შვილებს,
დაავიწყებს წარსულ ტანჯვას,
დასვენებას აგრძნობინებს.

უქმად აღარ დაიღვრება
ქარხანაში ოფლის წვეთი,
დროა არქივს ჩავაბაროთ
მძიმე შრომის ჯოჯოხეთი.

მალე კურტანს მოვიცილებთ,
წელს არ მოგვწყვეტს რკინის თრევა,
შრომა ნაყოფს გამოიღებს,
წარმოებაც აიწევს.

მუშა ვ. ხალუქვაძე.

„მეფის დალაქი“ თუ „მცხეთის დალაქი“

ამ ორში რომელი წარმოადგინეს 6 ივნისს მცხეთის მუშათა თეატრში, არ ვიცით.

მართლაც ხელოვნების მახინჯი „დალაქები“ დავინახე ამ ღამეს მე იქ. ღამის 12 საათი სრულდებოდა, როცა პირველი მოქმედების ფარდა ასწიეს. მუშა ხალხი ძილ-ნარევი თვალებით მოქანცული მისჩერებოდა სცენას.

დაიწყო „სანახაობა“.

არც ერთმა მოთამაშემ როლი არ იცოდა.

მოკარნახის ყვირილი უკანასკნელ რიგამდის ისმოდა;

როლების უცოდინარობის გამო—მოთამაშენი ხშირად წამოისროდნენ რაღაც უცნაურ ტლანქ სიტყვებს,—რომელიც ხალხში განცვიფრებას და სიცილს იწვევდა.

აუდიტორიამ ვეღარ მოითმინა სასაცილოდ აგდება. დარბაზში ატყდა ხმაურობა. უკანასკნელად მოთმინება დაკარგულმა ხალხმა. ფარდა მესამე სურათზე ჩამოაშვებია და ლანძღვა-გინებით დასცალეს დარბაზი.

აი რა უჩვენეს ხელოვნების მაიმუნებმა 6 ივნისს მცხეთის მშრომელ ხალხს.

საჭიროა ასეთ მაიმუნობას ბოლო მოეღოს.

მუშკორი ა. გ—ძე.

ჩვენი ქარხკომი მუშაობს

კამოს სახელობის საქარხნო სახელოსნო სკოლის ქარხკომი აერთიანებს 73 მუშა-მოსამსახურეს. ქარხკომში შედის 5 წევრი და ორი კანდიდატი.

ქარხკომს ამ მოკლე ხანში მოუხდენია ათი სხდომა. სხდომას გაურჩევია სხვადასხვა საკითხები 42 რაოდენობით.

საერთო კრება ყოფილა 9-ჯერ, სადაც გარჩეულია 24 საკითხი: ჯამაგირების, სპეც-ტანსაცმელების და სხვა.

შრომის დაცვის და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

მუშა - მოსამსახურეებს აქვთ საკუთარი კლუბი. კლუბთან არის მოწყობილი შემდეგი წრეები: დრამული, მომღერალთა გუნდი, ფიზკულტურის წრე, ელექტრო-წრე, საკინძავი, პოლიტ-წრე და ჰყავს საკუთარი სასულე ორკესტრი. კლუბს აქვს უმთავრესად აკადემიური ხასიათი: იკითხება ლექციები. კულტურული მუშაობა მაღალ დონეზე სდგას; არსებობს სამკითხველო, ლიტერატურული და პოლიტიკური წიგნებით უზრუნველყოფილი.

თვით კომ-კავშირის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს 260 ახალ-გაზრდა მოწაფეს. მოწაფეები ემორჩილებიან არსებულ დისციპლინას; ეჩვევიან ახალ ყოფა-ცხოვრებას და ეწაფებიან ყოველგვარ განმანათლებელ კულტურულ მუშაობას.

ყველა მოწაფეები, როგორც მუშა-მოსამსახურეები, შედიან და მუშაობენ კლუბში და არიან ჩაბმული სხვადასხვა კულტურულ და წრეების მუშაობაში.

მუშა ვარდენ.

ვიბრძვით ყოველგვარ დაუზოგველობის წინააღმდეგ

ზოგიერთ ჩვენ წამოწყება-დაწესებულებათა ადმინისტრაციას ეკონომიის რეჟიმი ესმის ამ გვარად: შეამცირებენ შტატს რამოდენიმე კაცით (უმეტეს შემთხვევებში დარაჯებით, მიკროიკებით, მემანქანე ქალებით, რეგისტრატორებით და სხ.); სამსახურზე დატოვებულთ კი შეუმცირებენ რამოდენიმე თანრიგით ხელფასს. მასთან ეს შემცირება იშვიათად თუ შეეხება ხოლმე მაღალ კვალიფიკაციის მომუშავეების ხელფასს. შეამცირებენ აგრეთვე საკანცელარიო ხარჯებს რამოდენიმე კაპეიკებით და ამ სამ „უყაირათობის გველეშაპზე“ ასეთი მეურნენი ამყარებენ ჩვენი წარმატების მთელ ბედ-იღბალს. ასეთ „ხოზიაისტვენიკების“ აზრით, მხოლოდ ამაში გამოიხატება მთელი სიბრძნე და მიზანშეწონილობა ეკონომიის რეჟიმის „სისწორით“ ჩატარებისა.

ავიღოთ მაგ.—ა.-კ. რკინისგზის სამმართველო. აქ, როგორც ვიცით, უამრავი თანხები იხარჯება მარტო მივლინებებზე, ზედმეტი საათების სამუშაოების ჯილდოზე, სპეც-განაკვეთებზე (აქ თითქმის ყველა სპეცია) სხვადასხვა ჯურ „პროექტების“ შედგენისათვის (მიუხედავად იმისა, გატარდება თუ არა ცხოვრებაში მთლიანად ეს პროექტი) ჯილდოებზე და სხ. დაუმატოთ ამას კიდევ ნედლი მასალის უყაირათო და უთავბოლო ხარჯვა, ხელსაწყო-იარაღებისა, მასალების და ინვენტარისადმი ბარბაროსული მოპყრობა, (მთავარ სახელოსნოებში და სამასალო სამსახურის საწყობებში და მათ ეზოებში უთავბოლოდ, უპატრონოდ, ხშირად ღია ცის ქვეშ, თოვლში და წვიმაზე ყრია და ბუჟდება მანქანები, რკინეულობა და სხ. უამრავი ქონება).

ნაცვლად ამისა, რომ აქაურ „ხოზიაისტვენიკებს“ აქედან დაეწყოთ მომჭირნეობის რეჟიმი, დაიწყეს სულ სხვა ადგილას: სამმართველოს მბეჭდავ მანქანებზე მომუშავე ყველა ქალებს (რიცხვით 70) მოუყარეს თავი ერთად, ერთ საშუალო ოთახში; ასე ამ საშინელ შრომის პირობებში ამუშავეს საბრალო, დაშინებული დედაკაცები რამოდენიმე კვირის განმავლობაში და შემდეგ „ერთი მოქნევით“, როგორც ამბობენ ჩვენი მუშები,—50% აღნიშნულ ქალებისა გაისროლეს ქუჩაში შტატის შემცირების სახით; ასევე დაემართათ საქმისმწარმოებელთ და სხვა დაბალ თანრიგის მომუშავეთ.

მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები და ყველა ზევით ჩვენმიერ მოყვანილი ბოროტებანი კი დარჩნენ ხელშეუხებელი.

მომჭირნეობის რეჟიმის ასე გაგება ბოროტებაა, ხელისუფლების ღალატი და მას ჩვენ არავის შევარჩენთ დაუსჯელად. ეკონომიის რეჟიმი ნიშნავს ყოველგვარ დაუზოგველობასთან ბრძოლას. ჩვენ ვებრძვით ყველგან უზომობას, გაუმართლებელ და აუნაზღაურებელ ხარჯებს, მასალის უთავბოლო და მიზანშეუწონელ ხარჯვას, დამზადებულ პროდუქციის უვარგისობას, უდისციპლინობას შრომაში, უყაირათობას და საზარალო ხელგაშლილობას მეურნეობაში ჩვენი სახაზინო სალაროების ხარჯზე. სიმულაციას, ლოთობას, სამუშაო დროს უმიზეზოდ გაცდენას მუშებში და სხ.

ვიბრძვით ჩვენი მუშურ - გლეხური სახელმწიფოს სიმდიდრის დაგროვებისა და ეკონომიურ - კულტურულ აღორძინებისათვის არა სიძუნწის გამო, არამედ მთელ მშრომელ მასის კეთილდღეობის და ბედნიერებისათვის.

ასეთი დიდია და მდიდარი ჩვენი ამოცანები. ვინც ჩვენ ამაში ხელს გვიშლის, ვინც ნებისით თუ უნებლიეთ ამახინჯებს ამ ამოცანებს, მშრომელი მასის და შრომის სახელმწიფოს მტერია და დაუზოგავად გამოხვეტილ უნდა იქნენ ჩვენი წამოწყება - დაწესებულებიდან წითელი ცოცხით, შავ დაფაზე მათი „რაინდობის“ აღნიშვნით.

მეგობარი.

მუშათა ქრონიკა

ტრამვაის მოძრაობის დარგში

— **სპეც-ტანსაცმელების შეცვლა.** ვინაიდან საზაფხულო თეთრი ტანსაცმელები მოსამსახურეებისთვის არ არის მიზანშეწონილი (ადრე ისვრება) ტრამვაიზე მომუშავეებს მიეცა შავი სპეც-ტანსაცმელები.

— **ძველ მოსამსახურეებს დაეთმოთ 1-ლი რიგი.** ის მოსამსახურეები, რომლებიც მუშაობდენ ტრამვაიზე ძველად და დღეს უმუშევრად არიან, სამსახურში მიღებული იქნებიან პირველ რიგში.

— **არჩევნები.** ტრამვაის მოძრაობის ადგილკომში მოხდა საბჭომო ბიუროს არჩევნები. ბიუროში არჩეული არიან: ხუჭუა, დენჩი-ოღლი და გოიდაძე.

— **პლაშჩების მიღება.** ტრამვაის დირექციამ დირექციამ მოსამსახურეებს დაურიგა საზაფხულო პლაშჩები.

— **განწესების გაუმჯობესება.** ვინაიდან კონდუქტორ-ვატმანები ერთი განწესებით ვერ გებულობდენ სამსახურის დროს, ტრამვაის ადგილკომმა გამოაკრა სამი განწესების ფურცელი.

პროფკავშირებში

მომჭირნეობისათვის ბრძოლა და ჩვენი კავშირები

რამოდენიმე დღის წინ შესდგა მელითონეთა კავშირის ქარხკომების საქალაქო კონფერენცია საწარმოო კომისიებთან ერთად.

კონფერენციაზე მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფირიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა ჩვენი სამეურნეო ორგანოების სიძნელენი, რომლებიც ხშირად გამოწვეულია სახსრების უთავბოლო ხარჯვით და საერთოდ მათი უეკონომიოდ ხარჯვისაგან.

სამეურნეო ორგანოებს ამბობს ამხ. ფირიაშვილი შესაფერი დირექტივები აქვს მიცემული ამ კამპანიისათვის, მაგრამ ჩვენ მუშებმაც ხელი უნდა შეუწყოთ მას. მუშებს ამ საქმისადმი ფხიზელი თვალყურის დევნებით ბევრი რამეს გაკეთება შეუძლიათ. ქარხკომებმა ფხიზელი ყურადღება უნდა მიაქციონ შრ. დისციპლინას. უნდა ეცადონ მოისპოს უგულო მუშაობა, დაგვიანება და სხვა. ამასთანავე ჩვენი მუშები უნდა ცდილობდენ ასწიონ შრომის ნაყოფიერება.

— ეს მუშაობა, ამბობს ამხ. ფირიაშვილი, არ არის ერთდროული. მომჭირნეობას მუდამ უნდა მივაქციოთ საკმაო ყურადღება და ჩავაბათ ჩვენი მუშები ამ საქმეში საწარმოო კომისიების საშუალებით.

მომხსენებელმა მოუწოდა ქარხკომებს ადგილობრივ მოახდინონ საერთო კრებები და აუხსნან მუშებს მომჭირნეობის ამოცანები და მნიშვნელობა ჩვენი მრეწველობის აღდგენის საქმეში.

კონფერენციამ მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიანდო კავშირის ც. გ. სატარიფო-საეკონომიო განყოფილებას შესაფერი საინსტრუქციო წერილის დაგზავნა ყველა ქარხკომებისათვის სახელმძღვანელოდ.

პროფ-კორი.

ქუთაისის საგ. და სავაჭრ. მუშ. კავშირში

17 მაისს შესდგა კავშირის საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. კალანდაძის მოხსენება კავშირის 1-ლი კვარტლის მუშაობის გარშემო.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კავშირს გასული ხნის განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობა უწარმოებია.

კავშირი აერთიანებს 1540 წევრს, რომელთაგან 128 უმუშევარია. კავშირში ქალაქად და რაიონებში გაერთიანებულია 18 ადგილები და 8 პროფრწმუნებული. კავშირი საკმაო ყურადღებას აქცევდა წევრთა ხელფასის გაუმჯობესებას. ამჟამად ხელფასის მინიმუმი უდრის 12 მანეთს, მაქსიმუმი 15 მ. 50 კაპ. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მინიმუმი 7 მანეთიდან გადიდებული იქნა 9 მანეთამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ მაზრაში ხელფასის დავალიანებას ადგილი არ აქვს.

კულტ-განმანათლებელ დარგში კავშირი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს. კავშირმა ყველა წ.-კ. უცოდინარი და მცირე მცოდნე წევრები გაგზავნა სკოლაში. ამას გარდა უფასოდ გაგზავნილია საბუღალტრო კურსებზე 10 კაცი. უმუშევრებიდან დაარსებულია პროფწრეები. იწერება ჟურნალ-გაზეთები საკმაო რაოდენობით და სხვა.

ამხ. კალანდაძის შემდეგ სარევიზიო კომისიის მოხსენება იქნა მოსმენილი. კავშირის მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

პროფკორი.

პროფმუშაობის ქრონიკა

— **კულტმუშაობა დასასვენებელ სახლებში.** მიმდინარე ზაფხულის სეზონში დასასვენებელ სახლებში კულტმუშაობის წარმოება მიენდო ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას, რისთვისაც დამტკიცებულია შესაფერისი ხარჯთაღრიცხვა.

დასასვენებელ სახლებში გაიმართება ლექციები, კინო-სეანსები და სხვა. სახლებისათვის აგრეთვე გამოწერილ იქნება ჟურნალ-გაზეთები და შევსებული იქნება ბიბლიოთეკები საჭირო ლიტერატურით.

— **კულტმუშაობის გაძლიერება.** სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირის კონფერენციამ დადგენილება გამოიტანა წითელ კუთხეებში და განსაკუთრებით მე-3-ე თამბაქოს ქარხანასთან კულტმუშაობის გაძლიერების შესახებ. კონფერენციამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე მუშაობის გაძლიერებას საკავშირო მასაში ადგილობრივ ენებზე.

— **საწარმოო თათბირები.** კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე გააძლიეროს საწარმოო თათბირების მუშაობა, რისთვისაც საჭიროდ იქნა ცნობილი საამქრო უჯრედების დაარსება.

— **საზაფხულო კლუბების მოსაწყობად.** საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ზესტაფონისა და ლეჩხუმის მუშათა კლუბების მოსაწყობად გადარიცხულ იქნეს დახმარებად პირველისთვის—300 მანეთი, მეორისთვის—200 მ.

— **ქართული მოძრავი კოლექტივი.** თბილისის ყველა მუშათა კლუბებისათვის სამსახურის გასაწევად ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებასთან დაარსდა ქართული მოძრავი კოლექტივი ამხ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

სააქციო საზ-ბა „სეპარატორ“-ი

აღნიშნული საზოგადოების ექსპონატები გამოფენილია შვეციის ფირმა „ალფა-ლავალ“-ის პავილიონში.

საზოგადოება ამზადებს სეპარატორებს, რომლებიც მრავლად სღდება ყველა ქვეყნებში. მსოფლიოს ყველა ქვეყნებში ამჟამად ხმარებაშია აღნიშნული ფირმის 3.700.000 სეპარატორი.

საზოგადოება ამზადებს „ალფა-ლავალ“-ის სისტემის სეპარატორებს. უდიდესი სეპარატორის ნაყოფიერება საათში უდრის 3.000 ლიტრა რძეს.

განსაკუთრებულ სპეციალურ მიზნებისათვის საზოგადოება ამზადებს სპეციალურ სეპარატორებს და ზეთის ცენტრიფუგებს, რომლებსაც ხმარობენ ტრანსფორმატორულ ზეთის, ბენზინის და სხვა სითხის გასაწმენდათ.

ზეთის გაწმენდის პრობლემა გადაწყვეტილი იქნა მას შემდეგ, რაც შვეციის ინჟენერმა დე-ლავალმა გამოიგონა ზეთის საწმენდი მანქანა. ეს მანქანა ხელსაყრელია იმით, რომ საგრძნობლად ამცირებს ხარჯებს, ამავე დროს მანქანა კარგათ და ჩქარა სწმენდს ზეთს.

დე-ლავალის მანქანები გავრცელებულია მთელს მსოფლიოში. ტურბინების და დიზელების მოწყობილობა და ზეთი ტრანსფორმატორებში იწმინდება დე-ლავალის მეთოდით.

აღნიშნული მანქანები შემოღებულია ყველა დიდ გემებზე („ლევიტან“-ი და „მაჯესტიკ“-ი) და რკინისგზებზე.

ამას გარდა, საზოგადოება თავის ფაბრიკა-ქარხნებში ამზადებს რძის მეურნეობაში საჭირო იარაღ-მანქანებს. მაგალითად: რძის საწმენდ სეპარატორებს, კარაქის საკეთებელ მანქანებს, პასტერიზატორებს, საციებელ მანქანებს, რძის ჭურჭლეულობას და სხვ.

აღნიშნულ მანქანებს გარდა, საზოგადოება უკანასკნელი წლების განმავლობაში შეუდგა ძროხის საწველი მანქანების დამზადებას. ამ მანქანებმა ერთბაშათ მიიპყრო ყველა ქვეყნების სოფლის მეურნეთა ყურადღება და ამჟამად ეს მანქანები საუკეთესო მანქანებათ არის ცნობილი.

საზოგადოების მიერ გამოფენილი ყველა იარაღ-მანქანები ნაჩვენები იქნება მუშაობის დროს. სხვათა შორის, კარაქის საკეთებელი მანქანის დემონსტრაცია მოხდება დღეს. მისი საშუალებით დამზადებული იქნება პარიზის კარაქი.

ამას გარდა, საზოგადოება „სეპარატორ“-ის ყველა იარაღ-მანქანები მონაწილეობას მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოცდაში, რომელიც დაიწყება ახლო ხანში.

გამოფენის ქრონიკა

მანქანების დემონსტრაცია.

დღეს, დილის 12 საათიდან საღამოს 6 საათამდე, სინდიკატ „სელმაშ“-ის პავილიონში მოხდება შემდეგი მანქანების დემონსტრაცია.

1. რთული სალეწი მანქანა БД 034 12-ძალიანი ნავთის მამოძრავებელით; 2. ნახევრად რთული სალეწი მანქანა „ლანც“-ის სისტემისა; 3. „მაკორმიკ“-ის ტიპის სამკალი მანქანა; 4. „დირინგ“-ის ტიპის თივის სათიბი მანქანა; 5. 8-თეფშიანი სათესი მანქანა; 6. თივის პრესი „კლებანოლ“-ი და 7. თვითსაჭრელი მანქანა.

სიმფონიური კონცერტი.

დღეს, საღამოს 8½ საათზე, გამოფენაზე გაიმართება მორიგი სიმფონიური კონცერტი.

ახალი ექსპონატები.

გრძელდება პავილიონების შევსება ახალ-ახალი ექსპონატებით; გამოფენა საბოლოოთ მზად იქნება მიმდინარე კვირაში.

ლექციები ქალებისათვის.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებამ გამოჰყო ქალთა განყოფილებების გამგეები ექსკურსანტ-ქალებთან საუბრების გასამართავად გამოფენის შესახებ.

შეღავათიანი ბილეთები.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დამატებით მიეცა მაზრებს შორის გასანაწილებლად 300 შეღავათიანი ბილეთი ექსკურსანტ-გლეხებისათვის.

ექსკურსია ბაქოდან.

ამ დღეებში გამოფენის დასათვალიერებლად ბაქოდან თბილისში ჩამოვა 16 ექსკურსანტი.

500-წლიანი წიფელა გამოფენაზე.

გამოფენაზე გორის მაზრიდან ჩამოტანილია 500-წლიანი წიფელას უზარმაზარი მორი, რომლის სიგანე უდრის, დაახლოებით, 2 მეტრს.

კოოპერაცია

„საკსოიუზ“-ის საორგანიზაციო თათბირი

მე-4-ე და მე-5-ე სხდომები.

12 ივნისს დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ორი მოხსენება—ამხ. კარატოვის კოოპერატიულ მეურნეობაში გეგმიანი მუშაობის შესახებ და ამხ. დნეპროვსკის—კოოპერაციაში სტატისტიკის წარმოების შესახებ.

ამხ. კარატოვის მოხსენება.

პირველ ყოვლისა მომხსენებელი არკვევს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთოთ მეურნეობისათვის გეგმიან მუშაობას და აღნიშნავს, რომ კოოპერაციისათვის ეს საკითხი მას შემდეგ, რაც იგი გატარებულ იქნა თითქმის ყველა სამეურნეო ორგანიზაციებში, აქტუალური გახდა.

ზოგიერთ კოოპერაციაში გეგმიან მუშაობაზე გადასვლის პირველმა ცდებმა ვერ გამოიღეს დადებითი შედეგები. ეხლა უკვე მომხსენებელს აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია, რათა ასეთი მუშაობა გატარებულ იქნეს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებში ზევიდან-ქვევით და არა პირიქით.

გეგმიანი მუშაობის გატარება უნდა მოხდეს ორი მიმართულებით: ერთი—სავაჭრო-ფინანსიური და მეორე—იდეურ-ორგანიზაციული, მათი ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ცალკე პრაქტიკულ მომენტებს გეგმიან მუშაობის გატარებისას კოოპერაციაში.

კოოპერატიულ მეურნეობაში გეგმიანი მუშაობის შემოღება უნდა გახდეს მიმდინარე მომენტის ლოზუნგათ.

სტატისტიკის საქმე კოოპერაციაში.

ამხ. დნეპროვსკი დაწვრილებით არკვევს კოოპერაციაში სტატისტიკის ორგანიზაციის მნიშვნელობას და აყენებს მთელ რიგ პრაქტიკულ წინადადებებს მისი სისწორით წარმოებისათვის.

კამათი.

ორთავე მოხსენების ირგვლივ იმართება კამათი.

საბოლოო სიტყვებში მომხსენებლები მათ ამომწურავ პასუხს აძლევენ.

რეზოლიუციები.

იმავე დღის საღამოს სხდომაზე თათბირი იხილავს თვითეულ ცალკე მოხსენების შესახებ გამოტანილ რეზოლიუციებს და იღებს მათ სათანადო შესწორებების შეტანის შემდეგ.

ინგლისის ფლოტი სამხრეთ-სლავიის ნავთსადგურებში. ივნისის ბოლო რიცხვებში ბრიტანეთის ფლოტი მოივლის სამხრეთ-სლავიის ნავთსადგურებს.

ინგლისის ელჩმა ბელგრადში მეინორდმა აცნობა სამხრეთ-სლავიის მთავრობას, რომ 16 ივნისს სამხრეთ-სლავიის ნავთსადგურებს—გალატას, კატაროს და სხვებს ეწვევა ინგლისის ესკადრა—9 კრეისერი, 27 ნაღმოსანი და გამანადგურებელი და სხვ. ესკადრას მეთაურობს ადმირალი კეისი. ესკადრა სამხრეთ-სლავიის წყლებში დარჩება 28 ივლისამდე.

არაჩვეულებრივი სიცხე იაპონიაში. არაჩვეულებრივი სიცხე, რომელიც წელს მთელს იაპონიაში დაიჭირა, საფრთხეში აგდებს ბრინჯის მოსავალს.

საჰაერო ხაზი ჰამბურგი—ოდესა. სილეზიის საჰაერო მიმოსვლის საზოგადოება აწყობს ახალ საჰაერო ხაზს ჰამბურგი—ბერლინი—იასსი—ოდესა.

ხაშხაში. ინდოეთის საქმეთა გამგეობა აცხადებს, რომ ინდოეთის საქმეთა მინისტრის ზეგავლენით, ინდოეთის მთავრობამ გადასწყვიტა დააწესოს 10 წლის პერიოდი, რომლის განმავლობაში ინდოეთიდან ხაშხაშის (ოპიუმი) გატანა ყველა სხვა მიზნებისათვის, გარდა წმინდა მედიცინისა, თანდათანობით შემცირებული იქნება სრულ გაუქმებამდე.

სოც. დაზღვევა

1925—26 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში დამზღვევ ორგანოებს ჰქონდათ შემოსავალი 3.326.224 მან. 50 კაპ.

ამავე დროს მათ გასწიეს შემდეგი ხარჯები:

1. დაზღვეულთა ავათმყოფობა და ყველა დამატებითი სახის დახმარებანი—1.495.863 მან. 08 კ. 2. პენსია ინვალიდებს, ქვრივ-ობოლთ, დასახიჩრებულებს, მასწავლებელთ და სხვ.—285.335 მან. 10 კ. 3. უმუშევართა დახმარება—223.210 მან. 23 კ. 4. სანატორიუმებში ავათმყოფთა შენახვა და დასასვენებელ სახლთა შენახვა—18.641 მან. 25 კ. 5. დანარჩენი საოპერაციო ხარჯები—16.696 მან. 63 კ. 6. საორგანიზაციო ხარჯები—210.907 მან. 86 კ. 7. გადაეცა სამკურნალო ქ.-განყოფ.—793.023 მან. 65 კ. 8. საკავშირო და საქმიმო დახმარების სათად. ფონდს—334.521 მან. 95 კ. სულ 3.378.199 მან. 75 კაპ.

ზედმეტად დახარჯულია 51.975 მან. 25 კაპ.

ამას გარდა სამაზრო კურორტებზე ავათმყოფთა შესანახად რესპ. სოც. დაზღვევის სამმართველოს მიერ დახარჯულია 90.001 მან. 32 კაპ.

1 აპრილისათვის ნაშთი მოიპოებოდა მხოლოდ 7 კასას ჯამი 207.264 მან. 96 კ.

სამაგიეროდ დანარჩენ 14 კასას აღმოაჩნდა ზედმეტად დახარჯული—103.405 მან. 21 კ.

რესპუბლიკის მასშტაბით წმინდა ნაშთი შეადგენს 103.859 მან. 75 კაპ., რაც მთელი 3 თვის მარაგს უდრის.

წარმოება-დაწესებულებათა დავალიანება შეადგენს 866.870 მან.

საგლეხო ბიუჯეტი

თბილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილება შეუდგა თბილისის მაზრაში საგლეხო ბიუჯეტის გამოკვლევას. გამოკვლევა შეეხება მიმდინარე 1925—26 წლის საგლეხო ბიუჯეტს.

სულ გამოკვლეული იქნება 25 გლეხის ბიუჯეტი თბილისის მაზრის 5 რაიონში: შარათაფაში, ხაშმში, დიდ-თიანეთში, მარტყოფში და ბარმაქსიზში.

თვითეულ რაიონში გამოიკვლევენ 5 გლეხის ბიუჯეტს, მათ შორის 2 იქნება ღარიბესი საგლეხო მეურნეობა, ორი—საშუალო შეძლების და ერთიც—მდიდარი საგლეხო მეურნეობა.

გამოკვლევის მოსახდენათ ადგილებზე დაგზავნილია 5 რეგისტრატორ-გადამწერი.

გამოკვლევის მიზანია—დაწვრილებით გამოარკვიოს თბილისის მაზრაში საგლეხო მეურნეობის მოთხოვნილება და მისი განვითარების შესაძლებლობა, ამიტომ გამოკვლევის გეგმა შედგენილია იმ ანგარიშით, რომ გამოკვლევაში დაწვრილებით იქნას გაშუქებული გლეხურ მეურნეობის ყოველი წვრილმანი.

რკინის გზებზე

რონოდის გადავარდნა

12 ივნისს, 4 საათზე და 55 წუთზე, სადგ. სამტრედიაში საქონლის მატარებლის მანევრების დროს აღმოსავლეთის მხარიდან შემოსასვლელ ისარზე ლიანდაგს ასცდა ერთი დახურული ცარიელი რონოდა. მანევრებს ახდენდა მატარებლის შემადგენელი კრავჩენკო. ამ შემთხვევის გამო მატ. № 192 დაკავებულ იქნა სემაფორთან 45 წუთით და მატ. № 14 სადგ. კოპიტნარში 29 წუთით. ჩავარდნილი რონოდა ამოიღეს 5 საათზე და 45 წუთზე.

ტვირთების გადაზიდვა

დარუბანდის ხაზზე წვრილმან ტვირთების გადაზიდვისათვის, ჩრდილოეთ-კავკასიის რკ. გზებთან იდება საგანგებო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ყოველგვარი წვრილმანი ტვირთი, როგორც ა.-კ. რკ. გზებიდან ჩრდილო-კავკასიის გზებზე გადაგზავნილი, ისე აქედან გამომგზავნილი დარუბანდს გაივლიან გადაუტვირთავად.

გრძელი მატარებლის გატარების წესი

მძლავრ ორთქლმავლების გამოყენების მიზნით დაცლილ რონოდების გადასაყვანად, ა.-კ. რკ. გზ. მოძრაობის დარგმა შეიმუშავა წესი, რომლის თანახმად, ბათომ-ზესტაფონის და ხაშურ-ბალაჯარის უბნებზე ნებადართულია გრძელი მატარებლის 100 რონოდის შემადგენლობით მოძრაობა.

სამაგალითო მუშაკი

4 ივნისს, მატარებლის № 353 მოსალოდნელ დამტვრევის აცილებისათვის სადგ. შამქორის თანამშრომელს ამხ. აზრი-ორუჯის ა.-კ. რკ. გზ. მმართველობამ გამოუცხადა მადლობა და დაასაჩუქრა იგი 25 მანეთით.

ქრონიკა

თბ. აღმასკომში

— **საფინანსო სამმართველომ** თავის ძირითად საბრუნავ თანხების გასადიდებლად თბ. აღმასკომიდან გამოითხოვა 200.000 მანეთი.

— **3 წლიანი გეგმა.** თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაავალა აღმასკომის განყოფილებებს და სექციებს ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშაონ 3 წლიანი პერსპექტიული გეგმები.

— **ახალი ქარხნები.** საგეგმო კომისიამ ინჟ. ყიფშიძეს და ვარძიელს დაავალა თბილისში ავეჯეულობისა და საუტილიზაციო ქარხნების მოწყობის გეგმის შედგენა.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** საადგილმამულო განყოფილებას დაევალა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შეიძინოს მაზრისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— **მუშის ბიუჯეტი.** აღმ. სტ. განყოფილებამ შრომის სტატისტიკის ბიუროსთან ერთად დაამთავრა თბილისის მუშა-მოსამსახურეთა 25—26 წლის ბიუჯეტის გამოკვლევა.

მიწად-მოქ. კომისარიატში

— **მუზეუმი.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში ამჟამად ითვლება 5 ათასი ცალი სხვადასხვა ნიმუში.

— **ბოტანიკურ ბაღში** კულტურულ მცენარეებს ამჟამად უჭირავს 65 დესეტინა სივრცე.

— **გამოკვლევა.** კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურის საშუალებით, კომისარიატი აწარმოებს კახეთის ნიადაგის გამოკვლევას, რომელიც დამთავრდება 1928 წლის ბოლოს.

საქონლის ჭირი

— **შრატის დამზადება.** ტაბახმელის საშრატე სადგურმა მაისის განმავლობაში გამოიმუშავა [illegible] ათასი ლიტრი საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

— **ახალციხის მაზრაში** სავეტერინარო განყოფილებამ გაგზავნა 312 ლიტრა შრატი.

— **ჭირის გაჩენა.** ასპინძის და აწყურის რაიონში გაჩნდა საქონლის ჭირი, [illegible] ჯერობით მოედო [illegible] სოფელს.

— **ციმბირის წყლული.** სავეტ. განყოფილების ცნობით [illegible] მაზრებში გაჩენილია ციმბირის წყლული.

სოც. უზრუნველყოფა

გლეხკომების გადარჩევა. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ცნობები მოსდის იმის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა მაზრებში უკვე დაიწყეს გლეხკომების გადარჩევის კამპანია. გლეხკომების გადარჩევაში ყველგან ცხოველ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს გლეხკაცობის ფართო მასსა.

გლეხკომების ყრილობა დამთავრდა. სრულიად რუსეთის გლეხთა საურთიერთო დახმარების (გლეხკომების) საზოგადოებების ყრილობა, რომელიც მოსკოვში გაიხსნა 30 მაისს დამთავრდა 6 ივნისს.

სხვადასხვა

—**საკავშირო მთავრობამ** გადასდო 12 ათასი მანეთი საკავშირო ბოტანიკურ ინსტიტუტის სოხუმის სადგურის მოსაწყობად.

ახალი წიგნები მოანგარიშეობაზე. იბეჭდება და ჩქარა გამოვა გასაყიდათ. პროფ. ლე-კუტრეს წიგნი „ბალასმცოდნეობის საფუძვლები“, ბოგდანოვის და ფუსის წიგნი „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ანგარიშწარმოებაში“. მზადდება დასაბეჭდად პროფ. გალგანის „სავაჭრო ანგარიშწარმოება“. წიგნაკი ნათარგმნია რუსულიდან ამხ. ინწკირველის რედაქციით.

ექსკურსია. სამშაბათს, 15 ივნისს, განათლების მუშაკთა სახლი აწყობს ექსკურსიას სამეურნეო-გამოფენაზე. მსურველნი უნდა შეიკრიბონ მუშტაიდის ბაღში 5 საათისათვის.

ჩაუბარებელი დეპეშები

ბაქოდან მატინიანცს, ბაქოდან საკიანცს, ბაქოდან გადელიას, ერევნიდან ტოფჩიანცს, საპრონოვოდან კრიუჩკოვს, ნოვგოროდიდან ტხორუს, ხაშურიდან სახალხო სასამართლოს.

შაქრის ქარხნები

საკავშირო ს. მ. უ. ს. კომისიის ჩამოსვლა.

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ამხ. **ნებრაშევიჩის** თავმჯდომარეობით საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სპეციალური კომისია.

კომისიის ჩამოსვლის მიზანია—დაწვრილებითი გამოკვლევა იმისა, თუ რამდენად შესაძლებელია საქართველოში შაქრის ქარხნების აგება.

ავიაქიმის კამპანია

14 ივლისს თბილისში მოეწყობა ავიაქიმის ქალაქის რაზმის დემონსტრაცია. ამ დღეს რაზმი გამოწყობილი იქნება ომის დროის ფორმაში და შეიარაღება მხრჩოლავი გაზების საწინააღმდეგო მოწყობილობით.

იმ ქუჩებზე, სადაც გაივლიან დემონსტრანტები, გადაფრინდებიან სამხედრო ჰაეროპლანები და გადმოჰყრიან ყალბი გაზებით გატენილ ქაღალდის ბალონებს.

ერთი კვირით ადრე, 7 ივლისს, დაიწყება კამპანიის ჩატარება როგორც ქალაქებში, ისე სოფლად ავიაქიმის მნიშვნელობის შესახებ. კამპანიის ჩასატარებლად მუშავდება განსაკუთრებული პროგრამები. სოფლებში კამპანიის ჩატარებას უხელმძღვანელებენ საშეფო ორგანიზაციები.

14 ივლისი გამოცხადებულია „საბჭოთა კავშირის დაცვის დღეთ“.

კურსები

თემაღმასკომების თავმჯდომარეთა გადასამზადებლად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაუგზავნა ყველა სამაზრო აღმასკომებს ცირკულიარი ყველა მაზრებში თემაღმასკომთა თავმჯდომარეების გადასამზადებელ კურსების გახსნის შესახებ.

ზოგიერთ მაზრებში სამაზრო აღმასკომების ინიციატივით უკვე მოეწყო ასეთი კურსები, მაგრამ მთლიანათ რესპუბლიკის ფარგლებში ჯერ ეს კამპანია არ ჩატარებულა.

კურსები მოეწყობიან სამაზრო ქალაქებში და ლექციების კითხვას აწარმოებენ მაზრაში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგები. კურსებზე მეცადინეობა გაგრძელდება თითო თვე.

სამეცადინო პროგრამებს იმუშავებს შინაგან საქმეთა კომისარიატი და ამ დღეებში დაუგზავნის ადგილებს.

სასამართლო

კ. კუციდის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **გლადკოვის** თავმჯდომარეობით დაიწყო კონსტანტინე **კუციდის** საქმის გარჩევა.

კუციდის ბრალათ ედება საკავშირო თანხების მითვისება და გაფლანგვა თამბაქოს ტრესტის № 2 მაღაზიის გამგედ ყოფნის დროს.

1925 წელს აპრილის თვეში რევიზიამ აღმოაჩინა 23.403 მან. და 64 კაპ. საქონლის დანაკლისი. ბრალდებულმა კუციდიმ რევიზიას წარუდგინა 12.296 მან. და 5 კაპ. გასამართლებელი საბუთები თამასუქების სახით. ეს თამასუქები ტრესტის მიერ იქნა ცნობილი ოფიციალურ საბუთებად. რევიზიის დროს ბრალდებულმა წარმოადგინა 100 მან. გასამართლებელი საბუთები, რაიც ცნობილ იქნა ტრესტის მიერ. გამორკვეულია, რომ 12.296 მან. თამასუქები ისეთი პირებისაგანაა ჩამორთმეული, რომლებიც მოკლებული არიან კრედიტის უნარიანობას და მათი უმრავლესობა არ იმყოფება თბილისში.

რევიზიის დროს ბრალდებულს გაფლანგული აღმოაჩნდა 11.107 მან. და 59 კაპ. ამის შესახებ ბრალდებულმა განაცხადა, რომ აღნიშნული თანხის საქონელი მან გასცა უთამასუქოთ, პირადი პასუხისმგებლობით.

კუციდის ბრალი ედება აგრეთვე უფლების გადამეტებაში.

სასამართლოში მან თავი სცნო დამნაშავედ უფლების გადამეტებაში, ხოლო გაფლანგვაში კი არა.

ბრალს სდებს პროკურორი კუპრაშვილი, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი პ. ქავთარაძე, სამოქალაქო მოსარჩლის მხარეს იცავს მ. ტატიშვილი.

პირველად დაკითხულ იქნა მოწმე **ჯუმუხაძე** (თამბაქოს ტრესტის სავაჭრო განყ. გამგე), რომელმაც მოუთხრო სასამართლოს, თუ რა წესით სწარმოებდა ტრესტის მაღაზიებიდან საქონლის ნისიათ გაცემა. მოწმის სიტყვით, მაღაზიის გამგეს უფლება არ ჰქონდა 500 მანეთზე მეტი საქონელი გაეცა ნისიათ. ინსტრუქციის თანახმად გამგეს ევალება კლიენტის საკრედიტო უნარიანობის გამორკვევა და ნისიათ გაცემულ საქონლის თამასუქებით ანაზღაურება.

გამოწვეულია 26 მოწმე.

პროცესი გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

პროლეტარულ მწერლობის ამოცანები ჩვენში *)

4

„მე ვფიქრობ ამბობს, ამხ. ნ. ბუხარინი,—რომ პროლეტარული ლიტერატურის დაღუპვის საუკეთესო და უდიდესი საშუალება არის უარყოფა ანარქისტული კონკურენციის პრინციპების; ამიტომაც შეუძლებელია დღეს წარმოშვება კარგ მწერლების, რომელთაც არა აქვთ გავლილი განსაზღვრული ლიტერატურული ცხოვრების ბრძოლის სკოლა, რომელთაც არა აქვთ დაპყრობილი თავის პოზიციები ამ ბრძოლაში, მაგრამ თუ ჩვენ—წინააღმდეგ—დავდგებით იმ ლიტერატურის თვალსაზრისზე, რომელსაც სახელმწიფოებრივ ხელისუფლებამ უნდა მიანიჭოს შესაფერისი პრივილეგიები, ამით ჩვენ აუცილებლად დავღუპავთ და დავასამარებთ პროლეტარულ ლიტერატურას. მერე ღმერთმა იცის, თუ რა გამოვა ამ ლიტერატურიდან. ნუ თუ ჩვენ ვერ ვხედავთ იმას, რომ პროლეტარულ ლიტერატურაში ძლიერ ხშირად უდიდეს ამპარტავანობას აქვს ადგილი. მწერალს, რომელმაც მოგვცა ორი სამი ნაწარმოები უკვე გიოტეთ მოაქვს თავი“...

„კულტურული პრობლემა, განაგრძობს ნ. ბუხარინი, მით განსხვავდება მებრძოლი პრობლემისაგან, რომ მისი გადაწყვეტა არ შეიძლება დაკვრითი წესით, მექანიკური ძალდატანებითი საშუალებით. ის უნდა გადაიჭრას კომბინიური მეთოდით, (რომელიც შეესაბამება საღ გონივრულ კრიტიკას) უმთავრესად კი კონკურენციით შესაფერისი პროდუქციის სფეროში“.

ლელევიჩს და ავერბახს ჰგონიათ, რომ ასეთი პრინციპების მიღება ნიშნავს პარტიის ნეიტრალიზაციას ხელოვნების სფეროში, პარტიის მიერ ხელმძღვანელობის უარყოფას მხატვრული ლიტერატურ. დარგებში (იხ. ავერბახის „за пролетарскую литературу“). არ არის საჭირო დიდი არგუმენტაცია, იმისათვის რომ ნათელი გახდეს შეცდომა ასეთი შეხედულების. ჯერ ერთი: ნ. ბუხარინის ამ დებულებით, რომელიც როგორც ზევით დავინახეთ საფუძვლათ დაედო ცკას რეზოლიუციას—უპირველეს ყოვლისა უარყოფილია ადმინისტრატიული წესი, „მექანიკური ძალდატანებათა საშუალება„ პროლეტარული ლიტერატურის გაჯანსაღებისათვის, პროლეტარული ლიტერატურა, როგორც ახალგაზრდა და მხატვრული სუსტი ლიტერატურა საჭიროებს გაშლას, გაფართოებას და სისტემატიურ ზრდას. ეს კი შესაძლოა სხვა ლიტერატურულ სკოლებთან კონკურენციის საშუალებით. პროლეტარული ლიტერატურა იმყოფება მხატვრულად ძლიერი ლიტერატურის გარემოცვაში. ამ ლიტერატურის შესწავლა, განსაკუთრებით მისი ტეხნიკური მიღწევების და ამავე დროს შემოქმედებითი ბრძოლა მის წინააღმდეგ და უმთავრესად კი მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ გაანოყიერებს ნიადაგს, რომლის ფონზე პროლეტარული მწერლობა გამოიმუშავებს საკუთარს ლიტერატურულ თვალსაზრისს, საკუთარს მხატვრულ credo-ს. გარეშე ამისა გარეშე საკუთარი ლიტერატურული ორიენტაციისა, პროლეტარული მწერლობა, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა აუცილებლად მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით. სახელმწიფო პრივილეგიებით მისი შექმნა შეუძლებელია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მხატვრული მრწამსის შემუშავება ნიჭის საქმეა და არა სუბსიდიების და მეორე ის არის, რომ სახელმწიფოებრივი პრივილეგიები ლიტერატურის სფეროში ზოგ ახალგაზრდა მწერალის ნიჭს გასაქანს არ აძლევს, რადგანაც ფსიქოლოგიურათ იქმნება ის, რასაც ხაზი გაუსვა ნ. ბუხარინმა და რასაც უკმეხი ამპარტავანობა ეწოდება; საუბედუროთ პროლეტარულ მწერალთა რიგებში ამას ადგილი აქვს: დაატანს ძალას რომელიმე მწერალი თავის გონებას, მოგვცემს დიდის ტანჯვით და ვაი-ვაგლახით რაიმე შემოქმედებას და ის უკვე გიოტეს, რუსთაველს, პუშკინს მიქარავათ აცხადებს თავისი შემოქმედების წინაშე. როდესაც ასეთ ამპარტავნობას იჩენენ ბურჟუაზიული მწერლები, ეს გასაგებია: ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით სავსებით ბუნებრივია ლიტერატურული მამლაყინწაობა, რაიც ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის „მხატვრული“ გამოხატულებაა; აქ ეს ინდივიდუალიზმი ისე შორს მიდის, რომ მხატვრულ ლირებულებას ეძებენ არა პროდუქციაში, არამედ ავტორის პიროვნებაში: ვინ აწერს ხელს ლექსს, ვინ არის ავტორი ამა თუ იმ ნაწარმოების—აი სად არის საზომი მხატვრული ნაწარმოების შეფასების; იდეოლოგიურათ პიროვნების კულტი აქ უაღრესობამდის არის აყვანილი, პროლეტარული მსოფლმხედველობა პრინციპიალურათ შორსაა ასეთ შეხედულებისგან, მაგრამ როდესაც ასეთივე სენით დაავადმყოფებულია რომელიმე პროლეტარული მწერალი, ჩვენ ვამბობთ: ის შეუპყრია ბურჟუაზიულ სენს, რაიც აუცილებლათ მოჰკლავს და გაანიავებს მის შემოქმედებას, დააშორებს მას მუშათა კლასის სულისკვეთებას და მით მოჰკლავს მას, როგორც პროლეტარულ მწერალს; გამოსავალი გზა აქ ერთია: ის უნდა დაეყრდნოს თავის თავს, თავის ნიჭს (და არა სუბსიდიებს და უფლებრივ პრივილეგიებს) და მით გადეშვას იმ ბრძოლის პროცესში, რომელსაც ლიტერატურული კონკურენცია ეწოდება: თუ მას გააჩნია ნიჭი და მასთან ერთად მტკიცედ შეუთვისებია პროლეტარული მსოფლმხედველობა, ამ კონკურენციიდან ის აუცილებლად გამარჯვებული გამოვა, მაგრამ თუ მას მხოლოდ მსოფლმხედველობა აქვს, ხოლო მოკლებულია პოეტის შემოქმედების ნიჭს ამ ბრძოლიდან ის დამარცხებული გამოვა, როგორც მწერალი.

როგორც აღვნიშნე წინა წერილებში, პროლეტარულ მწერლობას ზოგი მეტის-მეტად „ერთგული“ პატრიოტი ჰყავს. ისინი ასე მსჯელობენ: ჩვენ გვინდა საკუთარი ლიტერატურა, დეე ეს ლიტერატურა იყოს მახინჯი, ოღონდ ის ჩვენი საკუთრება იყოს; ლ. ტროცკიმ ასეთ პათეტიურ გოდებას სამართლიანი პასუხი გასცა: „ეს აბსოლიუტური სიყალბეა. მახინჯი ხელოვნება, ხელოვნება არ არის და ის პროლეტარიატს არ სჭირდება“. თავის შეხედულებას ჩვენი „მემარცხენე“ კრიტიკოსები ლოღიკურათ ანვითარებენ და მიდიან თავისებურ კურიოზამდის: ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას ავტორის სოციალურ მდგომარეობაში ეძებენ: თუ ნაწარმოების ავტორი მუშაა, ის აუცილებლად უდიდესი მხატვრული ფაქტია. აქ ჩვენი „მემარცხენეები“ სრულებით ვერ გრძნობენ იმას, რომ ისინი ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის მეთოდებით არიან შეიარაღებული. ნაწარმოების ღირებულება უნდა ვეძიოთ არა ავტორის პიროვნებაში, არამედ თვით ამ ნაწარმოების ფაქტში: რამდენად იდეოლოგიურად და მხატვრულად ძლიერია ნაწარმოები იმდენად დიდია მისი ღირებულება, როგორც მხატვრული ფაქტის... ამ ელემენტარული ჭეშმარიტების დავიწყებით ჩვენმა „მემარცხენებმა“ დაჰკარგეს მხატვრული ლიტერატურის სპეციალური მომენტების გაგების და შეთვისების უნარი.

რასაკვირველია მუშა ყველაზე უფრო იცნობს და განიცდის რევოლიუციონურ სინამდვილეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია მხატვრული განცდა ამ სინამდვილის, თუ მას არ გაუვლია ლიტერატურული მიმართულებათა ბრძოლის განსაზღვრული პერიოდი, თუ მას არ შეუსწავლია ხელოვნების სპეციფიური მომენტები, თუ მას არ გამოუმჟღავნებია პოეტური ინტუიცია. მუშკორს ხელოვანს, რომელსაც არა აქვს გავლილი ლიტერატურული სწავლება მხატვრულ ფაქტებს ვერ შექმნის, მიუხედავათ მისი სოციალური მდგომარეობისა. ამიტომ ლიტერატურული ბრძოლა, მხატვრული კონკურენცია მიუცილებელი პირობაა ლიტერატურაში ნამდვილი მხატვრული მიღწევების.

მეორე: ამ დებულებით ცკამ განსაზღვრა პარტიის პოლიტიკა ლიტერატურის დარგში: „პარტია შეუცდომლად უნდა არჩევდეს ლიტერატურულ მიმდინარეობათა საზოგადოებრივ და კლასიურ შინაარსს და არავითარ შემთხვევაში განსაკუთრებული მიმდევრობა არ უნდა გამოიჩინოს რომელიმე მიმართულებისადმი ლიტერატურულ ფორმის დარგში. ხელმძღვანელობს რა ლიტერატურას მთლიანად, პარტიას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ლიტერატურის ერთ რომელიმე ფრაქციას (უნდა ჩამოაყალიბოს ეს ფრაქციები ფორმაზე შეხედულებათა სხვადასხვაობის მიხედვით) ისევე, როგორც მას არ შეუძლია რეზოლიუციებით გადასჭრას საკითხები ოჯახის ფორმის შესახებ, თუმცა იგი უნდა ხელმძღვანელობდეს და კიდეც ხელმძღვანელობს ახალი ყოფა-ცხოვრების მშენებლობას. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ხანისათვის შესაფერი სტილი გამომუშავდება სხვა მეთოდებით და ამ საკითხის გადაჭრა ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული. უნდა უარყოფილ იქნას ყოველგვარი ცდა შებორკილ იქნეს პარტია ამ მიმართულებით ქვეყნის კულტურულ განვითარების დღევანდელ პერიოდში“.

აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ლიტერატურული ფრაქციები უნდა ჩამოყალიბდეს ფორმისა და სტილზე შეხედულებათა სხვადასხვაობით, რომ ამ სხვადასხვაობაში მან უნდა „გაარჩიოს კლასიური და საზოგადოებრივი შინაარსი“, რომ პარტიამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული მიმდევრობა რომელიმე მიმართულებისადმი ლიტერატურულ ფორმის დარგში“. თავისთავად ცხადია საკითხის ასეთი დაყენება ოდნავადაც არ ნიშნავს პარტიის ნეიტრალიზაციას ლიტერატურის ხელმძღვანელობის სფეროში, პირიქით: ცკამ ხაზგასმით აღნიშნა თავის რეზოლიუციაში, რომ პარტია ხელმძღვანელობს ლიტერატურას მთლიანად, მაგრამ „მას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ლიტერატურის ერთ რომელიმე ფრაქციას“. ეს ხელმძღვანელობა გამოიხატება იმაში, რომ პარტია შედარებით თანასწორ პირობებს ჰქმნის ყველა ლიტერატურულ მიმართულებისათვის და ასეთს მდგომარეობაში მათ საშუალება ეძლევათ მხატვრული შეჯიბრებისა და მისი ნამდვილი ნიჭის გამოჩენის. (იგულისხმება, რომ აქ ლაპარაკია ისეთ ლიტერატურულ სკოლებზე, რომელიც სცნობენ რევოლიუციის სინამდვილეს და რომელნიც „თანამგზავრების“ სახელწოდებითაა ცნობილნი). მაშასადამე არა კანონმდებლობითი გზით, არამედ სულ სხვა მეთოდებით უნდა შემუშავდეს სტილი პროლეტარული მწერლობის.

როგორია ეს მეთოდები?

ცკას რეზოლიუცია ამ საკითხებზეც გარკვეულ პასუხებს იძლევა: „პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს სხვადასხვა ჯგუფების და მიმდინარეობათა შეჯიბრებას ამ დარგში (სტილისა და ფორმის—შ. დ.) საკითხის სხვანაირად გადაჭრა იქნებოდა ბიუროკრატიული ცრუ გადაჭრა. სწორედ ასევე დაუშვებელია დეკრეტით ან პარტიული დადგენილებით გათვალისწინებული რომელიმე ჯგუფის ან ლიტერატურულ საგამომცემლო საქმის ლეგალური მონოპოლიის მინიჭება. უწევს რა დახმარებას მატერიალურად და მორალურად პროლეტარულ და პროლეტარულ-გლეხურ ლიტერატურას, ეხმარება რა „თანამგზავრებს“, პარტიას არ შეუძლია მიანიჭოს მონოპოლია ერთ რომელიმე ჯგუფს, თუნდაც ყველაზე უფრო პროლეტარულ თვისი იდეური შინაარსით. ეს იქნებოდა უპირველეს ყოვლისა პროლეტარული ლიტერატურის დაღუპვის მომასწავებელი“.

ასე განსაზღვრა ცკამ პარტიის პოლიტიკა ლიტერატურის დარგში; რაც შეეხება ძველ კულტურულ მემკვიდრეობას, აქ პროლეტ. მწერლობა სავსებით უნდა გაიმიჯნოს ფუტურისტებისაგან, რომელნიც ერთი ხელის მოსმით უარყოფენ ძველ ლიტერატურის მხატვრულ მიღწევებს. მაგრამ შეუძლებელია საკითხის იმგვარი დაყენებაც, რომლის თანახმად ძველი კულტურული მიღწევები სრულიად უკრიტიკოთ, მექანიკურად უნდა იქნეს მიღებული. პროლეტარული მწერლობა ღებულობს ძველი კულტურის იმ ელემენტებს, რომალსაც არა აქვს მარტო სამუზეო მნიშვნელობა. მაგრამ მას ის ღებულობს კრიტიკულად, ახალ მსოფლმხედველობასთან შეფარდებით და სულ სხვაგვარ კომბინაციაში. საკითხის სხვაგვარი გადაჭრა შეუძლებელს გახდის კულტურის ისტორიას, როგორც კანონზომიერ პროცესს.

უდაოა ის მოსაზრება, რომ ხელოვნურად რაიმე ლიტერატურული სკოლის შექმნა უაზრო და სიბეცეა. „პარტიამ უნდა იბრძოლოს პროლეტარულ ლიტერატურის ხელოვნურად დაწესების წინააღმდეგ. პროლეტარული ლიტერატურა ფართოდ უნდა შეეხოს მოვლენებს მთელი მათი სისრულით, არ უნდა ჩაიკეტოს ერთი ქარხნის ჩარჩოებში. ის უნდა იყოს არა ცეხის ლიტერატურა, არამედ მებრძოლი დიდი კლასის, რომელიც წინ მიუძღვის მილიონ გლეხებს. ასეთი უნდა იყოს პროლეტარული ლიტერატურის ჩარჩოები“ (იხ. ც. კ. რეზოლიუცია).

ცეხურ კარჩაკეტილებს პროლეტ. მწერლობა, როგორც იდეოლოგიურად ისე მხატვრულათ იმ შემთხვევაში დააღწევს თავს, თუ ის გაამრავალფეროვანებს თავის შემოქმედების თემატიკას და მოგვცემს შედარებით დიდ მხატვრულ ფორმებს. ამისა და მიხედვით პროლეტ. მწერლობა სულ სხვა ორგანიზაციულ პრინციპებზე შენდება. სწავლება (учеба) მეთოდიური, გეგმიანი—აი ის ძირითადი პრინციპი, რომლითაც პროლეტარული მწერლობა განსხვავდება ბურჟუაზიულ და საერთოთ არა პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციისაგან. ამ პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე იმ გარემოებითაც, რომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში შედიან მუშკორები. მუშკორი თავის თავათ ხელოვანი არ არის. მისი უპირატესობა ის არის, რომ ის უშუალოდ სცხოვრობს მუშათა წრეებში, მაშასადამე მათ ყოფა-ცხოვრებას, მათ სულის-კვეთებას, მათ განცდებს ის უშუალოთ ხედავს, უშუალოთ განიცდის. მაგრამ მუშკორ-პოეტს აკლია სწორეთ ის, რასაც ჩვენ ლიტერატურულ კულტურას ვეძახით. ამიტომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ამ მხრივ უდიდესი ამოცანა უნდა გადასჭრას: მუშკორთა სპეციალური წრის ორგანიზაციით გააფართოვოს და გააღრმავოს მუშა-პოეტების ლიტერატურული სწავლება. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე მეორე ორგანიზაციული პრინციპი: თვით კრიტიკა. თვით კრიტიკით ფსიქოლოგიურად იდევნება ის, რასაც ნ. ბუხარინმა ლიტერატურული მამლიყინწაობა უწოდა, და ამასთანავე ამ პრინციპით მწერლისათვის ნათელი ხდება თავის შემოქმედების ძლიერი და სუსტი მხარეები. ლიტერატურული წრეები, ლიტერატურული დაჯგუფებანი, სისტემატიური ლექციები ლიტერატურის ისტორიიდან და აგრეთვე ხელოვნების სპეციფიურ პრობლემებზე, სპეციალური დამუშავება პროლეტარ. პოეტიკის პრობლემების და მრავალი სხვა,—აი რით უნდა დახასიათდეს ლიტერატურული სწავლება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში. სრული გარანტია საღი ლიტერატურული სწავლების მარქსისტულ მსოფლ-მხედველობაშია მოცემული. ამიტომაც ეს თვალსაზრისი პროლეტ. მწერლობამ უნდა გააბატონოს, როგორც ორგანიზაციულ ისე თავის შემოქმედების მშენებლობაში.

მაგრამ საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციას გარდა ამ დადებითი ამოცანებისა აქვს კიდევ კრიტიკული ამოცანები. ეს უკანასკნელი გამოიხატება საქართველოში მომქმედ მწერალთა ჯგუფებთან ურთიერთობაში. რაიც უნდა განისაზღვროს იმ იდეური ბრძოლით, რომელიც გამოამჟღავნებს ამ მწერალთა სულისკვეთებას და მით მათ შემოქმედებით იდეოლოგიურ ბუნებას. ხუთი წლის ფაქტიური საბჭოთაეთის შემდეგ საქართველოს მწერლობა ოფიციალურად დაადგა „თანამგზავრობის“ გზას. ორგანიზაციულათ ეს გამოიხატა მწერალთა გაერთიანებულ ყრილობაში, რომელიც იყო თუ გნებავთ თვისებური გულწრფელობის დემონსტრაცია, სადაც ქართველი მწერლები აცხადებდნენ თავის სრულს თანაგრძნობას ოქტომბრის რევოლიუციისა და კერძოთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. „თანამგზავრობა“ არ არის რაიმე ლიტერატურული მიმდინარეობა, ის არის განსაზღვრული პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ლიტერატურაში: „თანამგზავრი“ პოეტი მით ხასიათდება, რომ ის ან მთლიანათ ან და ნაწილობრივ ღებულობს რევოლიუციას, თუმცა მას, შესაძლოა, ბოლომდის არც გაჰყვეს: ამ მიღების ხარისხში მოცემული პოლიტიკური ფაქტი. რევოლიუციას თავისებური რომანტიკა გააჩნია, მაგრამ ამავე დროს გრანდიოზულიცაა. ეს გარემოება ჰქმნის თავისებურ გაორებას ინტელიგენტ მწერალში: ერთის მხრივ წვრილ ბურჟუაზიული და მისტიური შიში რევოლიუციისადმი და მეორე მხრივ რევოლიუციის რომანტიკით გატაცება: ამ ორ ელემენტის ჭიდილში იბადება რევოლიუციის თანამგზავრი პოეტი.

თანამგზავრობის ასეთი გაგების მიხედვით ცხადი უნდა იყვეს ის გარემოება, რომ შესაძლოა უდიდესი ხელოვანი თანამგზავრი იყვეს პატარა პროლეტარული მწერალის; რასაკვირველია, ამ უკანასკნელისას ის ღებულობს არა მხატვრულ მხარეს შემოქმედებისას, არამედ იდეოლოგიას; ამიტომაც გასაკვირი არაა ის მოვლენა, რომ საქართველოს მწერლობამ გაერთიანებულ ყრილობაზე თავის თავი ფაქტიურად პროლეტარულ მწერალთა თანამგზავრებათ გამოაცხადა. აქ მათი თანამგზავრობა მხოლოდ დეკლარაციით და რეზოლიუციით განისაზღვრა. მწერლებისათვის კი მთავარია შემოქმედება და არა დეკლარატიული განცხადებანი. ჟურნალ „ქართული მწერლობის“ გამოსვლით გამომჟღავნდა ის სიჭრელე, რაიც ქართველ თანამგზავრთა რიგებში სუფევს. აქ წარმოდგენილია ყველა მიმართულებანი და ჯგუფები, აქ შეხვდებით ნამდვილ თანამგზავრთ, რომელნიც ღებულობენ რევოლიუციას, არა მარტო როგორც ფაქტს, არამედ როგორც ერთად ერთ ძლიერ ფაქტორს საზოგადოებრივი კეთილდღეობისა (ნ. მიწიშვილი, ს. აბაშელი, ს. ჩიქოვანი), თუმცა უნდა ითქვას, რომ ამათშიც მოიპოვებიან ისეთებიც, რომელთაც კარგად ვერ უგრძნიათ და ვერ განუცდიათ რევოლიუციის მთლიანი ხასიათი. ამით უნდა აიხსნას ის სამაცარო გაორება, რომ ნ. მიწიშვილი, როგორც მოქალაქე რევოლიუციონურ სინამდვილეს უკავშირდება, ხოლო როგორც პოეტი, წარსულისაკენ იცქირება. რევოლიუცია უპირველეს ყოვლისა მთლიანობაა. რევოლიუციისათვის მხოლოდ ის შემოქმედებაა გამართლებული და ძლიერი, რომელშიაც მოცემულია განცდა ახალი ადამიანის და ახალი ყოფის. რევოლიუციის პოეტი მთლიან მოქალაქეს უნდა წარმოადგენდეს, ე. ი. ისეთ ადამიანს, რომელიც არა მარტო მოქმედებს, არამედ კიდეც განიცდის რევოლიუციონურ სინამდვილეს. პოეტისათვის შესაძლებელია რევოლიუციონური მოქმედება, თუ მან არ განიცადა რევოლიუცია: რევოლიუციის განცდა ნიშნავს მის მიღებას შემოქმედებაშიაც. ამიტომაც აქ პოეტი და მოქალაქე გამთლიანებულია, ხოლო სადაც ეს მთლიანობა დაშლილია და მოცემულია გაორება, იქ საქმე გვაქვს სწორეთ იმ ფაქტთან, რომ პოეტმა, როგორც მოქალაქემ ვერ იგრძნო რევოლიუციის მთლიანი ბუნება და ვერ შეიმეცნო მისი საბოლოო ამოცანა. მართლაც და თუ პოეტმა, როგორც მოქალაქემ სავსებით მიიღო რევოლიუცია, სძლია თავისი წვრილ ბურჟუაზიული შიში მის მიმართ, და მით აქტიურათ ჩაება ახალი ურთიერთობის და ახალი საზოგადოებრივობის მშენებლობაში, იბადება კითხვა: ამ მოქალაქემ, როგორც პოეტმა რისთვის უნდა იცქიროს წარსულისაკენ? რისთვის უნდა მოახდინოს მან წარსულის იდეალიზაცია? რათ სჭირია მას წარსულის განდიდება, როდესაც ის სცხოვრობს რევოლიუციით? პასუხი ამ კითხვაზე ცხადი და ნათელია: მან ვერ შეიგნო რევოლიუცია თავის მთლიანობაში, მან ვერ განიცადა რევოლიუციის რომანტიკა, ის დააფრთხო რევოლიუციის გრანდიოზულმა „საშინელებამ“, მან ვერ დაუკავშირა რევოლიუციის საბოლოო მიზანი მისი განხორციელების მეთოდებს; მოკლეთ: ის, როგორც მოქალაქე, ვერ გამოდგა შესაფერისი რევოლიუციონერი. ამან იქონია გავლენა პოეტის შემოქმედებაზე, ამან გაუნოყიერა ნიადაგი წარსულის იდეალიზაციას.

ყოფილ „მწერალთა კავშირში“ მკაფიოთ ჩასახულია მარჯვენა ფრთები. ამ უკანასკნელს უნდა მივაკუთვნოთ ს. აბაშელი. მისი ლექსი „თბილისი“ ჭეშმარიტი თანამგზავრის ლექსია: პოეტი ხედავს, რომ „ანთებულ რკინის ხმაურმა“ დაარღვია ძილი და მყუდროება და ავჭალიდან მოსალოდნელი სინათლე გაბოროტებულ ღამეს ძირს დასცემს, რომ მით მას საბოლოო ანგარიშში „ქალაქის ბოლოში“ თავი ჩამოაღრჩობინოს. აბაშელში ის არის ყურადსაღები, რომ პოეტი ბრმა არ არის, ის ხედავს რევოლიუციის მიღწევის ფაქტებს, და პოეტურის ინტუიციით განიცდის მას.

მემარჯვენე ფრთას უნდა მივაკუთვნოთ აუცილებლათ პავლე ინგოროყვა. ინგოროყვა სცდილობს მწერლობის ნაციონალისტური სულისკვეთების გამოხატვას: დაჩაგრული პატარა ერის ნაციონალიზმი თავდაცვის იარაღია, რომ ეს ნაციონალიზმი რეტროგრადული მოვლენა არ არის.

იგი თავის ბუნებით რევოლიუციონურია და რადიკალური. რათ გავიწყდებათ ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკა საბჭოებისა პატარა ერების ნაციონალიზმს ემყარება“ და სხვადასხვ. ამ რიგად პ. ინგოროყვა გვევლინება ნაციონალისტურ მწერლობის მეთაურათ და იდეოლოგათ. ამ „იდეოლოგიაში“ გარდა პრინციპიალური დომხალისა, ფაქტიური შეცდომებიცაა; ამ შეცდომებზე სწორათ შენიშნა ამხ. მოსულმა; ჩვენ კი უნდა მოვაგონოთ ის ელემენტარული ამბავი, რომ საბჭოთა აღმოსავლური პოლიტიკა ემყარება პატარა ერების ნაციონალიზმს იმდენათ და მანამდე, სანამდე ეს ნაციონალიზმი იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძვის. ეს გარემოება ჰხდის მას მებრძოლ ნაციონალიზმათ. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კი ნაციონალიზმი ვის უნდა ებრძოლოს, თუ არა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას? პროლეტარიატის დიქტატურას! ამიტომაც მართალია ამხ. მოსული, როდესაც სწერდა („კომუნისტში“ № 127), რომ ქართული ნაციონალიზმი შეტევითი იყვეს ის თუ თავდაცვითი, კონტრრევოლიუციონური შინაარსისაა. რას ნიშნავს ფაქტიურათ ქართული ნაციონალიზმი?—ეს არის „თეორია“ თამარ მეფის ციხეებზე და ერეკლე მეფის სამეფოზე აწ და მერვე საუკუნის სამეგრელოს ქალებზე. პროლეტ. დიქტატურა ასეთ ნაციონალიზმს ებრძვის, ხოლო პროლეტარული მწერლობა მას პრინციპიალურათ აბათილებს.

ქართველ სიმბოლისტებში ასეთ უკიდურეს გადახრებს ადგილი არა აქვს, უნდა ითქვას, რომ ქართული სიმბოლიზმი, რომელიც წინათ ორგანიზაციულად „ცისფერი ყანწების“ ორდენს წარმოადგენდა—დღეს ფაქტიურათ მკვდარია. ქართულმა სიმბოლიზმმა ფერი იცვალა: მან თავის თავი დღე-დალეულ ექსპრესიონიზმათ გამოაცხადა. ყანწელების ბელადმა გრ. რობაქიძემ „მალშტრემით“—ამ ტიპიური ექსპრესიონისტული ნაწარმოებით—ოფიციალურათ ქართული სიმბოლიზმი, როგორც მიმართულება ერთიანათ დაასამარა. იდეოლოგიურათ ექსპრესიონიზმი „მიწასთან დაბრუნებაა“. შემცდარია ის შეხედულება, თითქოს დაბრუნება არ იყოს ჟან-ჟაკ რუსოს იდეის განმეორება. „მიწის სინედლის“ განცდა რა ფორმებშიც არ უნდა იყვეს ის სოფლის იდეალიზაციაა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სოფლის პრიმიტივის აბსოლიუტურ უპირატესობას „ცივილიზაციურ ქალაქის“ მიმართ. მართალია ექსპრესიონიზმი ანტიბურჟუაზიული მიმართულებაა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მის რევოლიუციონერობას. ექსპრესიონიზმი ებრძვის ქალაქს, ცივილიზაციას, ქალაქურ კულტურას პრინციპიალურად იმის და მიუხედავათ თუ წარმოების როგორი წესია გაბატონებული ამ ქალაქში: ექსპრესიონიზმისათვის მიუღებელია როგორც კაპიტალისტური, ისე კომუნისტური ქალაქიც. „შორს ქალაქიდან, უკან სოფლისაკენ“—აი მათი მთავარი პრინციპი. გრ. რობაქიძემ თავისი „მალშტრემი“ ამ პრინციპზე ააშენა, ხოლო „ლამარა“-ში მან ქალაქთან დაპირდაპირების გარეშე დაგვანახვა „სოფლის სინედლის“ მისტიური ძალა (მინდიას პიროვნება).*) გრ. რობაქიძეს მხარი მხარ მიყვება ვალერიან გაფრინდაშვილი. მის ლექსში „სოფლისაკენ“ თვალუწვდენელ სიმაღლეზეა აყვანილი სოფლის პრიმიტივი. ის ებრძვის ქალაქურ კულტურას: მისთვის კინო მიქარვაა ცისარტყელასთან შედარებით, კოშკების ჩრდილი—ჭადარის ჩრდილთან, პოეტი ვერ ითმენს „ავტომობილის მექაქ სირინოზს“, სამაგიეროთ უყვარს „ურმული ტკბილი“. მაგრამ ის, როგორც პოეტი ქალაქურ კულტურის ნაყოფია, ამიტომაც მას სძაგს ამ კულტურის იარაღი—კალამი... „და თუ გავცვალე კალამი თოხზე, მშობელი მიწა არ მიღალატებს“. თოხი აქ დაპირდაპირებულია კალამთან და მიჩნეულია მისი აბსოლიუტური უპირატესობა. რასაკვირველია ასეთ „იდეოლოგიას“ არავითარი კავშირი არა აქვს პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკასთან სოფელში. სოფელთან კავშირი აქ ნიშნავს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით სოფლის შეყვანებას ქალაქურ კულტურისა და ცივილიზაციის გზაზე. ამ მეთოდით ხდება გლეხობის ფსიხიკის სოციალისტური ორგანიზაცია და აღმოფხვრა მასში ყოველგვარი ინდივიდუალური და კარჩაკეტილური სულისკვეთების. ექსპრესიონიზმში სოფლის კულტი ნიშნავს ქალაქიდან გაქცევას, შიშს რევოლიუციის წინაშე და დეზერტირობას მისგან.

გაერთიანებულ მწერალთა ორგანიზაციაში შედიან აგრეთვე ქართველი ფუტურისტებიც. ისინი წარმოადგენენ „მემარცხენე ფრონტს“ ლიტერატურაში. უკანასკნელ ხანებში მათ ემჩნევათ წინსვლა, რაიც უმთავრესად გამოიხატა „ზაუმი“-ს ძლევაში. მათი გამოსვლა „ზაუმნიკობით“ დაიწყო. დღეს ეს საფეხური მათ განვლილი აქვთ. მათი შემოქმედების ზოგი ნიმუშები მეტყველია იმისი, რომ მათ შესძლეს თანამედროვე პოეზიის ნამდვილი ამოცანის გაგება (ს. ჩიქოვანის, ნიკ. შენგელაიას და ნ. ჩაჩუას ლექსები). ს. ჩიქოვანის წერილით: „პოეზია და თანამედროვეობა“. ბევრი რამ საერთო იქმნება მემარცხენე პოეტებსა და პროლეტ. მწერლებს შორის.

ასეთ სიჭრელეს წარმოადგენენ ქართული თანამგზავრები. პროლეტ. მწერლობის უმთავრესი ამოცანაა იდეური ბრძოლა გაუმამრთოს ქართული „თანამგზავრობის“ იდეოლოგიას, ამხილოს მათი ნაციონალური და წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება, ამით ობიექტიურად დააჩქაროს ის დიფერენციაციის პროცესი, რასაც განიცდიან ისინი. პროლეტარული მწერლობა უნდა გახდეს ძლიერი ფაქტორი ახალი საზოგადოებრიობის მშენებლობაში, ამ მხრივ უფრო დაახლოება მემარცხენე პოეტებთან აუცილებლად შესაფერ ნაყოფს მოიტანს.

პროლეტარული მწერლობა უნდა ცდილობდეს თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს „თანამგზავრი“ მწერლები. ამას ის შესძლებს იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარული ლიტერატურული კრიტიკა ფხიზელი დარაჯი იქნება პროლეტარული მსოფლმხედველობის, ხოლო პროლეტარული ლიტერატურა შეიმუშავებს საკუთარს ლიტერატურულ თვალსაზრისს, რაიც მიანიჭებს მას მხატვრულ გამართლებას და ისტორიულ ჰეგემონიას.

შ. დუდუჩავა.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № № 109,113 და 125. 1926 წ.

*) იმის და მიუხედავათ, ექსპრესიონიზმი—თავის სამშობლოში — გერმანიაში—თითქმის წარსულს ჩაბარდა. ის მაინც ყურადღების ღირსია, მით უფრო, რომ ქართულ სინამდვილეში ექსპრესიონიზმმა ორიგინალური სახე მიიღო. „ლამარა“ აუცილებლათ თვისებური ექსპრესიონისტული შემოქმედებაა. დაწვრილებით განხილვა აქ მისი შეუძლებელია. ამაზე შემდეგ.
შ. დ.

ილია ჭავჭავაძე ტ. 2-რე მოთხრობები

გამოცემა „ქართული წიგნი“-ს გვერდი 351 ფ. 2 მან. 50 კაპ. თბილისი

ილია ჭავჭავაძის პირველ ტომს მე უკვე შევეხე „კომუნისტი“-ს ფურცლებზე. იმ წერილში ზოგადად განხილული იყო ის სოციალ-პოლიტიკური პირობები, როდესაც ილიას პირველად მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და დახასიათებული იყო მისი მოქმედებისა და პოლიტიკურ აზროვნების მთავარი მოტივები. ამ წერილში ჩვენ აღარ შევჩერდებით და აღარ გავიმეორებთ იქ გამოთქმულ დებულებებს. შევეხოთ მხოლოდ მეორე ტომს. მაგრამ ორიოდე სიტყვა თვით გამოცემის გეგმის შესახებ.

როგორც პირველი ტომის წინასიტყვაობიდან ვტყობილობთ ილიას ნაწერების გამოცემა განზრახული არის 9 ტომად. I ტომში დაიბეჭდა ლექსები და პოემები; 2—3 ტომებში იბეჭდება მოთხრობები; 4—8 წერილები ლიტერატურულ საკითხებზე; მე-9 სიტყვები, კერძო წერილები და სხვა მასალები; ამავე ტომში მოთავსებული იქნება კრიტიკული განხილვა და ვრცელი ბიოგრაფია.

პატარა შენიშვნა ამ გეგმის შესახებ: არ არის მიზანშეწონილი პოეტის ბიოგრაფიის უკანასკნელ ტომში მოქცევა. ბიოგრაფია და მოღვაწეობის მატიანე ერთგვარი გზის მაჩვენებელი არის მკითხველისათვის: ის უხსნის და მარტავს იმ ობიექტიურ გარემოებას, რომელშიაც მწერალს უხდებოდა მოღვაწეობა; ის ხსნის ეპოქის სულს, სოციალური ცხოვრების პირობებს. ასეთი ბიოგრაფია აუცილებელი არის ილიას გასაცნობად, ხოლო იგი წინ უნდა უსწრებდეს მის ნაწერებს, რათა მკითხველს ხელში ჰქონდეს შესაფერისი გასაღები შემოქმედების გასაგებად.

აღნიშნულ მეორე ტომში მოთავსებული არის ილიას 1859—1865 წლებში დაწერილი ცნობილი მოთხრობები. თავის სოციალური შინაარსით ეს ნაწერები ეხებიან იმ ეპოქას, რომელსაც ჩვენი თაობა არქივებითა და მშრალი დოკუმენტების საშუალებით ეცნობა. მაგრამ ამ ეპოქის შესწავლის საქმეში არა ნაკლებ დახმარებას გვიწევს ის მხატვრული შემოქმედებაც, რომელშიაც ეპოქამ თავისი გამოხატულება ჰპოვა. ამ მხრივ ილიას ნაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და იგი დიდი ხალისით იკითხება. ის იმას ნიშნავს, რომ ამ ნაწერების შემქმნელი დიდი ხელოვანი და მასთანვე მაღალი ნიჭით დაჯილდოებული შემომქმედიც იყო. ამ მოთხრობებით ილიამ განამტკიცა ის მნიშვნელოვანი რეალისტური მიმდინარეობა ლიტერატურაში, რომელსაც საფუძველი გ. ერისთავმა და დ. ჭონქაძემ დაუდვეს და რომელიც შემდეგში ერთ-ერთ უდიდეს ლიტერატურულ მიმდინარეობად გადაიქცა ჩვენში. მაგრამ ილიას არ ახასიათებს მშრალი რეალიზმი და ცხოვრების ასლის გადაღება. რეალური სინამდვილე მას მხოლოდ მშრალ მასალას აძლევს, რომელიც შემდეგ შემოქმედების პრიზმაში გატარებული, სადაც თავისებურ სახეს ღებულობს; ილიას რეალიზმში შეზავებული არის იდეალისტური ელემენტებიც, რაც განსაკუთრებით გლეხური ცხოვრების „იდეალიზაციაში“ გამოიხატება. ეს გარემოება აიხსნება იმ ფაქტით, რომ ილია გარკვეული მსოფლმხედველობით, საზოგადოებრივი კონცეპციით გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ხოლო ეს საზოგადო- მე-60 წლების რუსეთის განმანთავისუფლებელ ებრივი კონცეპცია შემუშავდა და განვითარდა მოძრაობის დიდი გავლენის ქვეშ... ილიამ და მთელმა მაშინდელმა მოწინავე თაობამ ქუდმოხდილი შეითვისეს რუსეთის პროგრესული ინტელიგენციის მისწრაფებები და მოინდომეს მათი გადმონერგვა საქართველოს სინამდვილეში. თუ როგორი ცვლილებები განიცადეს რუსეთის პროგრესიულმა აზრებმა საქართველოს რეალურ სინამდვილეზე დამყნის დროს, ეს მეორე საკითხია, ხოლო ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ილია ამ იდეების გავლენის ქვეშ თხზავდა თავის მოთხრობებს. მეორე ტომში მოთავსებულ მოთხრობებს ზედ აზის გავლენის ბეჭედი.

მე-19-ე საუკუნის ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების ურთიერთობას საზღვრავდა ორთ სოციალური წოდების — ბატონისა და ყმის ურთიერთობა. **ილია თავის მოთხრობებში** უკანასკნელის მხარეზე სდგას. ის განსაკუთრებული ფერადებით დახატვა ბატონ - ყმურ ურთიერთობიდან გამოსულ **ტერორისტულად განწყობილ** (გ. ქიქოძის ტერმინია) მებრძოლებისა, (კაკო, ზაქრო, გაბო) საკმარისად ამჟღავნებს ილიას სოციალურ მრწამს. პ. ინგოროყვას შრომამ ილიას ნაწერების ტექსტის აღდგენის საქმეში, რომელიც მახინჯდებოდა ცენზურის პირობების გამო, მრავალ საინტერესო მომენტს ახადა ფარდა. მაგ. „მგზავრის წერილებიდან“ (1861 წ.) საცენზურო პირობების გამო გამოტოვებული ყოფილა შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი წინადადება: **სიტყვამ რევოლიუციამ არ შეგაშინოს, მკითხველო, რევოლიუცია დაწყნარების სათავეა. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაიაროს და მერე დაიწმინდება ხოლმე“.** (იხ. 2 ტომი გვ. 318) პირველ ტომში მოყვანილი არის ილიას შემდეგი კერძო წერილი დ. ერისთავისადმი (1872 წ.) „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ... ერი არსად სჩანს. **მე კი ისეთი აგებულობის ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე ხალხია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ სჩანს. ვწუხვარ და ვღრტვინავ. და განკითხვა არსით არის“.** (გვ. 373) აი,, ასეთი იდეალებით იყო შეიარაღებული ილია თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში. ამ იდეალების გავლენა ზედ აზის მის მოთხრობებსაც. მე-19 საუკ. პირველი ნახევარი გლეხთა მოძრაობიდან გაბედულ ყმების ყაჩაღად გავარდნით ხასიათდება. **უტუ მიქავა და არსენა ყაჩაღი** ამ ეპოქის გმირები და რევოლიუციონერები იყვნენ; კაკო, ზაქრო, გაბო ამ გმირების ანარეკლია, ხოლო უფრო გაფერადებული და შელამაზებული.

ილიამ მე-60 წლების იდეებით აალაპარაკა ჩვენი პატრიარქალურ ცხოვრების ფონზე გამოსული პროტესტანტები. აქ არის ილიას იდეალიზმი და რომანტიზმი. ამ მოთხრობების დაწერის შემდეგ 60 წელზე მეტმა განვლო. ამ პერიოდში რადიკალურად შეიცვალა ჩვენი ცხოვრების სახე, ცხოვრებასთან ერთად შეიცვალა ილიას სოციალური კონცეპციაც. ჩვენი ცხოვრების მესაჭე შეიქნა არა უკულტურო გლეხი, და მისი წიაღიდან ყაჩაღად გავარდნილი პროტესტანტები, არამედ კაპიტალიზმის ქვაბში მოხარშული პროლეტარიატი. ილიას მოთხრობები მაინც სიამოვნებით და ინტერესით იკითხება.

აღნიშნულ მეორე ტომში ილიას მხატვრული პროზის მხოლოდ ნაწილი არის მოთავსებული, დანარჩენი ნაწილი მოთავსებული იქნება მესამე ტომში. აქვე, რედაქციის განცხადებით მოთავსებული იქნება **ათი ახალი ტექსტი, რომლებიც დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული.** პ. ინგოროყვას დიდი შრომა გაუწევია საცენზურო პირობებისა და სხვა გარემოებათა გამო დამახინჯებულ ტექსტების აღდგენისათვის. ამ მხრივ „ილიას ნაწარმოებთა ტექსტი და ქრონოლოგია“ საინტერესო არის.

მოსული.

შემთხვევები

„ხათრიანი“ მილიციონერი

ჩვენი გაზეთის № 129-ში მოთავსებული გვქონდა ცნობა გამფლანგველ ვარლამ ასათიანის გაქცევისა და მილიციელ ჭიკაშვილის გატაცების შესახებ.

გუშინ სისხლის სამართლის ცენტრალურ მაძიებელ მილიციაში ჩვენების მიცემის დროს ჭიკაშვილი გამოტყდა და განაცხადა შემდეგი:

2 ივნისს, დღის 1—2 საათზე, როდესაც ასათიანი გამსახლში მოსათავსებლად მიმყავდა, მთხოვა გაგვევლო მის ბინაზე ქვეშაგების წამოსაღებად. მე დავთანხმდი. პლეხანოვის პროსპექტზე რომ გავედით, ასათიანი შევიდა მის ოთახში და გამეპარა. ვიგრძენი რა, თუ როგორი დანაშაული ჩავიდინე, განზრახ შევთხზე ცნობა ასათიანის მიერ ჩემი ძალათ გატაცების შესახებ. შემდეგ გადავწყვიტე მილიციაში გამოვცხადებულიყავი.

საქმე გადაეცა გამომძიებელს.

ბანდის ლიკვიდაცია

10 ივნისს, სიღნაღისა და ზაქათალის მაზრების საზღვარზე ცენტრალურ სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის თანამშრომლების მიერ განადგურებულ იქნა მძარცველთა ბანდა.

სროლის დროს მოკლულ იქნა ორი ცნობილი ბანდიტი მუსტაფა-ალი-ოღლი და მეორე ბანდიტი „ჩანა“-ს სახელწოდებით.

თავდამსხმელების ბრბოს შეპყრობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო მძარცველების ბრბო, რომელიც თავდასხმებს ახდენდა თბილისის, კოჯორის, მანგლისის და წალკის რაიონებში.

ბანდას შეადგენდა 8 კაცი. მათ მეთაურობდა ცნობილი ქურდი და მძარცველი დავითაძე, რომელიც 11 ივნისს თბილისში დააპატიმრეს შემთხვევით (დავითაძე სოფ. დაღეთში ერთი დიდი თავდასხმის მოწყობის შემდეგ გადმოსახლდა თბილისში და აქედან უწევდა ხელმძღვანელობას ბანდას).

ამავე დღეს დავითაძის უახლოესი თანაშემწენი ზატვოროვი და არუშანოვი შეიპყრეს თბილისში. მათ მიერ ნაძარცვი ნივთების ნაწილი აღმოაჩინეს ზოგი თბილისში და ზოგიც მაზრაში.

ავაზაკები დანაშაულში გამოტყდნენ.

— **ყელის გამოჭრა.** 11 ივნისს გუმბრის ქ., № 24, გაბრიელ გულიაშვილმა პურის საჭრელი დანით გამოიჭრა ყელი.

— **ცეცხლი.** ცეტკინის ქ., № 5, მდებარე სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

— **ქურდი შვილი.** დიდიხევის ქ., № 2, ნატალია ტოროშელიძის ბინა გაქურდა მისმა შვილმა გიორგიმ, რომელიც დაპატიმრებულია.

— **გატაცება.** შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა სოფ. საკრეჭაოდან (თიანეთის რაიონი) გაიტაცეს 15 წლის ქალი თამარა ღვინიაშვილი.

— **კოოპერატივის გაქურდვა.** 10 ივნისს ღამით გაქურდეს სართიჭალის კოოპერატივი.

— **შეპყრობა.** 11 ივნისს ნიკოლოზის ქ., № 29, აკოფაშვილის ბინა უნდა გაექურდა ორ მოხეტიალე ბავშვს. ერთი მათგანი მამედ შანშო ფინდიევი დაპატიმრებულია.

— **ქურდობა.** 11 ივნისს სლეპცოვის ქ., № 4, ანასტასია დოლიძის ბინიდან კლავდია სპიროესკაიამ მოიპარა 700 მანეთის ნივთები და მიიმალა.

— **ვერის ბაღებში გაქურდეს** კალაბერიძის დუქანი.

— **ჯიბგირობა.** 11 ივნისს ბაზარში ზაქარია ციხაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 31 მანეთი. ჯიბგირი ტანზაქველოვი შეპყრობილია.

ხელოვნება

— **კომპოზიტორ მელვინეთ-უხუცესის კონცერტი.** 20 ივნისს სახელმწიფო საოპერო თეატრში შესდგება კომპოზიტორ მელვინეთ-უხუცესის კონცერტი, რომელსაც აქვს მიზნად დასახული წარმოადგინოს ქართული სიმღერის ევოლიუცია, დაწყებო ნატურალური ხალხური მელოდიიდან, რთული პოლიფონიურ ფორმებად გარდაქმნამდე. შესრულებული იქნება რჩეული ნიმუშები ქართველ კომპოზიტორთა, ფალიაშვილის და არაყიშვილის თხზულებებიდან და აგრეთვე მელვინეთ-უხუცესის ახლად დაწერილ ოპერა „ამირანი“-დან. ვოკალურ მხარეს შეასრულებენ საოპერო სახელმწიფო თეატრის ძალები, სიმფიკო მხარეს—თვით კომპოზიტორი მელვინეთ-უხუცესი და ლოტბარი მელიქ-ფაშაევი. კონცერტი დასრულდება ქართული ხორეოგრაფიის და რითმიკის ნიმუშებით, რომელთაც შეასრულებს მირიმანოვის-კლეისტის ქართული ხორეოგრაფიული სტუდია.

— **„ჯანყი გურიაში“.** რეჟ. წუწუნავა შეუდგა „ჯანყი გურიაში“-ს გადაღებას. მთავარ როლს ითამაშებს ნატა ვაჩნაძე.

— **წითელი არმიის და ფლოტის ბაღში** დღეს გაიმართება უკრაინული წარმოდგენა.

— **ჰაიარტუნში** ხვალ გაიმართება ჰაიარტუნის გუნდის კონცერტი.

— **ალექსიძის საცეკვაო სტუდიის საღამო** გაიმართება ახლო ხანში.

— **ხელოვანთა სასახლეში** ხვალ ს. ჩიქოვანი წაიკითხავს მოხსენებას—„თანამედროობა და ქართული პოეზია“. დასაწყისი საღ. 8 ს.

— **საბჭოთა მუშაკების კლუბში** დღეს გაიმართება საღამო-სეირნობა.

— **ავლაბრის მუშათა კლუბში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“.

დოღი

კვირა, 13 ივნისი.

დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე და 30 წუთზე, დიდუბის იპოდრომზე გაიმართება ექვსი საინტერესო დოღი.

1. ჯილდო 60 მანეთი. სადა დოღი მოხალისე მხედართათვის ცხენებზე, არა უმაღლეს მესამე ჯგუფისა. მანძილი 2667 მეტრი (2,5 ვერსი).

ჩაწერილია: **დურიპში, ალმასი, დონი, ზორკი და ყირგიზი.**

2. ჯილდო 100 მანეთი მესამე ჯგუფის ცხენებისათვის. მანძილი 1867 მეტრი (1,75 ვერსი).

ჩაწერილია: **იანეკი, მოდერნი, რივიერა და მარსელი.**

3. ჯილდო 120 მანეთი მეორე ჯგუფის ცხენებისათვის. მანძილი 2134 მეტრი (2 ვერსი).

ჩაწერილია: **შაბარკა, ტო-ტო, სარდარი, ნიღაბი, სოფისტი და გრაცია.**

4. განდიკაპი 150 მანეთი პირველი და მეორე ჯგუფის ცხენებისათვის. მანძილი 2134 მეტრი (2 ვერსი).

ჩაწერილია: **მაესტრო, მალახიტი, ლედა, ბუშუკი, მაკ-კინლეი და იაიჯა-ჭიათურელი.**

5. ჯილდო 8 მანეთი. საცადელი დოღი 2 წლის ფაშატებისათვის, მანძილი 640 მეტრი (300 საჟენი).

ჩაწერილია: **ეთერი, სერენადა და უაიტლედი.**

6. ჯილდო 4 მანეთი. სახალხო დოღი იმ ადგილობრივ ჯიშის ცხენებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ პირველი ჯილდო; წონა თავისუფალია, მანძილი 1.600 მეტრი (1,5 ვერსი).

ცხენების ჩაწერა იწარმოებს იპოდრომზე 13 ივნისს, დღის 4 საათამდე.

მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

დამტკიცებულია ა.-კ. შინა-ვაჭრობის მიერ.

სასაკლაოების და ქალაქის მოედნებზე დასაკლავი საქონლის, ხორცის, ხორცის პროდუქტების და თევზის ყიდვა-გაყიდვის წარმოების შესახებ

1) დასაკლავი საქონლის, ხორცის და თევზის პროდუქტების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა სწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ სასაკლაოების და ქალაქის მოედნებზე და მისი ჩამოყალიბება ხდება სათანადო ბირჟის ხორცის სექციის სამაკლეროს საშუალებით.

2) სასაკლაოს მოედნებზე შესვლის, ყიდვა-გაყიდვის და საქონლის დაკვლის უფლება ეძლევათ:

ა) იმ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც აწარმოებენ დასაკლავ საქონლის დამზადებას და ვაჭრობენ ხორცით.

ბ) კერძო ვაჭრებს, რომელნიც აწარმოებენ ხორცით ვაჭრობას, როგორც ბითუმად, ისე ცალობით, რომელთაც აქვთ ხორცით სავაჭრო დუქნები ვაჭრობის სათანადო პატენტი.

გ) იმ პირთ, რომელთაც აქვთ გარიგების მოხდენის ნოტარიალური მინდობილობა ზემოდ აღნიშნულ დუქნების და პატენტების მეპატრონეთაგან.

შენიშვნა: 1) ამ ინსტრუქციის მეორე მუხლში აღნიშნული უფლებებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ერთ და იმავე დროს აქვთ დუქანი და პატენტი.

შენიშვნა: 2) ძეხვის ქარხნების მეპატრონეთ საქონლის შესყიდვის და დაკვლის უფლება ეძლევათ მხოლოდ მათი ქარხნის წარმოების ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება სათანადო ბირჟის ხორცის სექციის მიერ.

დ) დასაკლავ საქონლის მეთვალყურეობისათვის და დაკვლასთან დაკავშირებულ სამუშაოს შესასრულებლად სასაკლაოს მოედანზე დაშვებული უნდა იქნის სახელმწიფო-კოოპერატიულ ორგანიზაციების და იმ კერძო მოვაჭრეთა მოსამსახურეები და ნოქრები, რომელთაც აქვთ ამა ინსტრუქციის მეორე მუხლში აღნიშნული უფლებები.

შენიშვნა: 1) მოსამსახურეებს და ნოქრებს უნდა ექნეთ იმ ორგანიზაციებისაგან და სავაჭრო დაწესებულებებისაგან მიცემული მოწმობები, რომელშიაც ისინი მუშაობენ. მოწმობები წინასწარ უნდა იქნეს გატარებული რეგისტრაციაში სათანადო ბირჟის მიერ, რომელიც იძლევა სასაკლაოს მოედანზე შესვლის უფლებას.

3) ყველა ხორცით მოვაჭრე კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციები და აგრეთვე კერძო მოვაჭრეები, რომელნიც ხორცს იძენენ სასაკლაოს მოედნების გარეშე და შემდეგ მას ჰყიდიან ან აწვდიან ორგანიზაციებს და წარმოებებს ბითუმად და ცალობით,—ვალდებული არიან თავისი გარიგებანი გაატარონ რეგისტრაციაში ქალაქის ხორცის მოედნებზე, სადაც ასეთები დაარსებულია.

4) დასაკლავ საქონელში შედის: მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხვარი, თხა და ღორი.

5) შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთ, ა.-კ. ფედერაციაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში, წინადადება ეძლევათ თვალ-ყური ადევნონ ამა ინსტრუქციის სისწორით შესრულებას.

6) ამა ინსტრუქციის დამრღვევნი პასუხს აგებენ სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით საშინაო ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ინსტრუქცია ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

პარტიული და საბჭოთა [illegible]

ორშაბათს, 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ს. კ. პ. (ბ) თ. კ. ქალაქის რაიკომის ორგ-განყოფილების შენობაში შესდგება **თათბირი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილ. კომიტ. საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ამხ. კვირიკაძესთან იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

კოლესნიკოვი გრიგოლ ივანესძე, ივანოვი ანდრია ივანესძე, ვიტკალოვი ალექსანდრე ტუროვისძე, ისაკინი სტეფანე პეტრესძე, კურბატოვი ალექსანდრე ლეონტისძე ტეტანოვი, ალექსანდრე მიხეილისძე, გაიაზოვი ა. გ., კვინიკაძე გრიგოლი ილიასძე, მუშკუდიანი ალექსანდრე პავლესძე.

ლენინის რაიკომის ორგკომისია იტყობინება, რომ სამშაბათს 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბის ქალთა კუთხესთან შესდგება **სადელეგატო მეცადინეობა** რუსულ ენაზე.

ყველა დელეგატ ქალის და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. თბილ. ორგ. **ლენინის რაიკომი** იტყობინება, რომ 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგება ლენინის რაიონის დაწესებულებათა უჯრედების **საერთო-პარტიული კრება, საბჭოთა** დაწესებულებებში მომუშავე პარტიულ ადმინისტრატორების თანდასწრებით. დღის წესრიგი: 1)მოხსენება: საბჭოთა უჯრედების მუშაობის შესახებ. 2) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. (ბ) [illegible] ამხ. ზაქარია [illegible] განმავლობაში ცეკაში, ოთახი № 14.

ორშაბათს, 14 ივნისს, საღამოს 7 საათზე ამხ. ქართველიშვილის კაბინეტში შესდგება ს. კ. პ. (ბ) ც. კ. **ბეჭვდითი განყოფილების კოლეგიის მორიგი სხდომა.**

სხდომას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი, თოდრია, კიკნაძე, სუტირინი, ასრიბეგოვი, საყვარელიძე, ჭელიძე, ტოროტაძე, აბდუშელიძე, ძიგრაშვილი, პაპავა, ასათიანი, გედევანიშვილი, ზოდელავა, რუხაძე და ზომლეთელი.

სამშაბათს, 15 ივნისს ს. კ. პ. (ბ) ცეკას შენობაში (ოთახი № 10) აგიტპროპის განყოფილებაში შესდგება **აგიტპროპის კოლეგიის სხდომა.**

დასწრება ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგების სავალდებულოა:

კახიანი (ც. კ.), მაშკევიჩი (ც. კ. საორგ. განყ.), მუშიშვილი (ბეჭვდითი განყოფილება), ძიგრაშვილი (ახ. ლ. კ. კ. ცეკა), ტაბიძე (ზ. კ. ო.). რუხაძე (მთავარი პოლიტგანი), ხაჭაპურიძე (ც. პ. სკოლა), ჯაფარიძე (ქალთა განყ.), ასრიბეგოვი (ტ. კ.), 1რაიკომის აგიტპროპის გამგე; გეზაგოლდი (ეროვ. უმც. განყ.), ჭელიძე (კულტგანი), კვიცარიძე (განათ. მუშ. კავშირი), ლომაძე (წერკუმსი), აღმშენებელთა კავშირის კულტგანის გამგე.

ИМЕЕТ СОБСТВЕННЫЙ ПАВИЛЬОН
на
ЗАКАВКАЗСКОЙ СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕННОЙ
ВЫСТАВКЕ

BR. FRANZ
3066

ALFA-LAVAL
СЕПАРАТОРЫ
Альфа-Лаваль

изготовляемые на старейших и самых крупных в мире заводах, распространены во всех частях света в количестве более 3.700.000 штук и потребители их убедились в их высоких качествах и идеальной конструкции. Сеператоры АЛЬФА-ЛАВАЛЬ получили на разных выставках более 1.200 высших наград.

В СССР находится в употреблении свыше 800.000 сепараторов АЛЬФА-ЛАВАЛЬ.

Сепаратором АЛЬФА-ЛАВАЛЬ достигается найлучшее обезжиривание молока, не только на первых порах после покупки, но и после 20-летнего употребления чистота обезжиривания остается неизменной. Сравните любой сепаратор другой марки, который был в употреблении 3—4 месяца, с сепаратором АЛЬФА-ЛАВАЛЬ, и тогда наглядно убедитесь в преимуществах и больших выгодах, которые дает сепаратор АЛЬФА-ЛАВАЛЬ. Поэтому при приобретении сепаратора обращайте внимание на фабричную марку



которой снабжен каждый наш сепаратор.
АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО СЕПАРАТОР
РУССКИЙ ОТДЕЛ
СТОКГОЛЬМ-ШВЕЦИЯ.
ნ. 1423

საქართველოს გზატკეცილების სამმართველო
ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, ამა ივნისის 15-ს, დღის 12 საათზე სამმართველოს ბინაზე, მაჩაბლის ქუჩა № 8 (ყოფ. სერგეევის)
დანიშნულია შეჯიბრება
საქართველოს სამხედრო გზაზე კობის და გუდაურის შუა 132-ტე ვერსზე დერეფანი „მაიორშა“-ს აგებისათვის მიწის, ქვითკირის, ტინობის და მასალების დამზადების სამუშაოების ნარდით გასაცემად.
შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად სამმართველო იწვევს საალმშენებლო კავშირში რეგისტრაციაში გატარებულს და ამის შესახებ სათანადო მოწმობის მქონე კვალიფიციურ მუშების სანადო ორგანიზაციებს.
სამუშაოების აღების მსურველ პირთ შემოაქვთ ამის შესახებ 15 ივნისის დღის 12 საათამდე განცხადება სამმართველოს მიერ დამტკიცებულ ფორმით დახურულ კონვერტში წარწერით: „ს.ს.ს.რ. გზატკეცილების სამმართველოს 1926 წლის 15 ივნისის შეჯიბრებისათვის“. განცხადებაში აღნიშნული უნდა იქნეს შესასრულებელ სამუშაოების საერთეულო ფასები.
ზემოხსენებული დღის 12 საათის შემდეგ შემოსული განცხადებები დატოვებული იქნება უყურადღებოთ.
შესასრულებელია შემდეგი სამუშაონი:
1. მიწის სამუშაონი (ჭრილი, ყრილი) სულ—650 კუბ. საჟ.
2. კედლის და საძირკვლის წყობა—320 კუბ. საჟ.
3. თაღების ტინობით წყობა—135 კუბ. საჟ.
4. დერეფნის ფერდოების მოფენა მსხვილი ქვით—300 ოთხკ. საჟ.
5. ტინობის და ქვითკირის სამუშაოებისათვის დამზადება და მოზიდვა სილისა—180 კუბ. საჟ.
6. კედლების საწყობად ნატეხი ქვის დამზადება და მოზიდვა—400 კუბ. საჟ.
7. ტინობის სამუშაოებისათვის ხრეშის ანუ ღორღის დამზადება და მოზიდვა—120 კუბ. საჟ.
დერეფნის პროექტის და სამუშაოთა წარმოების ტეხნიკური პირობების გაცნობა შეიძლება სამმართველოს აგების და კვლევის განყოფილებაში ყოველდღე დილის 8 საათიდან 2 საათამდე.
სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. გვარამაძე.
აგების და კვლევის განყოფილების უფროსი, ინჟენერი მ. ოგანეზოვი.
ნ. 1401 2—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—0

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის № 32. 25—

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
საზაფხულო
აპოლო
(არტის ბაღში, პლეხ. № 105).
სოლეი
ნ. 1375 0—10

პრემიერა
ქალი მთის მწვერვალებიდან
ბარბალე ლა-მარის მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში „ქალი ცეცხლში“ ასტა ნილსენის მონაწილეობით.
შეუდარებელი მერი პიკფორდი სურათში
„შუქი სიბნელეში“
(კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა)
კინოს შენობა დახურულია; სეანსები ყოველ საღამოს.
მხატვრული დრამა 7 ნაწილად
„მიხაელ“
ანონსი: მალე „მეცხრე ზვირთი“

დღეს, 13 ივნისს
დოღი
დასაწყისი ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე
1 და 2 ჯგ. ცხენთათვის განდიკაპი
ნ. 1421

ამით ცხადდება, რომ ა. წ. 19 მაისს დამთავრდა
სრულიად საქართველოს დასახიჩრებულთა კოოპერატიულ შენაერთის
„ვეშერ უზიკო“-ს ლიკვიდაცია
(იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1925 წ. 25 დეკემბრის ნომერი)
კრედიტორებს გადაეგზავნა დასკვნითი ბალანსი განმარტებით. დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება ს-ც. უზრ. სახ. კომისარიატში—თბილისი, ძნელაძის ქ. № 10.
2795 საქ. ს.ს.რ. სოც. უზრ. სახალხო კომისარიატი.

ს.მ.უ.ს. ტყავტრესტი ს.მ.უ.ს.
აცხადებს, რომ ორშაბათს, 14 ივნისს, დღის 12 საათზე ტრესტის გამგეობის ბინაზე, კომუნალური ქ. № 82
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
1300 წყვილ უვარგის (бракованная) ფეხსაცმელის, 2 ეტლის, 2 ცხენის, ტყავის ჩამონაჭრების, უნაგირების და სხვადასხვა ნივთების გაყიდვაზე.
1—1 ნ. 1414

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულებით გამოცვლა, გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №-რი, რომელიც მისამართზეა აღნიშნული. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია მისამართებთან დაკავშირებული უყურადღებოთ იქნება დატოვებული. ხარჯების დასაფარავად, მისამართის შეცვლის მსურველებმა უნდა აუცილებლივ წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.
0 1 მთავარი კანტორა

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება
ამით აცხადებს, რომ
კვირას 13 ივნისს დღის 11 საათზე,
ადმგანყოფილების ეზოში ლადო დუმბაძის ქ. № 7 დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
სადაც გაიყიდება მრავალი სხვადასხვა ნაირი ნივთები და ქონება, როგორიც არის: ხალიჩები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საათები, საცვლები, პუდრი, დუხი, ადეკალონი, შპილკები, ჩულქები, ზეწარი, ხელსახოცი და სხვა.
ადმგანყოფილების უფროსი ხმალაძე.
2—2 საფინანსო ნაწილის უფროსი გეგიაძე.

ა.-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო
ამით აცხადებს, რომ 1926 წლის 22 ივნისს დილის 10 საათიდან
თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქუჩა, № 3, რკინისგზის ხაზის ახლოს)
მოხდება ამიერ-კავკასიის რკინისგზების სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავ ტვირთების და ბარგის
გაყიდვა აუქციონით

მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებისა და პირველი საჯარო ვაჭრობის დროს გაუყიდავ ბარგის გაყიდვის შესახებ გამოაცხადებს კომისია, რომელიც აწარმოებს საჯარო ვაჭრობას.
ქვევით აღნიშნულია „ნაკლადნოის“ ნომრები, რა სახის ტვირთია, რამდენი ადგილია და წონა. ამგვარი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში მუშაობის დროს, საჯარო ვაჭრობის დროს კი ასეთის დაწყებამდე, დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში.

1. მოუკითხავი ტვირთები
№ 10813—რკინის ბოჭკა, 1 ადგ. 77 კილოგ., № 485828—მავთული, 4 ად. 378 კილ., № 33551—ფქვილი „გერკულესი“ 9 ად. 330 კილ., № 801—სტამბის შრიფტი 6 ად. 361 კილ., № 485455—რკინეულობის საქონელი 2 ად. 60 კილ., № 23506 | 3847—სპირტის ლაქი 4 ად. 174 კილ., № 15983—რკინის ბაკი, 1 ად. 657 კილოგ., № 9975—საფქვავი ქვა, 1 ად. 150 კილ., № 34897—გაუწმენდავი ბამბა 1 ად. 90 კილ., № 23519—ბამბის თესლი 1 ადგ. 35 კილოგ., № 35453—წიგნები 1 ად. 27 კილ., № 35457—წიგნები 1 ად. 81 კილ., № 44404—ხის მაგიდა 2 ად 138 კილ., № 35559 შესაკერებელი მანქანები 1 ად. 40 კილ., № 35978—წიგნები 1 ად. 17 კილ., № 500—ლენინის ბიბლიოთეკა 1 ად. 14 კილ., № 46412 ბალიშის პირები 1 ად. 57 კილ., № 37285—რკინის მავთული 2 ად. 97 კილ., № 15741—საოჯახო ბარგი 7 ად. 180 კილ., № 8410—რკინის „ბლოკი“ 1 ად. 75 კილ., № 26659 ეკლიანი მავთული 90 ად. 7535 კილ., № 31734—ხის ბოჭკები ცარიელი, 17 ად. 880 კილ., № 198010—საკერავი მანქანა 1 ად. 33 კილ., № 18122—მავთული არასაიზოლიაციო 1 ად. 88 კილ., № 64716—ქვაბის ნაწილები 3 ად. 1147 კილ., № 21680—სხვადასხვა 14 ად. 607 კილ., № 23510 | 18—რკინის ლურსმნები 29 ად. 516 კილ., № 23501 | 16—რკინის ლურსმნები 50 ად. 890 კილ., № 165229—ცარიელი ბოჭკები 21 ად. 1707 კილ., № 203847—სხვადასხვა ფერის ლენტები 1 ად. 23 კილ., № 165829—დაწნული კალათები 8 ად. 90 კილ. და ხის საჯდომები 3 ად. 106 კილ., № 239415—რკინის საწოლი 1 ად. 26 კილ., № 1912—რკინის მუხრუჭები 6 ად. 224 კილ., № 423322—გამომწვარი გიპსი 1 ად. 32 კილ., № 271608—ლითონის ნაწარმოები 6 ად. 240 კილ., № 29782—რკინის მავთული 1 ად. 54 კილ., № 20487—სასწავლო ნივთები (ხის) 3 ად. 38 კილ., № 22306—ფოლადის ხერხები 1 ად. 9 კილ., № 350044—ფეხსაცმელები 2 ად. 148 კილ., № 1518—ქიჩა 1 ად. 81 კილ., № 168082—ხის ბოჭკა 1 ად. 32 კილ. და ცარიელი ყუთები 8 ად. 215 კილ.

2. მოუკითხავი ბარგი
№ 2994—ცარიელი ბოთლები 2 ად. 87 კილ., № 8640—რკინის ბოჭკა 1 ად. 45 კილ., № 30994—მარმარილოს პირსაბანი 1 ად. 54 კილ., № 195533—ბარგი 1 ად. 85 კილ., № 51186—„გაიკები“ 1 ად. 24 კილ., № 6088—ძველი გაზეთები 5 ად. 171 კილ., № 63453—ბარგი საქონლის 1 ად. 6 კილ., № 9952—საქონლის ბარგი 2 ად. 95 კილ., № 15068—საოჯახო ბარგი 1 ად. 22 კილ., № 23186—ბარგი 1 ად 21 კილ., № 33174—ცემენტი 2 ად. 200 კილ., № 6244—ცარიელი ხის ყუთები 3 ად. 48 კილ., № 24060—საწოლი 1 ად. 20 კილ., № 4293—ბორჯომის წყალი 1 ად. 83 კილ.

3. უდოკუმენტო ტვირთები
№ 18893—რკინის „შურუპები“ 1 ად. 17 კილ., № 18982—შესაბმელი კარაბინები 1 ად. 97 კილ., № 25816—ხორბლის ფქვილი 1 ად. 81 კილ., № 83627—მავთული 1 ად. 33 კილ., № 83628—ხორბლის ფქვილი 1 ად. 76 კილ., № 83626—ხორბლის ფქვილი 1 ად. 75 კილ., № 6045—საპონი ნივთები 1 ად., № 25455—სხვადასხვა ნივთები 6 ად. 15 კილ., № 1117—ბოთლები—1 ად. 9 კილ., № 27722—ნაპონი ნივთები 2 ად. 43 კილ., № 1163—ტუფლები 1 ად., № 180—ნაპონი ნივთები 1 ად. 5 კილ., № 181—ნაპონი ნივთები 1 ად. ნახ. კილ., № 182—ნაპონი ნივთები 1 ად. 7 კილ., № 183—ნაპონი ნივთები 1 ად. 1 კილ., № 184—ნაპონი ნივთები 1 ად. 19 კილ., № 185—ჩექმები 1 ად. 1 კილ., № 186—ხურჯინი 1 ადგ. 3 კილოგ., № 187 ჩაის ჭურჭლეული 4 ადგ. 19 კილოგრ., № 188 ტყავის ტუჩურკა 1 ად. 2 კილ., № 189—ნაპონი ნივთები 1 ად. 4 კილ., № 190—მამაკაცის პალტო 1 ად. 2 კილ., № 191 კალოშები 1 ად. 1 კილ., № 192 ნაპონი ნივთები 1 ად., № 193 ძველი საბანი 1 ად. 10 კილ. № 194 ნაპონი ნივთები 2 ად., № 195 ქოლგა 1 ად., № 196 პალტო 1 ად., № 197—დანები 6 ფ., № 863—ბოთლები 4 ად., 33 კილ., № 1446—კალათები 4 ად., 63 კილ. № 19587—რკინეულობა საწოლებისათვის 1 ად. 10 კილ., № 18891—ნაპონი ბარგი 1 ად. 9 კილ. № 83694—არაყი 1 ად., 10 კილ., № 234—უდოკუმენტო ტვირთი 1 ადგ., 2 კილ., № 22—4 უდოკუმენტო ტვირთი 1 ად. 9 კილ. № 239—უდოკუმენტო ტვირთი 1 ად., 25 კილ., № 221—უდოკუმენტო ტვირთი 2 ად. 17 კილ., № 227—უდოკ. ტვირთი 1 ად. 18 კილ., № 231—უდოკ. ტვირთი 2 ად. 8 კილ., № 236—ხანჯალი 1 ად. 1 კილ., № 217—უდოკ. ტვირთი 1 ად., 1 კილ., № 220—უდოკ. ტვირთი 1 ად. 9 კილ., № 237—უდოკ. ტვირთი 1 ად. 3 კილ., № 232—უდოკ. ტვირთი 1 ად. 3 კილ., № 228—უდოკ. ტვირთი 1 ად. 1 კილ., № 223—უდოკ. ტვირთი 1 ად. 13 კილ., № 230—უდოკ. ტვირთი 1 ად. 4 კილ. № 233—უდოკ. ტვირთი 1 ად. 4 კილ., № 238—უდოკ. ტვირთი 1 ად. 12 კილ., № 219—უდოკ. ტვირთი 2 ად. 8 კილ., №235—უდოკუმენტო ტვირთი 1 ად. 3 კილ., № 222—უდოკ. ტვირთი 1 ად. 2 კილ., № 225—უდოკ. ტვირთი 1 ად. 17 კილ., № 226—კაკალი 2 ად. 86 კილ., № 229—უდოკ. ტვირთი 1 ად. 84 კილ. და № 209—კალათი 1 ად. № 2'8—უდოკ. ტვირთი 1 ადგ. 7 კილ.
ნ. 1420

კვირას, 13 ივნისს, 7 ნახ. საათზე
ლიუტერანების ეკლესიაში (პლეხანოვისა და კირკის ქუჩების კუთხე)
შესდგება საღამო მგალობელთა გუნდით
საეკლესიო კილოებით: ქართულ, რუსულ გერმანულ და სხვა ენებზე.
ივ. გრ. ელცოვის ლოტბაროვით
ბილეთების მიღება შეიძლება, ქოლუბანისა და ლიუტერანების ეკლესიებში. ნ. 1416 2—1

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პ. კოტემკოვსკი
აცხადებს, რომ ა. წ. 18 ივნისს, დღის 11 საათზე, პირველ საჯარო ვაჭრობით გაყიდულ იქნება დავით სიმონისძე არჯევანიძის სამ სართულიანი აგურის სახლი, (ალექსეევის ქ. № 7), რომელიც აწერილია საქ. ს. მ. უ. ს. სპირტ-კონიაკის ტრესტის ვალში და რომელიც შეფასებულია 3.300 მანეთად. სახლი შეიცავს 16 ოთახს, 3 წინა დერეფანს (передняя), 4 სამზარეულოს, 1 მოსამსახურეების ოთახს, 2 საბანაო ოთახს, 2 საროფს 2 ფარდულს, 2 ქუჩისკენ გამავალ აივანს, 2 შესავლელ დერეფანს; არის წყალსადენი და კანალიზაცია. სახლის გაყიდვა მოხდება თვით ხსენებულ სახლში. გაყიდვის დროს დაცულ იქნება სამოქალაქო პროც. კოდექსის 301, 311, 312, 314, 314 და 316 მუხლები.
ნ. 4 [illegible]8

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ., საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი, №15.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინი და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82.
25—1 ქვ. 2356

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი,
(ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ). მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

ექიმი
გ. ნ. ონასოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
2215 3—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8.
პლეხანოვის პროსპექტი, № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
537 25—12

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

დაიკარგა საქციო დროებითი მოწმობა 50 მანეთის რაოდენობით № 516—680, ქ. გორის კომუნალურ ბანკიდან შეძენილი ვასილ ზაქარიას ძე სამადალაშვილის მიერ ჩ. გ. 2797

დაიკარგა სოხუმის ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფ. კავშირის წიგნაკი 368 №-ით, გრიგორ ექვთიმეს ძე ჯიბლაძის სახელზე, ჩ. გ. 2794

დაიკარგა კომ. პარტიის საკანდიდატო მანდატი, გაცემული საქართ. კომ. პარ. თბილისის მეოთხე რაიკომისაგან შალვა ტყეშელაშვილის სახელზე № 1596, ჩ. გ. 2796

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, მოცემული სალხინოს სამხედრო მაგიდიდან № 3 ლევანი თოდუას სახელზე, ჩ. გ. 2800

დაიკარგა სამხედრო საარიცხვო წიგნაკი № 481 თომა ფუთუსძე რურუას სახელზე, ჩ. გ. 2800

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 579 № 427 დავიდ და კრისტინე ზარქუას სახელზე, ჩ. გ. 2800

დაიკარგა სამხედრო ნუსხა, გაცემული მარტვილის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ № 900 ლაზარე კირილესძე გეგეჭკორის სახელზე, ჩ. გ. 2800

დაიკარგა ცხენის საარიცხვო წიგნაკი № 111 და პირადობის მოწმობა, მთხოვარა დავითისძე ხოსიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2800

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68